ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

თბილისის უნივერსიტეტი

29 მაისი, პარასკევი, 2015 წ., №7

ნომერში

■ სახელმწიფო სტიპენდია = სასწავლო კომპონენტს + სამეცნიერო აქტიურობა
გვ. 2

■ დამოუკიდებლობა მხოლოდ გზაა თავისუფლებისკენ
გვ. 4

■ კავკასიის რეგიონში ჩატარებული სტუდენტური ესეების კონკურსში გამარჯვებული
გვ. 12

■ ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილის გამო
გვ. 13

იუბილარი

რისმაგ გორდეზიანი 75

გვ. 7-10

„გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“

პირველი პროფესიული დიასპორული ფორუმი

მე-2 გვერდზე

„27 მაისი ქართული დიასპორას დღეა. ამ დღეს კიდევ ერთხელ ვაცნობიერებთ, რომ სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მიზეზების გამო დროის სხვადასხვა პერიოდში საქართველოდან გასული ქართველები, ჩვენი თანამემამულეები ქვეყნისთვის არა დანაკარგი, არამედ დიდი ნიჭისა და პოტენციალის მქონე ადამიანები არიან, ვინც საკუთარი რისკის ფასად არა მხოლოდ საკუთარი, სხვა მრავალი ოჯახიც ეკონომიკურ სიდუხჭირეს გადაარჩინა, ვისაც თავისი ცოდნითა და ერუდიციით წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, ამდიდრებს მის კულტურას, მეცნიერებას, განათლებას... ჩვენი ვალია შევუნარჩუნოთ ჩვენს თანამემამულეებს სამშობლოსთან მუდმივი კავშირის განცდა, ვიზრუნოთ ქართულ დიასპორაში ეროვნული თვითმყოფადობისა და მშობლიური ენის შენარჩუნებაზე და, იმავდროულად, ხელი შევუწყოთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მათ ჩართულობას. მით უფრო, რომ დიასპორას სურვილია თავისი წვლილი შეიტანოს საკუთარი სამშობლოს განვითარებასა და კეთილდღეობაში... საზღვარგარეთ მცხოვრებ თითოეულ ჩვენს თანამემამულეს ვულოცავ ქართული დიასპორას დღეს და ვუსურვებ მათ და მათ ოჯახებს დღეგრძელობას, გამარჯვებებს, წარმატებას და ჩვენი ქვეყნის ნათელ მომავალს“, — ასე მიესალმა დიასპორას საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე პირველი პროფესიული დიასპორული ფორუმის მონაწილეებს, რომლებიც 27 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის საქტო დარბაზში შეიკრიბნენ.

რა „მესიჯს“ უგზავნის თსუ საზოგადოებას საქართველოს პირველი რესპუბლიკის დარბაზის გახსნით

მე-3 გვერდზე

საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო საზოგადოება დაფუძნდა

მე-3 გვერდზე

„გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“

პირველი გვერდიდან

შურთხია გეროშვილი

ღონისძიებას საქართველოს პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა, ასევე საზღვარგარეთ მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სხვადასხვა სფეროში წარმატებული თანამემამულეები, სასულიერო პირები, საქართველოს ხელისუფლებისა და კერძო სექტორის, ასევე, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და აკადემიური წრეები დაესწრნენ.

პირველი პროფესიული დიასპორული ფორუმი, რომლის სლოგანი იყო: „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნა. მან ვრცლად ისაუბრა ფორუმის მნიშვნელობაზე და სახელმწიფოს მხრიდან იმ პროექტების მხარდაჭერაზე, რომელიც მომავალში უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ერთად განხორციელდება.

„დღეს მსოფლიოში ასეულობით და ათასეულობით წარმატებული ქართველია მიმოფანტული. სახელმწიფოს მოვალეობაა, ზრუნავდეს საკუთარ მოქალაქეებზე. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 3,7 მილიონი მოქალაქე დავრჩით, რაც კატასტროფაა. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს საზღვრებს გარეთ მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, თუმცა რეალურად კი, ალბათ, უფრო მეტმა ადამიანმა დატოვა სამშობლო. ამის მიზეზი საქართველოში ბოლო 25 წლის განმავლობაში დატრიალებული მოვლენებია. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა, მოვძებნოთ მოტივაცია, რაც განაპირობებს ქვეყანაში მოქალაქეების დაბრუნებას. ჩვენ გვაქვს უზარმაზარი რესურსი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ და ამას გამოყენება სჭირდება“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ფორუმის მონაწილეებს თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა მიესალმა: „ეს დღე მართლაც ღირსშესანიშნავია და არც ის არის შემთხვევითი, რომ ღონისძიება სწორედ ჩვენს უნივერსიტეტში ტარდება. ჩვენი დიასპორას საკმაოდ მნიშვნელოვანი ტალღა ხომ სწორედ მაშინ შეიქმნა, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა. მაშინ პირველ მთავრობასთან ერთად საქართველო ბევრმა ღირსეულმა ადამიანმა დატოვა. ეს ის მთავრობა იყო, რომელმაც 1918 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, სწორედ ამავე წელს ჩვენი უნივერსიტეტი დაარსდა. სიმბოლურია, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ეს წელი ამ ორი დიდი მოვლენით არის შესული. დღეს საქართველო დამოუკიდებელია, რომელსაც განვითარების შესანიშნავი პერსპექტივა აქვს. წინა თაობების ოცნება იყო, რომ საქართველო ყოფილიყო ევროპული ტიპის სახელმწიფო. როდესაც ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ, პირველი სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა, რათა ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდეს ის ფასეულობები, რომელიც ურყევია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის. აშკარაა, რომ ამ მხრივ ხელისუფლება უცვლელი მიმართულებით მიდის და საქართველო სანუკვარ მიზანს მიაღწევს. მივესალმები ჩვენს სტუმრებს და დარწმუნებული ვარ, თქვენი გამოცდილება და ხედვა ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნება“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

როგორც ფორუმზე აღინიშნა, სამშობლოში ჩამოსული სპეციალისტების მთავარი მიზანი იყო ქართველ კოლეგებთან ერთად სხვადასხვა სფეროში არსებული გამოწვევებისა და მათი ეფექტიანად გადაჭრის გზების მოძებნა, რაც ხელს შეუწყობს პრობლემათა დაძლევის მდგრადი სტრატეგიის ჩამოყალიბებას და სამომავლოდ მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევას.

„ჩვენს თანამემამულეებს ვთავაზობთ განსაკუთრებულ პირობებს საქართველოში ბიზნესის საწარმოებლად. ჩვენთვის სასიხარულო იქნებოდა, რომ თქვენ დაბრუნდეთ და ერთად ავაშენოთ ჩვენი ქვეყანა, თუმცა, ასევე შეგვიძლია გავერთიანდეთ და იმ ადგილიდან, სადაც მოღვაწეობთ, ახალი ეკონომიკის ასაშენებლად შევქმნათ თვისობრივად ახალი შესაძლებლობები“, — მიმართა საქართველოს ვიცე-პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა ფორუმის მონაწილეებს.

დიასპორულ ფორუმს დაესწრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძეც. „მისასალმებელია, რომ ამ სამინისტროს მხრიდან ბოლო დროს არა ერთი საინტერესო პროგრამა განხორციელდა, რომელშიც განათლების სამინისტროც ჩაერთო, მათ შორის არის საგანმანათლებლო პორტალი, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისთვის შეიქმნა. დღევანდელი დღე კიდევ ერთი შესაძლებლობაა, ვიმსჯელოთ, კიდევ რა შეიძლება გაკეთდეს ამ კუთხით სამომავლოდ“, — აღნიშნა თამარ სანიკიძემ.

საზღვარგარეთ მცხოვრები წარმატებული ქართველების გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე ისაუბრა ქალაქ თბილისის მერმა დავით ნარმანიამაც, რომელმაც აღნიშნა: „ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ ადამიანებთან შეხვედრა, რომლებმაც მრავალი წლის წინ დატოვეს საქართველო, მაგრამ არასოდეს ივიწყებენ სამშობლოს და იმ ადამიანებს, რომლებიც აქ დატოვეს. ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია მათთან მჭიდრო თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით. ბევრი მათგანი დღეს ძალზე წარმატებულია. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა ინვესტირების შესაძლებლობები“.

აღსანიშნავია, რომ პროფესიულ ფორუმში მონაწილეობის მისაღებად საზღვარგარეთ მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე პროფესიონალები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ისტორიული დიასპორას წარმომადგენლები, მათ შორის, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელმძღვანელების შთამომავლები ჩამოვიდნენ. ფორუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ რამდენიმე მემორანდუმიც გაფორმდა.

დიასპორას პირველი პროფესიული ფორუმის მონაწილეებს უწმინდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ მიმართა და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების სამშობლოში დაბრუნების მნიშვნელობაზე ისაუბრა: „ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა გაძლიერდეს მათში ეროვნული თვითშეგნება. პირველ რიგში დავფიქრდეთ, რას აკეთებს საქართველო მათთვის“, — ბრძანა პატრიარქმა, დალოცა ქართული დიასპორა და საქართველოში მალე დაბრუნება უსურვა.

სახელმწიფო სტიპენდია = სასწავლო კომპონენტს + სამეცნიერო აქტიურობა

რექტორის განმარტება

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სტიპენდიის მინიჭების კრიტერიუმები დადგინდა. 15 მაისს სტუდენტებმა სასწავლო ბაზის მეშვეობით მიიღეს შეტყობინება, რომ 2015-2016 წლის შემოდგომის სემესტრიდან სტიპენდიების მინიჭება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით განხორციელდება: „ა) აკადემიური მოსწრება — 80 ქულა; ბ) სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება – მაქსიმუმ 10 ქულა; გ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა – მაქსიმუმ 10 ქულა“.

თუ რატომ ამოიღეს კრიტერიუმებიდან ჟურნალისტური ნამუშევრები (სტატიები, სიუჟეტები) და, ასევე, სემინარები და „მრგვალი მაგიდები“, თსუ-ის რექტორმა ლადო პაპავამ განმარტა.

„სახელმწიფო სტიპენდია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით რეგულირდება, რომლის თანახმადაც სასწავლო კომპონენტი მოიცავს 80%-ს, ხოლო დანარჩენი გადანაწილებულია სამეცნიერო აქტიურობაზე. ჩვენ საფუძვლად აღებული გვაქვს მინისტრის ბრძანება და საბოლოოდ ასე ჩამოვყალიბდით: პირველ რიგში უნდა წახალისდნენ ის სტუდენტები, ვისაც მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ და პლუს გამოირჩევიან სამეცნიერო აქტიურობით.

ჩვენი უნივერსიტეტი არის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, როგორც ეს თავიდანვე უნივერსიტეტის დამაარსებლებმა განსაზღვრეს და დღესაც იგივე თსუ-ს წესდებითაცაა განმტკიცებული. ამიტომ გაუგებრობა რომ არ იყოს, ფაკულტეტების დეკანებს ვთხოვე — სტიპენდიებთან დაკავშირებით ჩვენი საბოლოო მიდგომა ყველა სტუდენტს აქედანვე აცნობონ, რათა შემდეგ სტუდენტების მხრიდან არ წამოვიდეს უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ ინფორმაცია მათთვის დროულად არ იყო ცნობილი. მოგეხსენებათ, სწორედ ამის გამო ჩიოდნენ სტუდენტები. შემდეგი სტიპენდიის ვადა უკვე შემოდგომაზეა და უკვე ყველამ უნდა იცოდეს, რომ გავითვალისწინებთ სასწავლო კომპონენტს და სამეცნიერო აქტიურობას. სამეცნიერო აქტიურობა კი ორი ნაწილისგან შედგება: გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა. ასე რომ, სტიპენდიის მიღებისთვის სასწავლო კომპონენტი 80%-ით არის შეფასებული, დანარჩენი კი გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ სამეცნიერო აქტიურობას.

რამდენადაც ვიცი, ჟურნალისტიკის მიმართულებაზე სტუდენტებს თავიანთი პრეტენზიები აქვთ. როცა ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტი სწავლის დროს წერს ესეებს ან აქვეყნებს ინტერვიუებს — ეს სასწავლო კომპონენტია, აბა ისე როგორ ისწავლი ჟურნალისტიკას? თანაც გასათვალისწინებელია, რომ დღევანდელი კანონმდებლობით ჟურნალისტიკა არის სამეცნიერო დისციპლინა, ის არ არის პროფესიული პროგრამა და მასში ჩატარებული კვლევის საფუძველზე იცავენ დისერტაციებს. თუ ეს კანონმდებლობა შეიცვლება, მაშინ ჩვენც აუცილებლად შევცვლით მეცნიერების ამ დარგის მიმართ დამოკიდებულებას. აუცილებელია, რომ თამაშის წესები დროულად ეცნობოთ სტუდენტებს, იქნებიან ჟურნალისტიკის თუ სხვა მიმართულების, რადგან (ყველა ფაკულტეტზე) იმ პროგრამებზე, რომლებიც არ მიეკუთვნებიან პროფესიულ პროგრამათა ჯგუფს, ერთნაირი მიდგომა იქნება რეალიზებული“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ლადო პაპავამ.

სტიპენდიების კრიტერიუმების ცვლილებასთან დაკავშირებით ინფორმაცია პირველად გაზაფხულის სემესტრის დასაწყისში გავრცელდა, რამაც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების სტუდენტების უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა, მაშინ, სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის მოლაპარაკებების შედეგად სასტიპენდიო კონკურსში სტუდენტების მოთხოვნები ნაწილობრივ გაითვალისწინეს. კერძოდ, კომისიამ სამეცნიერო ნაშრომებისა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღების გარდა სტუდენტებს „სხვა აქტივობებიც“ ჩაუთვალა, რაც გულისხმობს საგაზეთო პუბლიკაციებს, ტელე, ან რადიო მაუწყებლობის მეშვეობით გასულ სიუჟეტებს, სემინარებს და სხვადასხვა ორგანიზაციების ეგიდით გამოქვეყნებულ ნაშრომებს. წინა კონკურსებისგან განსხვავებით, აღნიშნული აქტივობები მაშინ 10 ქულის ნაცვლად 5 ქულით შეფასდა. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თამარ დოლბაიას ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ ეს შესწორება მხოლოდ 2014-2015 წლის საგაზაფხულო სემესტრისთვის შევიდა.

2015-2016 წლის შემოდგომის სემესტრისთვის სტიპენდიების მინიჭების კრიტერიუმებს კვლავ არ ეთანხმება ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების სტუდენტების ნაწილი.

„გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი სწავლება პრაქტიკაზეა ორიენტირებული და არ ვარ დაინტერესებული სამეცნიერო ნაშრომების წერით. ჩემთვის პრიორიტეტულია, რომ ვწერო სტატიები და მოვამზადო სიუჟეტები. ასეც რომ არ იყოს, ჩვენი სპეციალობის ბაზაზე არ არსებობს სამეცნიერო ჟურნალი და არც იმ რაოდენობის კონფერენციები ტარდება, რომ მონაწილეობა მივიღო. ამ მხრივ ხელს ვერ გვიწყობენ. ჩვენ, ასევე, არც ერთი სასწავლო კურსის ფარგლებში არ გვასწავლიან, როგორ უნდა დაიწეროს სამეცნიერო სტატია, ან რამდენად რეალურია 3 თვეში, თუნდაც IV კურსის სტუდენტმა, მოამზადოს ღირებული სამეცნიერო სტატია“, - განაცხადა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა გიორგი შავერდაშვილმა.

„კრიტერიუმების ცვლილება ერთი მხრივ კარგია, რადგან ამოიღეს ტრენინგები, რომლის კომპეტენციასაც არავინ ამოწმებდა. თუმცა, ამავე დროს, გაჩნდა ორმაგი სტანდარტი. მეეჭვება, რომ I კურსის მეორე სემესტრის ან II კურსის სტუდენტებმა ისეთი სამეცნიერო ნაშრომის დაწერა მოახერხონ, რომელიც მართლა ღირებულია და არ იქნება სტიპენდიისთვის შექმნილი. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ეს კრიტერიუმები კიდევ გადასახედი და შესაცვლელია. კარგი იქნება, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის თითოეული სპეციალობისთვის განსხვავებული კრიტერიუმები დადგინდეს, რადგან სწავლების განსხვავებული სტილია და მოქმედი წესი სტუდენტებს არათანაბარ მდგომარეობაში გვაყენებს“, — გვითხრა ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების III კურსის სტუდენტმა ზაზა ნიკოლოზიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და 2015-2016 წლის საშემოდგომო სემესტრიდან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სახელმწიფო სტიპენდიის კონკურსი ახალი კრიტერიუმების მიხედვით ჩატარდება.

მოამზადა **ნატო ოგოლაძემ**

რა „მესიჯს" უგზავნის თსუ საზოგადოებას საქართველოს პირველი რესპუბლიკის დარბაზის გახსნით

თსუ-ში საქართველოს პირველი რესპუბლიკის დარბაზი გაიხსნა. ინიციატივა „თბილისის ფაბიანური საზოგადოებისა" და „მწვანე მუშტის" წევრ თსუ-ის სტუდენტებს ეკუთვნით. სტუდენტების წინადადება საუნივერსიტეტო კომისიამ განიხილა და გადაწყვეტილება თსუ-ის რექტორის ბრძანებით დამტკიცდა.

„ჩვენ წლების განმავლობაში ვსწავლობთ საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკურ სისტემას, მის გამორჩეულად დემოკრატიულ ინსტიტუტებს. ამასთანავე, ჩვენი ყურადღების საგანს წარმოადგენს პირველი რესპუბლიკის დამოკიდებულება უნივერსიტეტისადმი. მაშინდელი სახელმწიფო, გაჭირვების მიუხედავად, არანაირ რესურს არ იშურებდა უნივერსიტეტის დასახმარებლად. აქედან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნიეთ საქართველოს პირველი რესპუბლიკის აუდიტორიის გახსნა თსუ-ის პირველ კორპუსში. არ დაგვავიწყდეს, რომ პირველ რესპუბლიკასაც და პირველ უნივერსიტეტსაც ერთი და იგივე ადამიანები ქმნიდნენ. მაგალითად, 1918 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად აკაკი ჩხენკელი აირჩიეს, რომელიც ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების თავმჯდომარეც გახლდათ", — გვითხრა თსუ-ის სტუდენტმა, პირველი რესპუბლიკის დარბაზის გახსნის ერთ-ერთმა ინიციატორმა ლევან ლორთქიფანიძემ.

როგორც სტუდენტები ამბობენ, პირველი რესპუბლიკის დარბაზის გახსნა ხელისუფლებისადმი გაგზავნილი ერთგვარი მესიჯიც არის — უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ უნივერსიტეტს.

„ცხადია, ჩვენ აუდიტორიის გახსნით დღევანდელ ხელისუფლებას მოვუწოდებთ, რომ მაგალითი აიღონ პირველი რესპუბლიკის ლიდერებისგან. ამასთანავე, ამ აუდიტორიის გახსნა ერთგვარი მოწოდებაა საზოგადოებისთვისაც. ჩვენ საზოგადოებას მივანიშნებთ იმ სტანდარტებზე, რომლებიც 1918-21 წლებში გახლდათ დამკვიდრებული. კერძოდ, მაშინდელი რესპუბლიკის პრიორიტეტი მრავალპარტიული დემოკრატიის, პირდაპირი სამოქალაქო მონაწილეობის, გენდერული თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვა გახლდათ. აღნიშნული პრინციპების დაწინაურება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჩვენი ხალხისთვის", — აღნიშნა ლევან ლორთქიფანიძემ.

დარბაზის გახსნის ინიციატორმა სტუდენტებმა უკმაყოფილებაც გამოთქვეს, რადგან 27 მაისს ოფიციალურ პრეზენტაციაზე შეკრებილი საზოგადოებისთვის მიმართვის შესაძლებლობა არ მიეცათ.

ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, დიასპორას საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ქართველი ემიგრანტები, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, — „დღეს გრძელდება გუშინდელი დღესასწაული — საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ორი მოვლენა — უნივერსიტეტის დაარსება და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება სიმბოლურად ერთ წელს მოხდა. უნივერსიტეტის დამფუძნებლების დიდი ნაწილი იმდროინდელი მთავრობის წევრებიც იყვნენ. მთავრობის მხრიდანაც უნივერსიტეტს დიდი მხარდაჭერა ჰქონდა. პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრთა შთამომავლები ესწრებიან ამ ღონისძიებას. ეს ჩვენთვის დიდი პატივია".

„მიხარია, რომ ჩემ მშობლიურ უნივერსიტეტში ვიმყოფები. სიმბოლურია, რომ პირველი რესპუბლიკის აუდიტორიის გახსნა დაემთხვა პირველ დიასპორულ პროფესიულ ფორუმს — „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს". განსაკუთრებით მივესალმები პირველი რესპუბლიკის წარმომადგენელთა შთამომავლებს", — აღნიშნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ.

„ჩემი ორგანიზაცია „გაუმარჯოს საქართველოს" არის ქართველ ემიგრანტთა ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია საფრანგეთში. ჩვენ გვაქვს უამრავი ორიგინალური დოკუმენტური მასალა, რომელიც ეხება საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობას და ამ მასალის საფუძველზე ვაპირებთ, რომ გამოვცეთ სამი წიგნი. სიამოვნებით ვითანამშრომლებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, თსუ-ის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან და ამ სახელმძღვანელოების შედგენა და გამოცემა იქნება ერთობლივი საქმიანობა", — აღნიშნა ნოე რამიშვილის შთამომავალმა ტიერი ბერიშვილმა.

პირველი რესპუბლიკის დარბაზი ჩვეულებრივი აუდიტორიის ფუნქციას შეასრულებს, სადაც გაიმართება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ლექციები, თუმცა ლექციებისგან თავისუფალ დროს დარბაზის გახსნის ინიციატორი სტუდენტები სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებას გეგმავენ. ამ ღონისძიებების მიზანი პირველი რესპუბლიკის ღირებულებების საზოგადოებაში გავრცელება იქნება.

მოამზადა
ნატო ოზოლაძემ



საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო საზოგადოება დაფუძნდა

თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ინიციატივით საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო საზოგადოება დაფუძნდა. საზოგადოების მთავარი მიზანი ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკის დარგში მოღვაწე მეცნიერების კონსოლიდაცია, არსებული ეკონომიკური ვითარების ანალიზი და საზოგადოებისთვის კომპეტენტური მოსაზრებების შეთავაზება გახლავთ.

„სამწუხაროდ, პროფესიონალი ექსპერტების მოსაზრებები ნაკლებად ხდება საზოგადოებისთვის ცნობილი. შედეგად ვაკუუმი იქმნება, რომელიც არაპროფესიონალების ან პოლიტიკურად მოტივირებული ექსპერტების შეფასებებით ივსება. ქვეყანაში რთული ეკონომიკური ვითარებაა და ამ ფონზე უმნიშვნელოვანესია ეკონომისტთა სამეცნიერო საზოგადოების დაფუძნება. აუცილებელია, რომ საზოგადოებას ჩვენი ხმა მივაწვდინოთ. როდესაც ვამბობ – რთულ ვითარებას, არ ვგულისხმობ გავრცელებულ სულელურ მოსაზრებას, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია. არანაირი კრიტერიუმით ეს არ დასტურდება. ასეთი შინაარსის განცხადებები პოლიტიკურად მოტივირებულია. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ამ საზოგადოების დაფუძნება, რომ ხალხმა მეცნიერების, ექსპერტების ობიექტური შეფასებები მოისმინოს", — განაცხადა საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო საზოგადოების ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და პრეზიდენტმა, თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ.

საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო საზოგადოებაში, ასევე, გაწევრიანდა საქართველოს ფინანსთა მინისტრი, პროფესორი ნოდარ ხადური. თსუ-ის რექტორის განცხადებით, იგი მთავრობასთან ურთიერთობის საკითხებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მედიატორი იქნება. სამეცნიერო საზოგადოების პრეზენტაციაზე ნოდარ ხადური პრეზიდიუმის წევრადაც აირჩიეს.

„ცხადია, აღნიშნული სამეცნიერო საზოგადოებების ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია, რადგან იგი ეკონომიკური სამეცნიერო აზრის განვითარებაზე იქნება ფოკუსირებული. სამეცნიერო საზოგადოების ფარგლებში მეცნიერები გააანალიზებენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს და კომპეტენტურ რეკომენდაციებს შეიმუშავებენ. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო საზოგადოებაში თითქმის ყველა ცნობილი ეკონომისტია გაერთიანებული და მიხარია, რომ მათ რიგებში მეც ვარ. საზოგადოების მუშაობის ფარგლებში ეკონომიკის, ასევე, ფინანსური პოლიტიკის საკითხებზე ჯანსაღი დისკუსიები გაიმართება და ჩვენ ყველა საღ აზრს სიამოვნებით გავიზიარებთ", — აღნიშნა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, პროფესორმა ნოდარ ხადურმა.

საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობა არ იქნება ცენტრალიზებული. ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება რეგიონებთან აქტიური თანამშრომლობა და ადგილებზე წარმომადგენლობების შექმნა გახლავთ. პრიორიტეტულია საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო ღონისძიებების გამართვაც, მათ შორის იგულისხმება კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები, სემინარები და ა.შ.

„საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო საზოგადოება ქვეყნის მასშტაბით ეკონომისტების გაერთიანებას შეუწყობს ხელს. მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. საზოგადოების მნიშვნელოვანი ფუნქციაა, ასევე, განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაცია, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობებში ჩართულობის გაძლიერება, საერთაშორისო გრანტების მოპოვება, სამეცნიერო კვლევების წარმოება. ჩვენ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებით რეკომენდაციებსაც წარმოვადგენთ და საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან აქტიურად ვითანამშრომლებთ. გამოიცემა ახალი წიგნები. ასე რომ, საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოების დაარსება ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკური წრეებისთვის, ასევე, ქვეყანაში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისთვის. წესდების მიხედვით, საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობაც, საიდანაც მიღებული შემოსავლები საზოგადოების ფუნქციონირებას მოხმარდება", — განაცხადა თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, საზოგადოების ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და ვიცე-პრეზიდენტმა რამაზ აბესაძემ.

საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო საზოგადოების დამფუძნებლებს შორის, ასევე, არიან აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე და თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა. მეცნიერ-ეკონომისტთა საზოგადოების პრეზენტაცია 23 მაისს გაიმართა.

***მოამზადა* ნატო ოზოლაძემ**

საუბრები დამოუკიდებლობაზე

დამოუკიდებლობა მხოლოდ გზაა თავისუფლებისკენ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით არაერთი ღონისძიება გაიმართა. მათ შორის იყო ლექციათა ციკლი „საუბრები დამოუკიდებლობაზე“, რომელიც 22-24 მაისს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების: თორნიკე შევარდნაძის, სანდრო ტაბატაძისა და ზურაბ მენაღარიშვილის ინიციატივით გაიმართა. საუბრების ძირითადი თემა იყო დამოუკიდებლობის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ისტორიული ასპექტების განხილვა.

პირველი ლექცია, რომელიც დამოუკიდებლობის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების განხილვას შეეხებოდა, წაიკითხა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ, *ხოლო პოლიტიკური და ისტორიული ასპექტები მიმოიხილეს ფილოსოფიის დოქტორმა* ლაშა ბაქრაძემ *და საქართველოს პარლამენტის წევრმა, 80-იანი წლების ქართული ეროვნული მოძრაობის ერთერთმა ლიდერმა* ლევან ბერძენიშვილმა.



ჩვენ გვჭირდება ნორმალური, არაიდეოლოგიზირებული ისტორია

ფილოსოფიის დოქტორმა ლაშა ბაქრაძემ სტუდენტებთან შეხვედრისას ისაუბრა 26 მაისის, როგორც საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღის, შესახებ.

„ჩვენ არ ვიცით სამოქალაქო დღესასწაულების აღნიშვნა. მიუხედავად იმისა, რომ, აგერ უკვე 25 წელია, დამოუკიდებლები ვართ, არ ჩამოყალიბდა დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის ტრადიცია. ჩემი ინიციატივაა, ამ დღეს ყველამ ატაროს საქართველოს ძველი დროშის ფერებში გადაწყვეტილი კოკარდი, რომელიც აჩვენებს, რომ ვაგრძელებთ 1918 წლის 26 მაისის — დამოუკიდებლობის დღის ტრადიციას,“ — ასე დაიწყო ლაშა ბაქრაძემ სტუდენტებთან საუბარი და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, თუ რატომ აღვნიშნავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს და არა 9 აპრილს (როცა 1991 წელს დამოუკიდებლობა აღდგა) ან 31 მარტს (როცა რეფერენდუმის შედეგად დამოუკიდებლობას ხმა მისცა საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ).

„საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის პერიოდში საქართველომ დამოუკიდებლობის დღედ 26 მაისი აირჩია, რითაც მსოფლიოს აჩვენა, რომ ჩვენ ვართ მემკვიდრე იმ სახელმწიფოსი, რომელმაც 1917 წლიდან დაიწყო მოძრაობა თავისუფლებისთვის და 1918 წელს დაასრულა იგი რუსეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობის მოპოვებით“, — აღნიშნა მან.

მომხსენებელმა დაწვრილებით მიმოიხილა ის გარემოება, რაც წინ უძღოდა 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს, გააანალიზა გარეშე ფაქტორების გავლენა მაშინდელ პოლიტიკურ სიტუაციაზე, მათ შორის, პირველი მსოფლიო ომის დასრულების და რომანოვების დინასტიის დამხობის მნიშვნელობა და ყველა ის პოლიტიკური ნიუანსი, რამაც ქართველ პოლიტიკოსებს საშუალება მისცა ქვეყანა გაეთავისუფლებინათ რუსეთის იმპერიისგან.

„საქართველოში არსებობდა ძალიან პატარა ჯგუფი პოლიტიკოსებისა, რომლებსაც დამოუკიდებლობა სურდათ. ესენი იყვნენ ეროვნულ-დემოკრატები და საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრები (კომიტეტი შეიქმნა გერმანიაში პირველი მსოფლიო ომის დასაწყისშივე). დანარჩენები, მათ შორის, სოციალ-დემოკრატებიც, ამ საკითხს მხარს არ უჭერდნენ. ხშირად ამბობენ, რომ სოციალ-დემოკრატებს არ სწამდათ დამოუკიდებლობის იდეისა, რაც მთლად ასე არ იყო. სოციალ-დემოკრატიულ პარტიაშიც არსებობდა ჯგუფი, რომელიც ამბობდა, რომ საქართველო დამოუკიდებელი უნდა გამხდარიყო. თუ თქვენ გადახედავთ პირველ მსოფლიო ომამდელ მსოფლიოს რუკას, ნახავთ, რომ ამ რუკაზე ძალიან ცოტაა დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ისინი ძირითადად ომის დასრულების შემდეგ შეიქმნა. ამიტომაც სოციალ-დემოკრატებისთვის ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ისეთი მცირე სახელმწიფო, როგორიცაა საქართველო, შეძლებდა დამოუკიდებლად არსებობას. გარდა ამისა, მათთვის წარმოუდგენელი გახლდათ საქართველოს ტერიტორიული გამიჯვნა თუნდაც კავკასიაში, რადგანაც კავკასია ეთნიკურად ძალიან ჭრელია და საზღვრები აქ ყოველთვის (მათ შორის, დღესაც) ძნელი დასადგენია“, — აღნიშნა ლაშა ბაქრაძემ.

თორნიკე შევარდნაძე

მომხსენებლის თქმით, მაშინდელმა ხელისუფლებამ, რომელიც „ოზაკომ“-ის სახით არსებობდა და რომელშიც ქართველი სოციალ-დემოკრატებიც შედიოდნენ, საქართველოში მმართველობის სადავეები სოციალ-დემოკრატებს გადასცა (მეფისნაცვალთან ამ შეხვედრაზე იმყოფებოდნენ ნოე ჟორდანია, თბილისის ქალაქის თავი ხატისოვი და კიდევ რამდენიმე პირი). ახალმა მთავრობამ უარი თქვა დამორჩილებოდა იმ ძალას, რომელიც რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოვიდა და აქედან დაიწყო ნაბიჯ-ნაბიჯ სვლა დამოუკიდებლობისკენ.

ლექციის შემდგომი ნაწილი დაეთმო იმ პერიპეტიების გაანალიზებას, რაც უშუალოდ წინ უძღოდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას. კერძოდ, ლაშა ბაქრაძემ ისაუბრა რუსეთში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე, ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის დეტალებზე, ამიერკავკასიაში პარლამენტის (სეიმი) და საქართველოში დამფუძნებელი კრების არჩევაზე, ოსმალეთთან საომარ მდგომარეობაზე, ასევე, ბათუმის კონფერენციის დეტალებზე, სადაც ქართულ დელეგაციას აკაკი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა. მან მიმოიხილა აკაკი ჩხენკელსა და სოციალ-დემოკრატებს შორის მიმოწერა, რომელშიც ჩხენკელი დაჟინებით მოითხოვდა გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა. ითქვა ასევე გერმანიის უდიდესი მხარდაჭერის შესახებ, რომელიც მან სწორედ იმ პერიოდში გამოუცხადა საქართველოს, როცა თურქეთის დამპყრობლური მიზნების ახდენას ბევრი აღარაფერი აკლდა.

„სწორედ ამ მხარდაჭერითა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა. და აი, ამიერკავკასიის სეიმმა დღევანდელ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში 26 მაისს გამართა სხდომა. იმავე დღეს 5 საათზე აქვე შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა. უნდა ითქვას, რომ ის რესპუბლიკა, რომელიც მაშინ შეიქმნა, იყო ყველაზე პროგრესული ქვეყანა, რომელმაც 1919 წლის მარტს ჩაატარა ახლად არჩეული დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელმაც თავიდან აღიარა 26 მაისის აქტი. მანვე მიიღო 1921 წელს საქართველოს პირველი კონსტიტუცია, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული და პროგრესული იყო იმ პერიოდში“, — აღნიშნა ლაშა ბაქრაძემ.

ლექციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ თუ საქართველოს სურს შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა, მუდმივად უნდა ახსოვდეს 1918-21 წლების პირველი რესპუბლიკა და ის, რომ ამ დამოუკიდებლობას მუდმივად ემუქრება საფრთხე, სანამ ყოფილი იმპერია — რუსეთი არ შეიცვლის პოლიტიკურ ორიენტაციას.

ლაშა ბაქრაძემ ასევე ისაუბრა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და პირველი რესპუბლიკის ფუნქციონირების შესახებ ისტორიული დოკუმენტების გამოცემის აუცილებლობაზე, რაც აქამდე ვერა და ვერ მოხერხდა. „ამგვარი დოკუმენტები გამოცემული აქვთ სომხებს და აზერბაიჯანელებს, რომლებსაც ჩვენზე ნაკლები დროით ჰქონდათ დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ჩვენ კი ეს 25 წლის განმავლობაში ვერ მოვახერხეთ. იმაზე აღარაფერს ვლაპარაკობ, როგორი სიმპათიანტიპათიით იწერება საქართველოს ისტორია. ნებისმიერ დროს გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც გვეტყვიან, რომ არ მოსწონთ პირველი რესპუბლიკის დროშის ფერები (თურმე ფერში ყოფილა საქმე), რომლებიც აუცილებლად დაიწყებენ მტკიცებას, რომ პირველი რესპუბლიკით დღესაც ნაკლები დაინტერესებაა, რადგან სოციალ-დემოკრატები არ ვარგოდნენ, დამოუკიდებლობა იმიტომ დავკარგეთ, რომ ეს ვიღაცის ბრალი იყო და ა.შ ასეთი აბსურდული მითებით სავსეა საქართველოს ისტორია. ჩვენ გვჭირდება ნორმალური, არაიდეოლოგიზირებული ისტორია, სადაც იქნება დოკუმენტურად აღწერილი რა ხდებოდა სინამდვილეში“, — განაცხადა ლაშა ბაქრაძემ.

ბოლო გაჩერება — თავისუფლება

დამოუკიდებლობის პოლიტიკურ ასპექტებზე გაამახვილა ყურადღება ლევან ბერძენიშვილმა. მისი საუბრის ძირითადი თემა იყო 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის პერიპეტიები.

მან აღნიშნა, რომ დამოუკიდებლობა არ არის მხოლოდ მისი გამოცხადება, დამოუკიდებლობა არის აღიარებაც — საერთაშორისო საზოგადოებისგან იმის ცნობა, რომ ქვეყანა სხვა ქვეყნებისაგან დამოუკიდებელია. საქართველო დღეს არის აღიარებული დამოუკიდებელი ქვეყანა.

რისთვის გვინდა დამოუკიდებლობა? ეს იყო ძირითადი კითხვა, რომელზეც ლევან ბერძენიშვილი შეეცადა ამომწურავი პასუხი გაეცა. „სამყაროში დამოუკიდებლობა არ არსებობს. იქ, სადაც არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, დამოუკიდებლობა შეუძლებელია. ამ დამოკიდებულებას სამყაროში თავისი სპეციფიკური სახელები აქვს — ერთი მეცნიერული და მეორე — პოეტური. ორივე ძალიან ზუსტია. მეცნიერება ამბობს, რომ, დიდი იზიდავს პატარას (და ამას ჰქვია გრავიტაცია), ხოლო პოეზია ამბობს რომ სამყაროს აბრუნებს მხოლოდ სიყვარული. დედამიწა რომ დამოუკიდებელი იყოს, იგი გაჩერდება. ამიტომ, როცა ჩვენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ვსაუბრობთ, ვთანხმდებით, რომ ეს პირობითი ტერმინია“, — აღნიშნა მან.

დამოუკიდებლობის არსის გაანალიზებისას მან მიუთითა, რომ მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელიც მხოლოდ თავისთვის, ყოველგვარი დამოკიდებულების გარეშე არსებობს და მაგალითად მოიყვანა ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი, როდესაც 2008 წლის აგვისტოს ომმა რამდენიმე დღით შეცვალა ამ ქვეყნების პოლიტიკური დღის წესრიგი.

ლევან ბერძენიშვილის აზრით, არსებობს დამოუკიდებლობაზე უფრო მნიშვნელოვანი სიტყვა — თავისუფლება, რომლის მიღწევა გაცილებით უფრო ძნელია ვიდრე დამოუკიდებლობა.

ლექციის შემდეგი ნაწილი დაეთმო საბჭოთა წყობილების პირობებში მიმდინარე ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის. მომხსენებელმა ისაუბრა მაშინ არსებულ იდენტობის დაკარგვის „შიშსა“ და საბჭოთა ტოტალიტარიზმზე, რომელიც ქვეყნის ორმაგი საწუხარი გახლდათ. მისი აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობა სწორედ ამ ორი მიზეზის გამო სურდა — არ დაეკარგა თვითმყოფადობა და გათავისუფლებულიყო საბჭოთა ტირანიისგან.

„საქართველოში კომუნისტური რეჟიმის მომხრე ძალიან ცოტანი იყვნენ, მათ უყვარდათ საქართველო, მაგრამ ცხოვრობდნენ იმ რეჟიმის პირობებში და მას შეგუებულნი იყვნენ. 1984 წლის 20 აპრილს უზენაესი სასამართლოს შენობაში იატაკქვეშეთში შექმნილი რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელთა პატარა ჯგუფს, რომლის წევრი მეც გახლდით, ანტისაბჭოთა აგიტაციისთვის სასამართლომ მიუსაჯა 3-3,5 წელი. მოსამართლე, რომელიც ცნობილი იყო იმით, რომ გამოტანილი ჰქონდა უამრავი დახვრეტის განაჩენი (მათ შორის იყო თვითმფრინავის ბიჭების დახვრეტის განაჩენი და თბილისის ერთ-ერთი რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის, კობახიძის დახვრეტის განაჩენი) და რომელსაც ხელი არ უკანკალებდა ადამიანის მოკვდინებაზე ხელმოწერის დროს, თვალები ცრემლით აევსო. რას ნიშნავდა ეს? იმას, რომ ისიც კი პატრიოტი იყო თავისებურად და დაენანა პატარა ბიჭების ციხეში გაშვება. არ იფიქროთ, რომ კომუნისტების ქება-დიდებას ვაპირებ — ისინი ჩვეულებრივი მედროვეები იყვნენ, მაგრამ საქართველოს მიმართ მათაც კი განსაკუთრებული გრძნობა ჰქონდათ და საქართველოს დამოუკიდებლობა მათაც უნდოდათ“, — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

ლექციაზე ყურადღება გამახვილდა იდენტობისთვის ბრძოლის სხვადასხვა ეტაპზე საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით აღინიშნა 1978 წლის 14 აპრილის მნიშვნელობა ქართული ენის შენარჩუნებაში და 1989 წლის 9 აპრილის მნიშვნელობა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ლევან ბერძენიშვილმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებას და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტობა ყოველთვის ეროვნული მოძრაობის ფლაგმანი იყო.

მან ასევე გამოკვეთა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პირველ ეტაპზე ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში შექმნილი ორგანიზაციის — ჰელსინკის კავშირის როლი და განაცხადა, რომ მაშინ ამ ორგანიზაციამ იდეურად მოამზადა ეროვნული მოძრაობა. მისი თქმით, ამ პერიოდიდან იწყება გამოღვიძების პროცესი, იქმნება სხვადასხვა ორგანიზაციები, რომელთა ფარული, იატაკქვეშეთში მოღვაწეობის შედეგად გამოდიოდა არაერთი ჟურნალი და გაზეთი, ისინი საზოგადოებას ამზადებდნენ დამოუკიდებლობის იდეისთვის. გამოღვიძებას მოჰყვა ამ ორგანიზაციების ლიდერების და წევრების დაპატიმრება. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური პარტიის მომხრეებმა და მედროვეებმა დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს ეროვნული მოძრაობის ლიდერების და აქტივისტების მიმართ, ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა არ შენელებულია. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ქართველ კომუნისტთა დიდი ნაწილისთვის, რომლებიც იძულებული იყვნენ ფარისევლური წერილები გამოექვეყნებინათ და სხვადასხვა კრებაზე ასევე ფარისევლური გამოსვლები ჰქონოდათ ეროვნული მოძრაობის წევრების „დასამარების“ მოთხოვნით, ქართული იდენტობის დაკარგვის საფრთხე ისევე მნიშვნელოვანი, იყო, როგორც ეროვნული მოძრაობის წევრებისთვის. „თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველო დამოუკიდებლობისკენ მიდიოდა იდენტობის იდეით — რომ ჩვენ ვართ ქართველები. საქართველოში კომუნისტური რეჟიმი დაამარცხა ნაციონალურმა განწყობამ“, — აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა.

რა პრობლემა აქვს დღეს საქართველოს?

საქართველო დღეს დამოუკიდებელია, წყვეტს თავის პრობლემებს და აშენებს სახელმწიფოს, მაგრამ საქართველოს არ არის თავისუფალი და არ ცხოვრობს კარგად. რატომ? ლევან ბერძენიშვილის აზრით, ამას აქვს თავისი მიზეზები, რადგან ჩვენ გვეგონა, რომ „უნდა ვყოფილიყავით რუსეთისგან დამოუკიდებლები და ეს იყო უმთავრესი. შემდეგ კი გავყიდდით ჩვენს წყალს, ღვინოს, ბორჯომს, ჩაის და ვიქნებოდით უმდიდრესი ქვეყანა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ეკონომიკურ სისტემაში ცხოვრობდა და საით უნდა წასულიყო ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით“, — აღნიშნა მან.

„დამოუკიდებლობა უკანასკნელი გაჩერება გვეგონა. აღმოჩნდა, ეს მხოლოდ პირველი გაჩერებაა გაჩერებათა დიდი სერიიდან, სადაც სულ ბოლო წერტილი არის თავისუფლება. დამოუკიდებლობის გზაზე ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი,

მე-5 გვერდზე

ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲖᲐᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ

მეოთხე გვერდიდან

რისი გაკეთებაც შეგვეძლო. ამისთვის ყველას მადლიერი ვართ, ვინც ერთი აგური მაინც დადო ამ საქმეში, მაგრამ ახლა გვაქვს უფრო დიდი მიზანი — როგორმე მივაღწიოთ თავისუფლებას“, — ასე დაასრულა ლექცია ლევან ბერძენიშვილმა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲔᲕᲠᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

რას ნიშნავს ეკონომიკური დამოუკიდებლობა და როგორ მიიღწევა ის? — ამ კითხვით დაიწყო ლექციის შესავალი ნაწილი აკადემიკოსმა ᲚᲐᲓᲝ ᲞᲐᲞᲐᲕᲐᲛ და თეორიული მიმოხილვის შემდეგ ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოთა ეკონომიკური მოდელების ტიპებზე, მათ ეკონომიკურ ფუნქციებზე, ბუნებრივი რესურსებისა და ქვეყნის ეკონომიკური მასშტაბის ურთიერთმიმართებაზე.

ლექციის პირველ ნაწილში მან რამდენიმე ეკონომიკური ტიპის სახელმწიფო დაახასიათა — ისაუბრა ავტარკიული (ამ ტერმინით აღინიშნება სახელმწიფოს ან რეგიონის თვითდაკმაყოფილება საგარეო ვაჭრობის არარსებობის პირობებში) ეკონომიკური მოდელის მქონე ქვეყნებზე, რომლებიც თავად ქმნიან თვითკმარ ეკონომიკას და თავადვე აწარმოებენ მისთვის საჭირო ყველა პროდუქციას (ასეთი ქვეყნის მაგალითად მან მოიყვანა ფაშისტური გერმანია, ფაშისტური იტალია და საბჭოთა კავშირი, თუმცა დასძინა, რომ სრულიად დამოუკიდებელი ეკონომიკის მქონე არც ისინი იყვნენ, რადგან სავაჭრო ურთიერთობებს აწარმოებდნენ სხვა ქვეყნებთან. ასევე აღნიშნა, რომ ავტარკიული მოდელის ეკონომიკისკენ მიდრეკილია თანამედროვე სახელმწიფო — ჩრდილოეთ კორეა). მან ასევე ისაუბრა დიდი ტერიტორიისა (მაგალითად, რუსეთი) და მდიდარი ბუნებრივი რესურსების მქონე (მაგალითად, აზერბაიჯანი) ქვეყნებზე: „ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური ფუნქცია განსაზღვრავს მისი ეკონომიკის დამოუკიდებლობას და ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობას. იმ ქვეყნების მიმართ, რომლებსაც გააჩნიათ მდიდარი ბუნებრივი რესურსები, დაინტერესება დიდია. ასეთია, მაგალითად, ჩვენი მეზობელი სახელმწიფო აზერბაიჯანი, რომელიც ტერიტორიულად დიდი არაა, აქვს ჩვენნაირი კომუნისტური წარსული, მაგრამ ფლობს მდიდარ ბუნებრივ რესურსს, რითაც მან მკვეთრი განვითარება შეძლო. ასევე დიდია დაინტერესება ქვეყნებით, რომლებსაც აქვთ დიდი ეკონომიკური მასშტაბი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიცია, ბაზრის სიდიდიდან გამომდინარე, გაძლევს საშუალებას, რომ ქვეყანაში წარმოებულ პროდუქციას დიდი რაოდენობით მომხმარებელი ჰყავდეს. თუ ერთმანეთს დაემთხვა ეს ორი ფაქტორი — ბუნებრივი სიმდიდრე და ქვეყნის ეკონომიკური მასშტაბები, ეს კიდევ უფრო აძლიერებს ამ ქვეყნით დაინტერესებას“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

მომხსენებელმა ამ ტიპის ქვეყნებს შეუპირისპირა ქვეყნები, რომლებიც მცირე ზომის არიან და არ აქვთ განსაკუთრებული ბუნებრივი რესურსები და ეკონომიკური მასშტაბები (მაგალითად, საქართველო). წინაპირობა იმისა, რომ სხვა ქვეყნებმა ამ ტიპის ქვეყნის მიმართ დაინტერესება გამოიჩინონ, ნაკლებია. „მაშ რა არის ის, რითაც შეგვიძლია ჩვენი დამოუკიდებლობა გავამყაროთ? — აღმოჩნდა, რომ ასეთი არის მისი ადგილმდებარეობა. საქართველოს ტერიტორია არის უმოკლესი გზა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რომლებსაც ერთმანეთის მიმართ დიდი ინტერესი გააჩნიათ“, — აღნიშნა მან და დაასაბუთა, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ის ფაქტორია, რომელსაც მუდმივად უნდა ვიყენებდეთ, რომ საერთაშორისო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო ვიყოთ.

აკადემიკოსმა ლადო პაპავამ მოკლედ მიმოიხილა 90-იანი წლების საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, ხაზი გაუსვა საქართველოს — როგორც სატრანსპორტო დერეფნის — მნიშვნელობას, აბრეშუმის გზის ეკონომიკურ მომგებიანობას, ბაქო-თბილისი-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობის მაგისტრალებისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მნიშვნელობას, რომლითაც საქართველომ, ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, კარგად „გაყიდა“ თავისი ფუნქცია.

ლექციაზე ეტაპობრივად მიმოიხილეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე მომხდარი ეკონომიკური გარდაქმნები. „გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან იმდენად დიდი იყო დამოუკიდებლობის სურვილი ქართველ ხალხში, რომ გავრცელდა მოსაზრებები — „ოღონდ თავისუფლები ვიყოთ და ბალახს შევჭამთ“ ან „ჩვენი მანგანუმი, ჩაი, ციტრუსი, ღვინო და ბორჯომი გადაგვარჩენს“.

მე ამ პერიოდს რომანტიკულ პერიოდს ვუწოდებ, რადგან ხალხი მზად იყო გადაეტანა ყველაფერი, ოღონდ აეშენებინა დამოუკიდებელი ქვეყანა დამოუკიდებელი ეკონომიკით, მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა და პოლიტიკურმა პროცესებმა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, გარკვეულწილად, შეაფერხა“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

ლექციის შემდგომი ნაწილი დაეთმო იმ პროცესების აღწერას, რაც საქართველოს ეკონომიკამ 90-იანი წლებში გადაიტანა. მომხსენებლის თქმით, დაშვებულია კატასტროფული შეცდომები. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში არაერთი დოკუმენტი შეიქმნა, რომელშიც გამოთქმული იყო ვარაუდები, თუ როგორ განვითარდებოდა საქართველოს ეკონომიკა, თითქმის ყველა მათგანი რეალობისგან შორს აღმოჩნდა.

მისი თქმით, მოვლენები ასე წარიმართა: საქართველომ მტკივნეულად გადაიტანა საბჭოთა კავშირის დანგრევა, რასაც მოჰყვა კონფლიქტები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში; არსებობდა ყოვლად გაუმართლებელი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც, ფაქტობრივად, ანგრევდა ქვეყანას; 1993-94 წლებში საქართველოში ინფლაციამ თვეში 50-70 პროცენტი შეადგინა; 1993 წლიდან შემოიღეს დროებითი ფულის ნიშანი — ქართული კუპონი, რომლითაც მხოლოდ პურის ყიდვა შეიძლებოდა, ისიც ტალონით; ბრუნვაში იყო რუსული რუბლი; ძალიან მოკლე დროში ერთი დოლარის ოფიციალური კურსით გახდა 2 400 000 კუპონი, ხოლო არაოფიციალური — ბაზარზე არსებული ფასით 5 700 000 კუპონი; საშუალო ხელფასი იყო დოლარ-ნახევრის ექვივალენტი, ხოლო პენსია — 10 ცენტის ექვივალენტი; რაც მთავარია, 1993-94 ის წლებია, როცა ქვეყანას არ გააჩნდა პარლამენტის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტი. „როგორ ფუნქციონირებდა სახელმწიფო? იგი ხარჯავდა ფულს და პარლამენტი ყოველი კვარტლის ბოლოს უმტკიცებდა განეულ ხარჯებს, რომელიც ეროვნული ბანკიდან სესხით ჰქონდა აღებული. ამან გამოიწვია ჰიპერინფლაცია და ეკონომიკური კრიზისი. დღეს, როდესაც ეკონომიკურ კრიზისზე საუბრობენ, ეს ღიმილის მომგვრელია, რადგან საქართველომ ისეთი პერიოდი გადაიტანა, მასთან შედარებით, ახლა არავითარი ეკონომიკური კრიზისი არ არსებობს. ეს პოლიტიკოსების შეთხზული ზღაპარია“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

რაც შეეხება ეკონომიკის ვარდნას, რომელიც ასევე 90-იანი წლების რეალობაა, მომხსენებლის თქმით, მდგომარეობა ასეთი იყო: საქართველოს ეკონომიკის მაჩვენებელი 1994 წელს, 1989 წელთან შედარებით, 3,5-ჯერ შემცირდა; ქვეყანა ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ თავად პარლამენტის სპიკერმა გააკეთა განცხადება — რადგან საქართველო ვერ მართავს ეკონომიკას, ხომ არ სჯობს, რომ რუსეთს ვთხოვოთ დაგვაბრუნოს რუბლის ზონაშიო. „ჩემი პირადი შეფასებაა, იმ ვითარებაში რუსეთისთვის კიდეც რომ გვეთხოვა რუბლის ზონაში დაბრუნება, არ დაგვაბრუნებდა, რადგან იგი არ იყო დღევანდელი რუსეთი, რომელიც ახლა სიხარულით მიგიღებს უკან, მას მაშინ თავად ჰქონდა პრობლემები და სუსტი ქვეყნის რუბლის ზონაში დაბრუნება არც მას აძლევდა ხელს, თუმცა ქართულ საზოგადოებაში ეს განწყობა მაინც არსებობდა“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

1994 წელს შეიცვალა საქართველოს ეკონომიკური გუნდი, რომელმაც განაცხადა, რომ ქვეყანას შეეძლო ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება და ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა, რითაც იგი სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდა.

პირველი რაც ამ გუნდმა გააკეთა, 1995 წელს შემოიღო ახალი ვალუტა — ლარი და აკრძალა რუბლის გამოყენება. ამან გამოიღო ის ეფექტი, რომ ლარმა შეაღწია ცხინვალსა და აფხაზეთში და შეიძინა სტაბილურობა. 1996-97 წლებში ეკონომიკურმა ზრდამ პირველად მიაღწია 10 პროცენტზე მეტს, ამავე პერიოდში პირველად დაფიქსირდა წლიური ინფლაცია 10-პროცენტზე ნაკლები და, რაც მთავარია საქართველოში ამ პერიოდიდან აღარ არის პურის პრობლემა, რომელიც ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იყო მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღებისა და ლარის შემოღებისთვის. „ვამაყობ, რომ მომიწია ამ რეფორმის ერთ-ერთი კომპონენტი ჩემზეც ყოფილიყო დამოკიდებული, თუმცა მარტო ამას ვერ შევძლებდი — ამ საქმეში ლომის წილი ეკუთვნით მაშინდელ ეროვნულ ბანკს და ფინანსთა სამინისტროს“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

1998 წელს საქართველო მორიგი სიძნელეების წინაშე დადგა. მოხდა ქვეყნის პრეზიდენტზე თავდასხმა, რომელმაც აჩვენა, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იყო პოლიტიკური სტაბილურობა; ამავე წლის მაისში ზოგიერთი პროვოკაციული ნაბიჯის გამო აფხაზეთის ტერიტორიიდან დაიძრა ლტოლვილთა მორიგი ნაკადი, რამაც გაამყარა მოსაზრება არასტაბილურობის თაობაზე და, რაც მთავარია, ამას დაემატა რუსეთის 1998 წლის აგვისტოს დეფოლტი, რამაც დიდი ზიანი მიაყენა, პირველ რიგში, რუსეთს და შემდეგ მის მეზობელ ქვეყნებს. საქართველო კიდევ ერთხელ აღმოჩნდა განსაცდელის წინაშე, რადგან მისთვის რუსეთი იყო ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორი. ამას მოჰყვა საკმაოდ მძიმე პროცესები: ქვეყანაში შემოდინება დაიწყო რუსულმა, ხშირად ფალსიფიცირებულმა, პროდუქციამ დაბალ ფასად (რუსები თავიდან იცილებდნენ რუბლს და პროდუქტს, რომ ნებისმერი ქვეყნიდან როგორმე წაეღოთ დოლარი). ასევე გამოიყენეს რუსეთის სამხედრო ბაზები, სადაც მოქმედებდა სამხედრო-საველე ბანკები — აქ ხდებოდა რუბლის შემოტანა დოლარის გასატანად. შედეგად — ლარმა პირველად დაიწყო გაუფასურება.

საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად დაიწყო რეზერვების ხარჯვა, რაც სწორი გამოსავალი აღმოჩნდა — შედეგად, ლარი კი უფასურდებოდა, მაგრამ არც ერთი ბანკი და ბიზნესმენი არ გაკოტრებულა.

ლექციის ნანილი დაეთმო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაწყებულ ეკონომიკურ რეფორმებს. ლადო პაპავას თქმით, მაშინდელი ხელისუფლების მიდგომა ასეთი იყო: „საქართველოს არ აქვს სტრატეგიული ობიექტები“.

„სტრატეგიული ობიექტების შერჩევის კრიტერიუმი ეკონომიკურ მეცნიერებას არ გააჩნია. ობიექტის სტრატეგიულობას განსაზღვრავს თავად ქვეყანა, რადგან ის მარტო ეკონომიკა არ არის და მას აქვს სხვადასხვა მოთხოვნა და საჭიროება, მაგრამ რევოლუციის შემდგომ პერიოდში ყველა ობიექტი შეფასდა, როგორც გასაყიდი. ითქვა ისიც, რომ ყველაფერი, მათ შორის გაზსადენიც, შეიძლება გაიყიდოს. ამ საკითხზე მოლაპარაკებებიც კი დაიწყეს „გაზპრომთან“. ეს რომ შესრულებულიყო, ფაქტობრივად ვკარგავდით მნიშვნელოვან ეკონომიკურ ბერკეტს, რადგან აღებული თანხა გაიხარჯებოდა, რუსეთს კი მანიპულირების შესაძლებლობა მიეცემოდა. მაშინ გადავრჩით, რადგან ათასწლეულის გამოწვევის პროგრამამ სწორედ მილების რეაბილიტაციისთვის 50 მილიონ დოლარამდე დაფინანსება გამოყო იმ პირობებით, რომ საქართველოს მთავრობა 5 წლის განმავლობაში მას არ გაყიდდა“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

მან აქვე ისაუბრა რუსეთის სტრატეგიაზე, და განაცხადა, რომ სწორედ 2003 წლიდან იწყება რუსული „ლიბერალური იმპერიის“ შექმნის პროცესი, რასაც სათავე დაუდო ანატოლი ჩუბაისის სტატიამ „ნეზავისიმაია გაზეტაში“, რომელშიც ის რუსეთის მისიად მიიჩნევს — შექმნას ახალი იმპერია არა იარაღით, არამედ ეკონომიკური მექანიზმებით. ლადო პაპავას აზრით, რუსეთი ეტაპობრივად დღესაც ახორციელებს ამ პროგრამას, რომლის მიხედვითაც მის ინტერესებშია — შეიძინოს მსხვილი ობიექტები ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიებზე და ამით შექმნას ეკონომიკური ბერკეტი ამ ქვეყნების მართვისთვის. მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლება საჯაროდ კი ლანძღავდა რუსეთს, მაგრამ ხელს არ უშლიდა, შეესყიდა მსხვილი სამრეწველო ობიექტები, მათ შორის ბანკები.

ლადო პაპავას აზრით, ეს იყო პერიოდი, როცა საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ახალი საფრთხე დაემუქრა. „2006 წელს რუსეთმა დახურა თავისი ბაზარი ქართული პროდუქციისთვის, რამაც დიდი ზიანი მოგვაყენა, მაგრამ იმის თქმა, რომ ამ პერიოდიდან არანაირი ეკონომიკური ურთიერთობები არ წარმოებდა რუსეთთან, არ იქნება მართალი, რადგან ბევრი ქართველი ცხოვრობს და შრომობს რუსეთში და მათ მიერ წლის განმავლობაში სოლიდური თანხა ირიცხება საქართველოში (ოფიციალური მონაცემებით, წლიურად, საშუალოდ მილიარდ ნახევარი დოლარი ირიცხება საქართველოში უცხოეთში მცხოვრები ქართველებიდან. აქედან 55 პროცენტამდე რუსეთში მცხოვრებ ქართველებზე მოდის“, — აღნიშნა მან.

რა ვითარებაა დღეს? ლადო პაპავას აზრით, დღეს საქართველო ინარჩუნებს დამოუკიდებლობას რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიების ღია ანექსიის ფონზე, მაგრამ გაჩნდა სხვა საშიშროებები: ქვეყანა დადგა არჩევანის წინაშე: დაახლოება ევროკავშირთან, რაც აუცილებლად დასრულდება ევროკავშირში შესვლით, ან შესვლა ევრაზიულ კავშირში, რაც იგივე დაბრუნებაა მოდერნიზებულ საბჭოთა კავშირში. „არის ასევე მესამე გზა — საქართველო გახდეს ნეიტრალური სახელმწიფო, მაგრამ ამას ახდენა არ უწერია, რადგან შენი ნეიტრალიტეტი არა მხოლოდ შენ, არამედ შენს მეზობელ ქვეყნებსაც უნდა აძლევდეს ხელს და მათ ინტერესებს აბალანსებდეს. ამიტომ რჩება ორი არჩევანი: ევროკავშირი და ევრაზიული კავშირი. თუ ჩვენ ვიტყვით, რომ გვინდა ევრაზიული კავშირის წევრობა, მეორე დღესვე უპრობლემოდ მიგვიღებენ, რადგან მას არანაირი წინაპირობები არ აქვს, მაგრამ თუ ვიტყვით, რომ გვინდა ევროკავშირი, მას უკვე სერიოზული წინაპირობები აქვს, რაც უნდა დაკმაყოფილო. ეკონომიკური ინტეგრაცია, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის ერთიან სივრცეში ყოფნას, ნიშნავს იმავე სტანდარტებს, რაც ევროკავშირის სხვა ქვეყნებს აქვთ, იმავე საბაზრო რეგულაციებს, რაც ევროკავშირს აქვს და სხვა. ეს გზა რთული გზაა, მაგრამ აქ დაცულია გარკვეული ფასეულობები — დემოკრატია, ადამიანის უფლებები, ინსტიტუტებისა და საბაზრო ეკონომიკის თავისუფლება. ამდენად, საქართველოს დამოუკიდებლობა მისი პერსპექტივა, განვითარება რეალურად ევროკავშირზე გადის. ევრაზიული კავშირი, თავისი არადემოკრატიული სივრცით და რუსეთის დიქტატით, არის თავის მოტყუება. ევროკავშირის წევრობა არ არის ჩვენი მიზანი, ევროკავშირი არის გზა, თუ როგორ უნდა გავხდეთ, მართლაც, დემოკრატიული და დამოუკიდებელი სახელმწიფო“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

სტუდენტის კითხვაზე — რა ინტერესები შეიძლება ჰქონდეს ევროკავშირს საქართველოს მიმართ, ლადო პაპავამ უპასუხა, რომ დღეს, შესაძლოა, მართლაც არაფერში აძლევდეს ხელს ევროკავშირს საქართველოს მიღება, მაგრამ ისეთი ქვეყანა უნდა შევქმნათ, რომ სასურველი ვიყოთ ევროპული ოჯახისთვის. „ამისთვის საზოგადოებაში უნდა იყოს ძლიერი სიგნალი, რომ არა მარტო გვინდა ევროკავშირის წევრობა, არამედ ყველაფერს ვაკეთებთ წინაპირობების შესასრულებლად. ერთ მაგალითს მოგიყვანთ: 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ბრიუსელში გაკეთდა განცხადება, რომ მზად არის საქართველოსთვის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი რეჟიმის მინიჭებისთვის. რა იყო ამის წინაპირობა? ბაზრის ანტიმონოპოლიური რეგულირება, მომხმარებელთა უფლებების დაცვა და შრომის კანონმდებლობის ცვლილება, რომელშიც დაცული იქნებოდა დასაქმებულების უფლებები. როდის მოხდა ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა? 2014 წელს, ანუ სახელმწიფო რეჟიმის შეცვლის შემდეგ, არადა ამის გაკეთებას სჭირდებოდა პოლიტიკური ნება, რომელიც, რომ გამოგვეჩინა, შეგვეძლო ეს 2010 ან 2011 წელს გაგვეკეთებინა... ესე იგი მთელი 3 წლით დავაგვიანეთ. ევროპას არსად ეჩქარება. ეს ჩვენს ინტერესებშია“, — განაცხადა მან.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტის სანდრო ტაბატაძის კითხვაზე — უნდა ერეოდეს თუ არა სახელმწიფო ეკონომიკის მართვაში და რამდენად შესაძლებელია, რომ დღეს საქართველოში გატარდეს კლასიკური ეკონომიკური პოლიტიკა, ლადო პაპავამ განაცხადა, რომ ეს არის ზოგადად ეკონომიკური მეცნიერების პრობლემა. ზოგი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ეკონომიკაში, ზოგი კი — პირიქით, ჩარევის მომხრეა. თანამედროვე გლობალიზაციამ და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა აჩვენა, რომ როცა შედარებით მშვიდი პერიოდები დგება, როგორც წესი, პოლიტიკურად კულტურულ ქვეყნებში სახელმწიფო არ ერევა ეკონომიკაში, ხოლო როდესაც კრიზისული პერიოდია, ეკონომიკა თავად ითხოვს — ხელისუფლება ჩაერიოს და პროცესები დაარეგულიროს. „ამდენად, ერთგვარი მიდგომა არ არსებობს, თუმცა, თუ ჩვენ გვინდა ევროკავშირში, იქ არის გარკვეული სტანდარტები და გარკვეული რეგულაცია, რომელიც, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ჩარევას გულისხმობს“, — აღნიშნა ლადო პაპავამ და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ — საქართველოს დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის სხვა გზა, გარდა ევროპულისა, არ გააჩნია.

მოამზადა **ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ**

რომელი თარიღი ასახავს ქვეყნის დამოუკიდებლობის საწყისს?

— ბატონო ვახტანგ, 1918 წელს იყო თუ არა მზად ქართველი ერი, ქართველი საზოგადოება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად?

— ცხადია, ქართველი ერი, ქართველი საზოგადოება მზად იყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად. დამოუკიდებლობამდე ქართველი ერი მივიდა ეროვნული მოძრაობით, რომელიც დაიწყო 1802 წლის 12 აპრილს. ამ დღეს თბილისში, სიონის ტაძარში, კახეთის თავადებმა და აზნაურებმა საჯაროდ განაცხადეს უარი რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულების ფიცის დადებაზე. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას მოჰყვა 1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა კახეთში, 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში, 1812 წლის აჯანყება კახეთში, 1819-1820 წლების აჯანყება იმერეთში, 1832 წლის შეთქმულება, XIX საუკუნის 60-80-იანი წლების დიდი ეროვნული მოძრაობა, XX საუკუნის დამდეგიდან დაწყებული ქართველ ავტოკეფალისტთა და ქართველ ავტონომისტთა მოძრაობა, ევროპაში მოღვაწე ქართველ ემიგრანტთა მიერ 1914 წელს ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" შექმნა. ასე რომ, 117 წლის მანძილზე საქართველოში ეროვნული მოძრაობა არ ჩამცხრალა და იგი 1918 წლის 26 მაისს ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა.

ქართველი ერი რომ მზად იყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მხოლოდ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით არ დადასტურებულა. რუსეთის იმპერიის აღსასრულიდან ორი კვირაც არ იყო გასული, რომ 1917 წლის 12 მარტს ქართველმა სამღვდელოებამ აღადგინა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, რომელიც რუსეთმა 1811-1814 წლებში წაგვართვა. 1918 წლის 26 იანვარს ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით დაარსდა ქართული უნივერსიტეტი (თბილისის უნივერსიტეტი). უნივერსიტეტის დაარსებით გაცხადდა ქართველ მეცნიერთა, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მისწრაფება — ქართველ ახალგაზრდობას უმაღლესი განათლება რუსული უნივერსიტეტების ნაცვლად ქართულ უნივერსიტეტში უნდა მიეღოთ. ეს ორი დიდი მოვლენა დაგვირგვინდა 1918 წლის 26 მაისს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით. ასე, რომ 1917-1918 წლის სამი დიდი მოვლენა — ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, ქართული უნივერსიტეტის დაარსება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა — ერთი პროცესის უმნიშვნელოვანესი ეტაპებია, სამივე მოვლენა დიდი ხნის მანძილზე მწიფდებოდა და ამდენად სავსებით კანონზომიერი იყო.

— ხშირად ისმის, რომ 26 მაისი კი არ უნდა ვიდღესასწაულოთ, როგორც დამოუკიდებლობის დღე, არამედ, 1991 წლის 9 აპრილი. თქვენ როგორ ფიქრობთ, რომელი თარიღი ასახავს ქვეყნის დამოუკიდებლობის საწყისს?

— რუსეთში შექმნილი კრიზისული ვითარებით, პრაქტიკულად სახელმწიფოებრიობის ნგრევით, დაუყოვნებლივ ისარგებლეს ერთ დროს რუსეთის მიერ დაპყრობილმა თუ ,,ნებაყოფლობით" შეერთებულმა ერებმა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს: ფინეთმა, უკრაინამ, ლიტვამ, ესტონეთმა, ბელორუსიამ, საქართველომ, აზერბაიჯანმა, სომხეთმა. პოლონეთმა, ლატვიამ. ხსენებული ქვეყნების ისტორიოგრაფია, მიუხედავად დაშვებული სერიოზული შეცდომებისა, დიდების შარავანდედით მოსავს იმ პოლიტიკურ ელიტას და პოლიტიკურ ლიდერებს, რომელთა წინამძღოლობითაც გამოცხადდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ასე შეიმოსა დიდების შარავანდედით პერ ევინდ სვინხუვუდისა და კარლ გუსტავ ემილ მანერჰეიმის (ფინეთი), მიხაელ გრუშევსკისა და სიმონ პეტლიურას (უკრაინა), იუზეფ პილსუდსკისა და იან იგნაცი პადერევსკის (პოლონეთი) სახელები.

სრულიად საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე საქართველოში. 1921 წლიდან დაწყებული ქართველი ისტორიკოსები, პუბლიცისტები, მწერლები და პოლიტიკოსები ცდილობენ მუქ ფერებში წარმოადგინონ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორია. დღემდე მიმდინარეობს ქართული პოლიტიკური ელიტის, პოლიტიკური ლიდერების დაუსაბუთებელი ლანძღვა-გინება (და არა კრიტიკა)! ამ საძრახისი კამპანიის მონაწილეებმა არც კი იციან, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიის გაყალბებისას, ნებსით თუ უნებლიეთ, იმეორებენ ვლადიმერ ლენინის, იოსებ სტალინის, სერგო ორჯონიკიძის, ფილიპე მახარაძის, ლევ ტროცკის და სხვა ბოლშევიკი ლიდერების გამონათქვამებს, პოპულარიზაციას უწევენ ოთხი კლასის განათლების მქონე, მოსკოვის წითელი პროფესურის ინსტიტუტდამთავრებული ბოლშევიკი ისტორიკოსების ნაცოდვილარს. უფრო მეტიც, საქართველოს ისტორიის გაყალბებისას ფართოდ გამოიყენება თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა შეხედულებები. უკვე ცხადზე ცხადია და სულ უფრო და უფრო ღრმავდება ბევრი უარყოფითი ტენდენცია.

1918 წლის 26 მაისს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შეფასება მოითხოვს საფუძვლიან ცოდნას, უამრავი დოკუმენტის ანალიზს, 1917-1918 წლებში ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში ზედმიწევნით ზუსტად გარკვევას. 1917-1918 წლებში მოღვაწე ქართული პოლიტიკური ელიტის განმქიქებელთა ,,ნაშრომებს" და ზეპირ გამოსვლებს როცა ეცნობი, იმთავითვე ცხადი ხდება ერთი ჭეშმარიტება: ეს ადამიანები ან საერთოდ არ იცნობენ, ან ძალზე ზერელე წარმოდგენა აქვთ იმ ურთულეს პროცესებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XX საუკუნის დამდეგიდან, კონკრეტულად კი, 1917-1918 წლებში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ისტორიული პროცესის შეფასება უნდა ემსახურებოდეს ერის ჭეშმარიტი ისტორიის დადგენას და არა პოლიტიკურ მიზნებს, უფრო მეტიც, საზოგადოების გათიშვასა და დაპირისპირებას.

— და მაინც, საინტერესოა თქვენი აზრი კითხვა ზე: 26 მაისი თუ 9 აპრილი?

— ამ რამდენიმე წლის წინ მავანისა და მავანის ინიციატივით დაიწყო დისკუსია, რომლის მიზანი იყო საზოგადოება დაერწმუნებინა შემდეგში: 26 მაისი არ უნდა აღინიშნოს, 9 აპრილია ნამდვილი დამოუკიდებლობის დღე! ნუთუ ძნელია იმის აღიარება, რომ 1918 წლის 26 მაისი არაფრით არ ჩრდილავს, არ აუფერულებს 1991 წლის 9 აპრილის დიდებულებას... პირიქით. აშკარაა, რომ ვიღაცას ასეთი პასუხი ხელს არ აძლევს, ვიღაცას სურს, რომ ერი მუდმივად გათიშული იყოს, უაზრო პოლემიკა დაუსრულებლად გრძელდებოდეს.

დღეს საქართველოში დამოუკიდებლობის დღედ ოფიციალურად 26 მაისია აღიარებული. გაუგებარია, რატომ ხედავენ ამ ფაქტში 9 აპრილის მნიშვნელობის დაკნინებას? რატომ მოითხოვენ დამოუკიდებლობის დღედ ოფიციალურად არა 26 მაისის, არამედ 9 აპრილის აღნიშვნას? ჩემი აზრით, უმჯობესია ოფიციალურად დამოუკიდებლობის დღედ აღინიშნოს 26 მაისი. ეს მოსაზრება ემყარება შემდეგს:

პირველი. ქართველმა ერმა მრავალჯერ დაკარგა და აღიდგინა სახელმწიფოებრიობა, მაგრამ დამოუკიდებლობის აღდგენა საგანგებო სახელმწიფოებრივი აქტით პირველად 1918 წლის 26 მაისს გაფორმდა. თეორიულად ასეთი აქტი შეიძლებოდა გამოცემულიყო დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალეს მეფობის ჟამს, გაცილებით ადრეც და გვიანაც. 1918 წლის 26 მაისამდე მიღებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სხვა აქტი, წერილობითი ან სხვა სახით დადასტურებული, ჩვენამდე მოღწეული არ არის.

მეორე. 1991 წლის 31 მარტს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე ჩატარებული რეფერენდუმის დროს მოსახლეობამ უპასუხა კითხვას: **მომხრე იყო თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?** კითხვის ამგვარად ფორმულირება აბსოლუტურად სწორი იყო. ცხადია, საქართველოს უზენაეს საბჭოს შეეძლო მოსახლეობის აზრი ამგვარი კითხვითაც გაეგო: ხართ თუ არა მომხრე აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა? ამ შემთხვევაში 1991 წლის 9 აპრილის „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის" ძალით მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე გაჩენილი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ე.ი. დღევანდელი საქართველო, ვერ იქნებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) სამართალმემკვიდრე, ანუ სამართალმემკვიდრეობითი კავშირი ხელოვნურად გაწყდებოდა. გარდა ამისა, 1991 წლის აპრილში, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა საბჭოთა კავშირი, საქართველოსთვის პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელი იყო იმისი დეკლარირება, რომ ქართველი ერი ახდენდა 1918 წლის 26 მაისს, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, სავსებით კანონიერად აღდგენილი და 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ამრიგად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და 1991 წლის 9 აპრილის „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის" იურიდიულ საფუძველს 1918 წლის 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი" წარმოადგენდა.

მესამე. 1991 წლის 9 აპრილს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების შემდეგ ძალაში დარჩა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი, დროშა და ჰიმნი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა იმას, რომ 1991 წლის მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე გაჩენილი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე იყო.

ასეთია პასუხი კითხვაზე, რომელიც შეიძლებოდა, არც დასმულიყო.

ესაუბრა **მაია ტორაძე**

ხელშეკრულება თსუ-სა და ევროპის ლექსიკოგრაფიულ ასოციაციას შორის

Ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას 2016 წლის 6-10 სექტემბერს ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის (EURALEX) მე-17 საერთაშორისო კონგრესის თსუ-ში ჩატარების შესახებ.

ღონისძიებისთვის უნივერსიტეტს ეწვივნენ ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის პრეზიდენტი, დოქტორი ლარს ტრაპ-იენსენი (დანიური ენის ინსტიტუტი, კოპენჰაგენი) და დოქტორი ანდრეა აბელი (ევროპული აკადემია, ბოლზანო, იტალია).

თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელის თინათინ მარგალიტაძის განცხადებით, „მნიშვნელოვანია, რომ ეს კონგრესი ჩატარდება საქართველოში. ეს არის ძალიან მაღალი აკადემიური დონის ღონისძიება. ევროპელი ლექსიკოგრაფების აქ ჩამოსვლა ნიშნავს იმას, რომ საფუძველი ჩაეყრება თანამშრომლობას, ახალი პროექტების ინიცირება მოხდება და თვითონ დარგის პოპილარიზაციას შეუწყობს ხელს. ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანაში ასეთი დიდი და მასშტაბური ღონისძიების ჩატარება ძალიან დიდ სტიმულს მისცემს ლექსიკოგრაფიის განვითარებას".

„ეს დოკუმენტი არის ფორმალური თანხმობა იმისა, რომ ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის საერთაშორისო კონგრესი გაიმართება თსუ-ში. ეს არის რიგით მე-17 კონფერენცია და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელ ლექსიკოგრაფებს უყრის თავს. ჩვენ მოვიარეთ მთელი ევროპა და ვფიქრობ, კონფერენციის ჩატარება ევროპის რუკის ახალ კუთხეში — საქართველოში, ნამდვილად კარგი გამოცდილება იქნება მონაწილეებისთვის," — აღნიშნა ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის პრეზიდენტმა, დოქტორმა ლარს ტრაპ-იენსენმა.

ევროპის ლექსიკოგრაფიული ასოციაციის კონგრესზე იკრიბებიან პროფესიონალი ლექსიკოგრაფები, გამომცემლები, მკვლევრები, პროგრამისტები და ზოგადად ლექსიკოგრაფიით დაინტერესებული პირები.

პროგრამა მოიცავს საჯარო ლექციებსა და სექციურ სხდომებს სხვადასხვა თემაზე, კომპიუტერული პროგრამების პრეზენტაციას, დისკუსიას მრგვალ მაგიდასთან, სპეციალიზებულ სემინარებს კონგრესის წინა პერიოდში, წიგნებისა და კომპიუტერული პროგრამების გამოფენას და აგრეთვე კულტურულ პროგრამას მონაწილეთათვის და მათი სტუმრებისათვის.

კონგრესის დევიზია: ლექსიკოგრაფია და ლინგვისტური მრავალფეროვნება.

ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲘ 75

ᲠᲘᲡᲛᲐᲒ ᲒᲝᲠᲓᲔᲖᲘᲐᲜᲘ

ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲡ, ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ, ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲜᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲝᲒᲠᲔᲪᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲠᲘᲡᲛᲐᲒ ᲒᲝᲠᲓᲔᲖᲘᲐᲜᲡ 9 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ 75 ᲬᲔᲚᲘ ᲣᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ. ᲑᲐᲢᲝᲜ ᲠᲘᲡᲛᲐᲒᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲔᲑᲘ, �კᲝᲚᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲐᲓ ᲣᲫᲦᲕᲜᲘᲐᲜ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲑᲐᲢᲝᲜ ᲠᲘᲡᲛᲐᲒᲡ 75 ᲬᲔᲚᲘ ᲣᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ. ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲛᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲕᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲗ, ᲕᲐᲤᲐᲡᲔᲑᲗ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚ ᲒᲖᲐᲡ, ᲕᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲗ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲖᲔ, ᲓᲘᲓ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲔᲖᲔ, ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲖᲔ. ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲓᲘᲓᲘᲐ, ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦ�წᲔᲕᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ? ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲠᲘᲡᲛᲐᲒᲘ, ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ? �პᲐᲡᲣᲮᲘ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲡᲐᲙᲐᲛᲐᲗᲝᲐ, ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲔᲑᲘ — ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ.

ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲘᲡᲛᲐᲒ �გᲝᲠᲓᲔᲖᲘᲐᲜᲘ, ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲐᲠᲘᲡ �პᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲛᲔᲢᲘᲡᲘᲡᲐᲪ... ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲘᲒᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲘᲐ, ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲘᲗ, ᲣᲜᲐᲠᲘᲗ, ᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲐᲦᲡᲐᲥᲛᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲘᲡᲔ ᲛᲝ�გᲐᲬᲝᲓᲝᲡ, ᲗᲘᲗᲘᲥᲝᲡ ᲐᲜᲑᲐᲜᲣᲠ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲖᲔ ᲒᲔᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲒᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲐ ᲡᲮᲕᲐ. ᲑᲐᲢᲝᲜ ᲠᲘᲡᲛᲐᲒᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲞᲐᲢᲐᲠ-ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲮᲐᲠᲔᲑᲓᲔᲡ, ᲔᲪᲐᲓᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲰᲑᲓᲐᲠᲨᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲛᲝᲘᲘᲫᲘᲝᲡ, ᲗᲝᲠᲔᲛ „ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲔᲥᲜᲔᲑᲐ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲝ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ". ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲘᲥᲜᲔᲑ ᲔᲡ ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔᲐ, ᲗᲣᲛᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ. ᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ �პᲐᲢᲐᲠᲐ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘᲗ, ᲑᲐᲕᲨᲕᲣᲠᲘ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ, ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲧᲝᲗ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲒᲐᲒᲕᲚᲘᲛᲔᲑᲘᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲬᲘᲚᲐᲓ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝᲓ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ. ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲛᲔᲪ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲘᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲤᲠᲐᲖᲐᲪ ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ: „ᲡᲮᲕᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲜᲣ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲐᲕᲗ, ᲔᲪᲐᲓᲔᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲗ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ". ᲔᲡ, ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲑᲐᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ ᲗᲣ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲘᲡᲔᲣᲚ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲐᲓ ᲒᲔᲪᲘᲪᲐ, ᲠᲔᲐᲚᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲛᲝ�გᲘᲢᲐᲜᲡ ᲙᲔᲗᲘᲚ ᲜᲐᲧᲝᲤᲡ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲦᲐᲪ, ᲠᲘᲡᲘ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘᲪ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲠᲘᲡᲛᲐᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲡ�წᲐᲕᲚᲘᲡ. ᲔᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲓᲐᲒᲐᲯᲔᲠᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲜᲘ ᲓᲐᲠᲒᲘ, ᲨᲔᲜᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲘᲛᲐᲗᲒᲐᲜ, ᲠᲘᲡᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲪ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲠ, ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲤᲠᲐᲖᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲡᲔᲜᲢᲔᲜᲪᲘᲐᲗᲐ ᲠᲐᲜ�გᲨᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲐᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ. ᲑᲐᲢᲝᲜ ᲠᲘᲡᲛᲐᲒᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲞᲐᲢᲐᲠ-ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲮᲐᲠᲔᲑᲓᲔᲡ, ᲔᲪᲐᲓᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲰᲑᲓᲐᲠᲨᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲛᲝᲘᲘᲫᲘᲝᲡ, ᲗᲝᲠᲔᲛ „ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲔᲥᲜᲔᲑᲐ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲝ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ". ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲘᲥᲜᲔᲑ ᲔᲡ ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔᲐ, ᲗᲣᲛᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ, ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲩᲐᲤᲚᲣᲚᲗ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲓᲠᲝ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲰᲠᲐᲠᲕᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲦᲐᲛᲘᲡ 12 ᲡᲐᲐᲗᲖᲔᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲐᲜ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲓᲐᲜ. ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲠᲘᲡᲛᲐᲒᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲐ �გᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲘᲛ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲙᲐᲠ�გᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ.

ᲠᲘᲡᲛᲐᲒ �გᲝᲠᲓᲔᲖᲘᲐᲜᲛᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲮᲕᲐ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲐᲛ �გᲕᲐᲡ�წᲐᲕᲚᲘ. ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲡ, ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲤᲠᲐᲖᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲡᲔᲜᲢᲔᲜᲪᲘᲐᲗᲐ ᲠᲐᲜ�გᲨᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲐᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ. ᲑᲐᲢᲝᲜ ᲠᲘᲡᲛᲐᲒᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲞᲐᲢᲐᲠ-ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲮᲐᲠᲔᲑᲓᲔᲡ, ᲔᲪᲐᲓᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲰᲑᲓᲐᲠᲨᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲛᲝᲘᲘᲫᲘᲝᲡ, ᲗᲝᲠᲔᲛ „ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲔᲥᲜᲔᲑᲐ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲝ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ". ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲘᲥᲜᲔᲑ ᲔᲡ ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔᲐ, ᲗᲣᲛᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ II ᲢᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲝ ᲐᲜ-ᲖᲔ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲛ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝ�პᲔᲓᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲓᲐᲕᲐᲡᲠᲣᲚᲣᲚᲘ. ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲓᲘᲓᲘᲐ. ᲗᲣ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲗ, ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝ�პᲔᲓᲘᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲐᲠ�გᲛᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲐᲖᲔᲪ �გᲐᲛᲝᲘᲪᲔᲡ. ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑ ᲩᲔᲛᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲛᲝᲜᲝ�გᲠᲐᲤᲘᲐᲖᲔ — „ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲐ, ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲘᲖᲛᲘ, ᲐᲕᲐᲜ�გᲐᲠᲓᲘ ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ", ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ. ᲛᲝᲜᲝ�გᲠᲐᲤᲘᲐ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ: ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲔᲑᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲒᲕᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ Ე�პᲝᲥᲘᲡ ᲞᲘᲠᲛᲨᲝᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲠᲙᲕᲔᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲦᲠᲛᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲜᲐᲓ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲓᲐ...

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲪᲕᲚᲐ, ᲠᲐᲪ ᲔᲞᲝᲥᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ, ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲡᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲝ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡᲐᲪ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲪ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ ᲛᲘᲕᲣᲫᲕᲔᲜᲘᲗ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲒᲕᲘᲢᲝᲕᲔᲑᲓᲐ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲛ ᲒᲐᲜᲪᲓᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲔᲞᲝᲥᲐᲨᲘ. თქვენ შეძელით, რომ უიმედობის ყველაზე უფრო დამთრგუნველ წლებში ჩვენს დედაუნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ინსტიტუტად გარდაქმნის გზით ერთგვარი ოაზისი მოგეწყოთ და თქვენშივე არსებული ოპტიმიზმით სიცოცხლის ხალისი მიგენიჭებინათ კოლეგებისა და მოწაფეებისთვის, გეგრძნობინებინათ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, დრო შეიცვლება და ყველას ღვაწლი, თუნდ უმნიშვნელო, დაფასდება, რადგან:

„ფოთოლთა მსგავსი არის მოდგმა
ადამიანთა,
ფოთლებს მიწაზე ფანტავს ქარი;
ხოლო ტყე, ოდეს კვირტს მოისხამს
გაზაფხულის ჟამს, აღმოაცენებს ახალ
ფოთლებს.
ასევე არის კაცთა მოდგმაც:
ერთი იშვება, სხვა კი — ქრება“.

ჰომეროსის ეს სტრიქონები, რომელიც გიყვართ და ჩვენც შეგვაყვარეთ, ანტიკური ხანის მრავალ სხვა დიდებულ აზრთან ერთად კარგა ხანია იქცა ჩვენი სიცოცხლის თანამდევად. თქვენ მუდამ ცდილობთ, რაც შეიძლება მეტი ახალბედა მიიზიდოთ რაღაც მაგიური ძალით და თქვენი გამოცდილება გაუზიაროთ. ეს მაგიური ძალა თქვენი კეთილშობილება და პროფესიონალიზმია. არასოდეს დაგიშურებიათ იდეა, რომელიც ჩვენს ინტელექტს გაამდიდრებდა; არასოდეს დაგიშურებიათ ძალისხმევა, რომელიც თქვენ უზარმაზარ დროს გართმევდათ, ხოლო ჩვენ, თქვენს გარშემო თავმოყრილებს, ახალი ენერგიით გვავსებდა.

იმ მრავალ დიდებულ თვისებათა შორის, ჩვენო ძვირფასო ადამიანო, მსურს, მხოლოდ ერთი გამოვყო და ეს ყველას კარგად მოეხსენება: თქვენ მოწაფეთა არა მხოლოდ მეცნიერულ წინსვლაზე, არამედ სასიცოცხლო პირობებზე, სულიერ მდგომარეობასა და ჯანმრთელობაზეც ზრუნავთ, ამ სიტყვათა სრული გაგებით. თავად ვარ მომსწრე იმისა, თუ როგორ გახარებთ მათი მადლიერი თვალების მზერა, ვისაც უანგაროდ დაეხმარეთ, ვისაც სიცოცხლე გაუხანგრძლივეთ!

იმ უშურველი სიკეთისთვის, იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, იმ მშვენიერი სამყაროსთვის, რომელსაც თქვენი თვალსაწიერიდან გვაზიარეთ, ჩვენო დიდო მასწავლებელო, მადლობა თქვენდა ..!

ᲜᲐᲜᲐ ᲢᲝᲜᲘᲐ
ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲛᲗᲐᲠ�გᲛᲜᲔᲚᲘ

ᲠᲘᲡᲛᲐᲒ ᲒᲝᲠᲓᲔᲖᲘᲐᲜᲘ — ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲘ

*ᲣᲙᲕᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲐ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲠᲘᲡᲛᲐᲒ �გᲝᲠᲓᲔᲖᲘᲐᲜᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲐᲣᲓᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ ᲓᲒᲐᲡ ᲓᲐ ᲓᲘᲓ ᲔᲚᲘᲜᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ. ᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲣᲡᲛᲔᲜᲘᲐ, ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲭᲧᲕᲔᲡ ᲐᲜ-ᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲐᲕᲡᲘᲗ ᲛᲝ�გᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐ. ᲝᲠᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲓᲔ ᲘᲥᲪᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲠᲝᲕᲔᲗᲐ ᲖᲘᲐᲠᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝ

ერთ დღეს დაბადებულებს უსიტყვოდაც გვესმის ერთმანეთის...

ბატონი რისმაგის ღირსებებს რა ჩამოთვლის, ყველაზე მეტად მე მისი დახვეწილი იუმორის გრძნობა მომწონს. მრავალი მოგონება გვაკავშირებს ბატონ რისმაგთან, მისი განუმეორებელი „ფრთოსანი“ გამონათქვამები ყველას მეხსიერებაში გვაქვს აღბეჭდილი. ერთ-ერთ მის გამონათქვამს გავიხსენებ, ხშირად ეუბნება ჩვენს უცხოელ სტუმრებს: „მე პრეისტორიული ხანის ადამიანი ვარ“, რაც ყველას ღიმილს ჰგვრის. მართლაც, ბატონმა რისმაგმა თაობები აღზარდა, ყველგან შეხვდებით ერთ ადამიანს მაინც, ვინც მის ლექციებსა თუ საჯარო მოხსენებებს ესწრებოდა და დღემდე იმ შთაბეჭდილების ქვეშ არის. გასაოცარია, მაგრამ მისი ლექციები ახლაც ისეთივე მომნუსხველია ახალგაზრდა თაობისთვის, როგორც ადრე. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩვენც, მისი მოწაფეები და უკვე მისი კოლეგები, როდესაც მის მოხსენებებს ვისმენთ, ყოველ ჯერზე აღმოვაჩენთ ხოლმე ბატონი რისმაგის გასაოცარ ნიჭს, მსმენელს განსხვავებული კუთხით დაანახოს პრობლემის აქტუალობა; ახლის ძიება, ახალგაზრდა თაობასთან ურთიერთობის სწრაფვა, განუმეორებელი ენთუზიაზმი ლექციების კითხვისას, ახალგაზრდა თაობის წახალისება და ხელშეწყობა — ეს არის ის ღირსებები, რაც მას ყველასგან გამოარჩევს.

9 ივნისი ჩემთვის განსაკუთრებული დღეა, ამ დღეს დაიბადა ბატონი რისმაგი და მეც. სტუდენტობის პერიოდში, ყოველ 9 ივნისს, როცა ბატონ რისმაგს ვეტყოდი, რომ ამ დღეს ჩემი დაბადების დღეც იყო, ჩამომართმევდა ხოლმე ხელს და მთელი დღე ბედნიერი ვიყავი.

ერთ დღეს დაბადებულებს ხშირად უსიტყვოდაც გვესმის ერთმანეთის.

გილოცავთ, ბატონო რისმაგ, ყოველთვის თქვენი მადლიერი ვიქნები, დიდი მადლობა, რომ ჩვენს გვერდში ხართ და თქვენი თანადგომით მომავლის იმედს გვისახავთ.

მაია დანელია,
ფილოლოგიის დოქტორი, მკვლევარი

A pectore

მილოცვა ყველაზე ბანალური ფორმაა ადამიანის „შესამკობად“: კეთილგანწყობა უნდა გამოხატო, უსურვო რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება მეტად... მილოცვები ხშირად ერთმანეთს ჰგავს.

და სწორედ იმიტომ, რომ თქვენზე ძალიან ბევრია სათქმელი, ძნელია, მოძებნო რამე ისეთი, რაც მხოლოდ შენ გიფიქრია, რაც დაარღვევს ამ ტრაფარეტს. და რადგან ამ წერილს მილოცვის სახე უნდა ჰქონდეს, რა გაეწყობა! თავიდანვე ბანალურობისთვის ვყოფილვარ განწირული და მეც ნება-უნებლიე მივყვები ამ შაბლონს...

ბატონო რისმაგ! გილოცავთ და გისურვებთ ყველაფერს საუკეთესოს, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მეც ერთი იმ უამრავ ადამიანთაგანი ვარ, ვინც გულწრფელად გაფასებთ, უყვარხართ და თქვენი მადლიერია.

როცა სტუდენტი ვიყავი, ვფიქრობდი, რომ მსგავსი ლექტორი არ არსებობდა უნივერსიტეტში (ახლაც არ შემცვლია აზრი), მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი უსათუოდ პირველ რიგში ვსხდებოდით და სულგანაბული ვუსმენდით თქვენს ყოველ სიტყვას, არ გამოგვრჩებოდა თქვენი არც ერთი მოძრაობა, მიმიკა, გარდა იმისა, რომ „ვშთანთქავდით“ თქვენს სიტყვებს, მოკლედ რომ ვთქვა — „შეყვარებულები ვიყავით“.

ისეთი საოცარი ენერგია და შემართება მოიფრქვეოდა თქვენგან, ბუნებით მომადლებული ის „ჯადო“, რომელსაც ბევრი მჭევრმეტყველი და რიტორი ინატრებდა.

ამ მოკლე მოლოცვაში არ ვაპირებ და არც შემიძლია თქვენი მეცნიერული ღვაწლის შეფასება, არ ვაპირებ უამრავი საქებარი სიტყვის თქმას, მინდა მხოლოდ ერთი ეპიზოდი გავიხსენო (რაც ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო).

როცა ინსტიტუტი დავამთავრე, ცოტა ხანში დავიწყე მუშაობა „ბერძნულ-ლათინურ ბიბლიოთეკაში“, თარგმანებისთვის უნდა მოგვეკიდა ხელი, შეგვერჩია სათარგმნი მასალა. თქვენ დამიძახეთ და მითხარით, რომ არ იქნებოდა ურიგო, თუკი ოვიდიუს ნაზონის სასიყვარულო ელეგიებს ვთარგმნიდი; დავიბენი, ვერაფრით წარმოვიდგინე, რომ ამ ავტორს შევბედავდი, მაგრამ თქვენი შემართება გადამდები აღმოჩნდა. „რა მოხდა, აიღებ, წაიკითხავ, დაფიქრდები და თარგმნი! დაიწყე, ელეგიებს შეიძლება დავარქვათ „ტრფობანი“.

მერე, როცა უკვე მთარგმნელობით საქმეს შევბედე და შევბედე, თავი რომ მთარგმნელად დავიგულე, გაოცება მიპყრობდა, როცა მახსენდებოდა თქვენ მიერ აბსოლუტურად ზუსტად შერჩეული სათაური, რომლის მოფიქრება ბევრ ალღოიან მთარგმნელს გაუჭირდებოდა — „Amores“ — „ტრფობანი“.

ეს ეპიზოდი იმიტომ გავიხსენე, რომ მეთქვა, ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი „აღმოჩენით“, ზუსტი რეპლიკით, თანადგომით დახარჯულხართ თქვენი მოწაფეებისთვის ან უბრალოდ ადამიანებისთვის, რომლებიც თქვენგან რჩევას და დახმარებას ელოდნენ.

ბატონო რისმაგ, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე მინდა რომ გითხრათ — ძალიან მიყვარხართ, იცოცხლეთ დიდხანს...

მანანა ღარიბაშვილი,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, მთარგმნელი

῏Ω timiẃtate kúrie ῾Rhsmága,

panta kala en kairw autwn su pepraga~. Dia touto to peri twn ebdomhkonta pente sou kairo~ eipein, oti suneta kai eutuch ta eth sou tauta. Ta men tou Omerou: exauda, mh keuqe now. Nun de kai egw kata dunamin thn emhn ta th~ eucaristia~ rhmata soi meta cara~ anaqhsw.

Esti ta maqhmata panta a emoi anedeixa~ kai osa para sou eilhfa, w mega~ didaskale, ta~ kala~ upoqhka~, sun oi~ pantose eimi: ferousa men ta th~ megalh~ didaskalia~ sou spermata noera, ferousa de ek twn spermatwn toutwn kai tou~ karpou~ oiou~ dunaton emoi. isw~ men upostrefw pro~ se th eucaristw dianoia palin: ou gar tou amhsanto~ o kalo~ stacu~, alla tou speiranto~.

H cara meta sou pantote.

დიდად პატივცემულო ბატონო რისმაგ,

მრავალი კეთილი მისთვის შესაფერ ჟამს აღასრულე და ამიტომაც შენი სამოცდათხუთმეტის მიმართ ჟამია ითქვას, რომ ბრძენი და ბედნიერია ეს შენი წლები. ჰომეროსს უთქვამს: „გაამჟღავნე, გონებაში ნუ დაიფარავ”, და მეც ხალისით მოგიძღვნი ახლა, რაოდენადაც შევძლებ, მადლობის სიტყვას.

ყოველი მეცნიერება, რაც გამიმხილე და რაც მივიღე შენგან, დიდო მოძღვარო, კეთილ სწავლებად მიმყვება ყველგან: ვარ რა მტვირთველი შენი სწავლების გონიერ თესლთა და შევიწყნარებ, შეძლებისამებრ, ნაყოფსაც მათგან, შენ გიბრუნდები მადლიერებით აღსავსე აზრით კვლავაც და კვლავაც: მთესველისაა ნაყოფი კეთილი და არა მისი, ვინც ის მოიმკო.

იხარე მარად!

თინა დოლიძე,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

უფროსი მეგობარი

ბატონი რისმაგი ჩემთვის ის ადამიანია, რომლის სახელიც, უპირველეს ყოვლისა, უნივერსიტეტთან და მეცნიერებასთან ასოცირდება. იგი ჩემთვის ყოველთვის იყო და დარჩება სამაგალითო, მისაბაძ ლექტორად და მეცნიერად, უბრალოდ, კეთილ, ყურადღებიან ადამიანად, უფროს მეგობრად. იშვიათად შემხვედრია ასეთი ენერგიული, ენთუზიასტი, სიახლისადმი გახსნილი და გულისხმიერი ადამიანი. იგი ყოველთვის გამონახავს დროს შენთვის, მაშინაც, როცა ძალიან დაკავებულია, მოიცლის და მოგისმენს მაშინაც, როცა ძალიან დაღლილია, გულწრფელად დაინტერესდება შენი პრობლემებით და დაგეხმარება მათ გადაჭრაში. ჩემთვის ძვირფასია ის ადამიანური, თბილი, უშუალო ურთიერთობები, რაც წლების მანძილზე მაკავშირებდა და მაკავშირებს მასთან. არასდროს მიგრძვნია, რომ მხოლოდ სტუდენტი ვიყავი, ის კი უკვე გამოცდილი და აღიარებული ლექტორი და მეცნიერი. ახლა, როცა ასეთი ყურადღებით ვითვისებთ და ვნერგავთ სწავლების ახალ მეთოდებს, სიამოვნებით ვიხსენებ, რომ ბატონი რისმაგი წარმატებით იყენებდა მათ სასწავლო პროცესში, როცა ანტიგონეს განვასახიერებდი (ბიძინა რამიშვილი კი კრეონი იყო), მაშინ არ ვიცოდი, რომ ამას „როლური თამაშები“ ერქვა და სწავლების ერთ-ერთი თანამედროვე სტრატეგიაა დღესაც.

ბედნიერი ვარ, რომ უნივერსიტეტში სწავლის წლები გავატარე იმ საოცრად ჰარმონიულ და კომფორტულ გარემოში, რომელსაც ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა ერქვა და რომლის საფუძველზეც შეიქმნა მოგვიანებით კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, რაც მისი, როგორც მეცნიერებისა და განათლების დიდი ორგანიზატორის დასტურია.

ყოველთვის სიამაყით აღვნიშნავ, რომ ვარ ბატონი რისმაგ გორდეზიანის მოწაფე. ბედნიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა მიმეწვია იგი საჯარო ლექციების წასაკითხად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და გადაჭედილ სააქტო დარბაზში ჩემს სტუდენტებთან ერთად, ამდენი წლის შემდეგ, მომესმინა მისი არაჩვეულებრივი ლექციები. დღეს ბატონი რისმაგის არაერთ საპატიო წოდებას შორის, ბათუმის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორობაცაა.

მადლობა ყველაფრისათვის, ჩემო ძვირფასო მასწავლებელო!

მარინე გიორგაძე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

თანადროულობის მძაფრი შეგრძნებებით...

ის, რომ ბატონი რისმაგის სახელს, დამსახურებისამებრ, უკავშირდება ელინოლოგიის ქართული სკოლის განვითარების ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპი და საერთაშორისო აღიარება, რეალობაა.

ბატონი რისმაგის თვისებათაგან გამოვარჩევ ერთ-ერთს: თანადროულობის მძაფრ შეგრძნებას ცხოვრებაში, მეცნიერებაში და მუდმივ სწრაფვას სიახლისკენ...

მრავალწლიანი „მოზაიკიდან“ გავიხსენებ მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს, როდესაც იგი განსაკუთრებულ მღელვარებასა და სიხარულს გამოხატავდა: დათქმულ დროს ჩვენი შეხვედრა ტროაში (80-იანი წლები), ქართული საოპერო ხელოვნების ტრიუმფი გერმანიაში — დუისბურგში, ჯანსულ კახიძის „გაბრწყინება“ პარიზში (90-იანი წლები) და 2014 წლის 29 დეკემბერს გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის უკვდავყოფა მთაწმინდაზე...

ალარაფერს ვამბობ სამეცნიერო-პედაგოგიურ სარბიელზე შემდგარ მოვლენათა შესახებ.

მომავალშიც მრავალ სიხარულს ვუსურვებ ძვირფას ბატონ რისმაგს!

Vade in pace! Gens una sumus!

ვალერი ასათიანი,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, დოქტორი, ასოციაცია „კულტურათა დიალოგი — 21“ პრეზიდენტი

75

* * *

Res et opera tua cano – gratulor tibi sincere diem natalem, carissime collega Rismag!

Tu iamdudum prudenter fideliterque gubernas institutum nostrum, es auctor magnorum operum, multorum discipulorum egregius educator, inceptor effectorque omnium optimarum rerum, qui et hodie iuvenali industria pergis acta tua.

“Sume superbiam meritis quaesitam”, salve, viveque, esto diuturnus noster coryphaeus!

დაბადების დღეს გილოცავ, ძვირფასო კოლეგა რისმაგ, შენი საქმეებისა და ღვაწლის დამფასებელი.

შენ დიდი ხანია ხარ საიმედო და გონიერი მესაჭე ჩვენი ინსტიტუტისა, ავტორი დიდებული ნაშრომებისა, მრავალ მოსწავლეთა გამორჩეული აღმზრდელი, ინიციატორი და განმახორციელებელი ყველა სასიკეთო წამოწყებისა, ვინც დღესაც ახალგაზრდული შემართებით განაგრძობ შენს საქმიანობას. „მიიღე დამსახურებულად მოპოვებული დიდება”, იცოცხლე, კარგად იყავი, იდღეგრძელე, ჩვენო სასიქადულო წინამძღოლო!

ᲘᲐᲛᲖᲔ ᲒᲐᲒᲣᲐ,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲮᲐᲠᲣᲚᲘ

აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანს, როგორც მეცნიერს, კარგად იცნობს მთელი ქართული საზოგადოება და ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთაც, მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოება.

პროფესორი რისმაგ გორდეზიანი, როგორც საოცარი ხიბლის მქონე ბრწყინვალე ლექტორი, ცნობილია მისი მრავალრიცხოვანი აუდიტორიისთვის.

თავად მის მიერ დაარსებული ინსტიტუტის დირექტორი რისმაგ გორდეზიანი, როგორც შესანიშნავი ორგანიზატორი და გულისხმიერი ხელმძღვანელი, ასევე კარგად არის ცნობილი აკადემიური წრეებისა და სტუდენტებისთვის.

ამიტომ მხოლოდ მის ერთ თვისებაზე გავამახვილებ ყურადღებას, რომელიც, საზოგადოდ, კარგ მეცნიერობაზე, ლექტორობასა თუ ორგანიზატორობაზე იშვიათია და რომელიც, შესაძლოა, ყველასთვის ცნობილი არ იყოს: ეს არის სიხარული სხვების წარმატების და, უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო მიღწევების გამო, ამასთან, არა მხოლოდ საკუთარი სტუდენტების (საკუთარი მოსწავლის წარმატება ყველა მასწავლებელს ახარებს, რადგან ამას პირად დამსახურებადაც აღიქვამს), არამედ ყველა კოლეგის წარმატების გამო, იქნება ეს მისი ინსტიტუტის წევრი თუ სხვა, თუნდაც კონკურენტი დაწესებულებისა. ჩემი აზრით, სხვა ბუნებრივ უნარებთან ერთად, ხასიათის სწორედ ეს თვისება განაპირობებს ბატონი რისმაგის როგორც ინსტიტუტის ხელმძღვანელის გამორჩეულობას და ასევე მისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის ნაყოფიერებასაც.

ჯანმრთელობას და კიდევ დიდი ხნით აქტიურ აკადემიურ მოღვაწეობას ვუსურვებ ჩემს მასწავლებელს!

ᲛᲐᲒᲓᲐ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ

თაობებს, რომელნიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წინა საუკუნის 60-70-იან წლებში სწავლობდნენ, კარგად ახსოვთ, როგორ გაიგივდა ახალგაზრდა მეცნიერის რისმაგ გორდეზიანის სახელი ანტიკურ ლიტერატურასა და, საერთოდ, კულტურასთან. მიზეზი ამისა, არა მხოლოდ მისი ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა და რიტორიკული ხელოვნებით გადმოცემა, არამედ ის დიდი სიყვარული იყო და არის, რომელიც ბატონ რისმაგს ამ კულტურასთან აკავშირებს და, რომლითაც იგი თავის მსმენელებსაც „აავადებს” და აიძულებს იგი არა მხოლოდ ისტორიულ წარსულად, არამედ თანამედროვეობასთან კონტექსტში ცოცხლად აღიქვან და განიცადონ.

და კიდევ: ბატონი რისმაგი დღესაც ისევე რჩება ახალგაზრდობის მეგობრად, დამწყებ მკვლევართათვის გზის მაჩვენებლად და მათ მომავალზე მზრუნველად, როგორც ეს მრავალი წლის წინ იყო. ღმერთმა ინებოს, ბატონი რისმაგის დღეგრძელობა და მისი კეთილშობილური მოღვაწეობის ხანგრძლივობა, რომელიც დღეს ასე განსაკუთრებით სჭირდება ქართულ მეცნიერებასა და უნივერსიტეტს.

ᲒᲕᲐᲜᲪᲐ ᲙᲝᲞᲚᲐᲢᲐᲫᲔ,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲘᲔᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲓᲐᲜ

რისმაგი 75 წლისაა. დრო როგორ მიდის! თითქოს არ გასულა დიდი ხანი მას შემდეგ, რაც პირველად მომეცა მის ინსტიტუტში სტუმრობისა და კოლეგებთან კონტაქტების დამყარების საშუალება, კონტაქტებისა, რომლებიც სულ უფრო იძენს ცხოველმყოფელობას. როგორ გაიზარდა ინსტიტუტი, მიუხედავად მძიმე წლებისა საქართველოში. რამდენმა სტუდენტმა მიიღო წარმატებით განათლება რისმაგის ინსტიტუტში, რომლებსაც დღეს მნიშვნელოვანი პოზიციები უკავიათ ქართული საზოგადოების სხვადასხვა უბანზე.

რისმაგის ინსტიტუტი იყო და არის მეცნიერების, კულტურისა და ჰუმანურობის ოაზისი. არ არის ადვილი ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელშიც სამეცნიერო საქმიანობა ასე აყვავდება. რისმაგ გორდეზიანმა ეს საქმე საუცხოოდ იცის. რამდენი დაწერა მან თავად და რა რაოდენობის პუბლიკაცია შეიქმნა მისი ხელმძღვანელობით. სენსაციურია ის ფაქტი, რომ არსებობს წიგნის ჯიხური მხოლოდ ერთი ინსტიტუტის პუბლიკაციებისთვის.

ხშირად ვეკითხები ჩემს თავს, იქნებოდა თუ არა საქართველო ჩემთვის სამშობლოსავით რისმაგისა და მისი ინსტიტუტის გარეშე. იმდენს ვუმადლი მას და არა მარტო მე, არამედ ყველა, ვინც გერმანიიდან საქართველოში ჩამოდის, რისმაგის დიდ წრეში ხვდება და კვლავაც აქ დაბრუნებაზე ოცნებობს.

Ad multos annos, carissime Rhesmaga!

ᲐᲜᲔᲒᲠᲔᲢ ᲞᲚᲝᲜᲢᲙᲔ-ᲚᲘᲣᲜᲘᲜᲒᲘ,
იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი, კლასიკური არქეოლოგიის კათედრა, სიძველეთმცოდნეობის ინსტიტუტი

multum adhuc super est faciendum

სახელი, ალბათ, მართლაც განსაზღვრავს ადამიანის მომავალს (და აქ, რადგანაც ex nihilo nihil — დიდი პატივისცემით მინდა გავიხსენო თქვენი მამა — ცნობილი ფუტურისტი, მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე, შრიფტი გორდეზიანის შემქმნელი ბენო გორდეზიანი — არაერთხელ მოხსენიებული ქართულ ლიტერატურაში:

„დღეს კი ჭაბუკი ფუტურისტები
ანადგურებენ ძველ საქართველოს.
მაგრამ დგებიან კვალად კითხვები
სად არის ბრძოლის თავი და ბოლო?
პასუხი არის ბენოს სიტყვები
პოეზიაა მიმიკა მხოლოდ” [პაოლო იაშვილი]
და უსათნოესი დედა – ექიმი ნანა სილოგავა) .

არ მეგულება ამ სახელის მატარებელი სხვა ადამიანი არა მარტო საქართველოში, არამედ დედამიწის ზურგზე. ასეთივე გამორჩეული ბრძანდებით თქვენ - რისმაგ გორდეზიანი, ჩვენი ბატონი რისმაგი, რომელიც საკმარისია მხოლოდ სახელით მოიხსენიო (თუმცა უღრმესი პატივისცემის ნიშნად ზოგიერთები მას „ბისმარკს“ ეძახიან), ყველა ხვდება, ვიზეა საუბარი. მახსენდება ექსპედიციაში მთებში, არ მახსოვს ოღონდ სვანეთის იყო, თუ რაჭის, იმ ადგილას, სადაც ძე-ხორციელი არ ჭაჭანებდა, მთას გადმომდგარი კაცი „რისმაგის“ ძახილით, ანდა იფარში (სვანეთი) სახლიდან გამოსული კაცი, რომელმაც უცბად იცნო ჩვენი ბატონი რისმაგი, შინ შეიყვანა და თვალის დახამხამებაში, ისეთი გამოუშვა, რომ ჩვენ ვეღარ გვცნობდა.

ნაცნობი ყველგან შეხვდა (ბუნებრივია მეცნიერულ წრეს არ ვგულისხმობ), მაღაზიაში, ფოსტაში, ერთხელ ხათრი ვერ გაუტეხა მილიციონერს (ახლანდელი პოლიციელი) და მის მიერ შემოთავაზებული მოტოციკლის ეტლში (ძველ მოტოციკლებს რომ ჰქონდა გვერდით) ჩაჯდა.

ბუნებრივია, არა მარტო სახელით, არამედ უპირველეს ყოვლისა, თქვენი ლექციებით გვახსოვხართ სტუდენტებს. არაჩვეულებრივი ლექტორი, მასწავლებლად დაბადებული, რომელსაც აქვს უნარი აღგაფრთოვანოს, დაგარწმუნოს, რომ შენ შემთხვევით არ მოხვედი ამ ქვეყანაზე, რომ შენ დიდი მისია გაკისრია, გასაშიფრი გაქვს A-ხაზოვანი დამწერლობა, ფესტოს დისკო, აღმოსაჩენი გაქვს ატლანტიდა და ა.შ.; მისი ლექციებიდან გამოსულებს ასეთი გრძნობა გვქონდა „აქეთ გორასა ფეხსა ვკრავ, იქით გორასა ძვრას ვუზამ“ და ა.შ.

არაფერს ვიტყვი თქვენს სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებზე, ახალ კურსებზე, სამეცნიერო სტატიებზე, საჯარო გამოსვლებზე, არა თქვენ, არამედ ჩვენდა საამაყოდ ვიტყვი, რომ საქართველოში გამოჩენილი ჰომეროლოგი მოღვაწეობს, დიახ, ჰომეროლოგიაში, რომელიც მსოფლიო ფილოლოგიაში ყველაზე უფრო დიდი და მნიშვნელოვანი სფეროა და თქვენ ხართ ამ ყველაზე კარგად შესწავლილი ავტორის შემოქმედების, როგორც შინაარსით, ასევე მოცულობითაც უზარმაზარ ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დამოწმებული მკვლევარი.

თქვენ შეგიძლიათ კრეატიულობისთვის ყოვლად შეუფერებელ დროს (სამწუხაროდ, დღესაც შესაფერისის მოლოდინში ვართ) წარმოუდგენელი ჩანაფიქრის განხორციელება („ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა“, „ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის შემსწავლელი ლაბორატორია“, „კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი“, ენციკლოპედია „Caucasus Antiquus“ და სხვ.) და ჩვენ, თქვენი „სიყრმის“ მოწაფეები ამის მომსწრე და რამდენადმე „მონაწილეებიც“ ვართ.

თქვენ გიმადლით არა მარტო ჩვენს გაწვრთნას (როგორ გამოგივიდათ, ეს სხვა საკითხია), არამედ იმ ექსპედიციებს, მოგზაურობებს, რომლითაც ყველაზე მეტად პირველი გამოშვების ხალხმა ანუ ჩვენ „ვიხეირეთ“ (სანკტ-პეტერბურგი, მთელი საქართველო, საბერძნეთი, თურქეთი, იტალია, მაგრამ უნდა შეგახსენოთ, „რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია“, პირობაცა გაქვთ მოცემული და ჩვენ შეჩვეულები ვართ მათ ასრულებას). არ მეგულება არც ერთი ტურისტული სააგენტო, რომელსაც ასე მოფიქრებული, გათვლილი, დაგეგმილი ჰქონოდეს მარშრუტი, გათვალისწინებული ყოველი დეტალი.

და ჩვენ მადლიერნი ვართ ბედის, რომ ჩვენი ცხოვრების გზაზე შეგვხვდა ასეთი მასწავლებელი, კოლეგა, მეგობარი, რომელსაც ყოველთვის გაუმართავს ხელი მათთვის, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა, უხარია და ამაყობს მრავალრიცხოვანი მოწაფეების წარმატებით.

და ჩვენ ჩვენზე უფრო ახალგაზრდა მასწავლებელში ჩვენ სიყრმეს, მასთან ერთად გავლილ ცხოვრების გზას ვხედავთ და ამიტომაც კიდევ უფრო გვეახლობლებით და გვეძვირფასებით.

გულწრფელად გვჯერა, რომ თქვენი გაუკეთებელი არაფერია. ამიტომაც თქვენ, თქვენსა და ჩვენს ლევანსა და არაჩვეულებრივ ლიკუნასთან ერთად გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და კიდევ ბევრი განზრახვის განხორციელებას.

„პოლიქრონიონ“, ბატონო რისმაგ, multum adhuc super est faciendum.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲤᲮᲐᲙᲐᲫᲔ
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ...

რისმაგ გორდეზიანის სახელი ფართო საზოგადოებაში, უპირველეს ყოვლისა, დიდი მეცნიერისა და მკვლევარის, შესანიშნავი პედაგოგისა და ბრწყინვალე ინტელექტუალის ასოციაციას აღძრავს. ჩვენთვის კი, იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც მასთან მუშაობისა და მის ლექციებზე დასწრების პატივი გვერგო, ბატონი რისმაგი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ლექტორი და პედაგოგი. პირველივე კურსის პირველი სემესტრიდან მქონდა ბედნიერება დავსწრებოდი მის ლექციებს და დიდხანს არ მიფიქრია, თუ რა იქნებოდა ჩემი სამომავლო ინტერესის სფერო. ბატონი რისმაგის ლექციები არის საოცარი მოგზაურობა იმ ჯადოსნურ სამყაროში, რასაც ანტიკურობა ჰქვია.

აქვე უნდა აღინიშნოს უფროსი თაობის, ჩვენი ლექტორების მისდამი დამოკიდებულება, რომლებიც თავადაც ბატონი რისმაგის სტუდენტები იყვნენ. ჩვენთვის სამაგალითოა — თუ როგორი მოწიწებითა და პატივისცემით საუბრობენ მასზე.

ბატონი რისმაგი არის ადამიანი, რომელიც ყოველთვის უსმენს სტუდენტებს და ცდილობს გაიზიაროს მათი მოსაზრებები, იყოს მათი გულშემატკივარი. ჩვენ გვაქვს უნიკალური შანსი, რომ მისი ხელშეწყობით გამოვავლინოთ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი. მე არ მახსენდება შემთხვევა, რომ მას უარი ეთქვას სტუდენტების მიერ წამოყენებული ინიციატივის განხორციელებაზე. ბატონი რისმაგი არის ბიძგი იმისა, რომ ჩვენ გაგვიჩნდეს ახალი იდეები სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროექტებისთვის, რადგან ვიცით, რომ იგი ყოველთვის უდიდესი აღფრთოვანებით ეგებება ჩვენს წინადადებებს და სურვილებს.

თუმცა, ალბათ, უნდა აღინიშნოს ყველაზე მთავარი: ბატონი რისმაგი საკუთარი ცხოვრებით, დაუღალავი შრომით, წარმოუდგენელი მასშტაბების სამეცნიერო და კვლევითი მოღვაწეობით გვაძლევს უდიდეს სტიმულსა და მაგალითს იმისა, თუ როგორები უნდა ვიყოთ თავად. ჩვენთვის პატივია, რომ მისი სტუდენტები გვქვია და ამის გამო ვგრძნობთ უაღრესად დიდ პასუხისმგებლობასაც.

მომავალ თაობებსა და საკუთარ თავსაც ვუსურვებ, რომ კიდევ მრავალი წელი ჰქონოდეთ მასთან მუშაობისა და ურთიერთობის შესაძლებლობა. რადგანაც მათ ელით უკიდეგანოდ საინტერესო და თავგადასავლებით აღსავსე მოგზაურობა ანტიკურ სამყაროში, რომლის ღირსეული მესაჭე გახლავთ ბატონი რისმაგი.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ,
სტუდენტი

რისმაგ გორდეზიანი — ანტიკური ხანის მკვლევარი

მეშვიდე გვერდიდან

პრობლემის ცალკეულ ასპექტებზე არა ერთი ნაშრომი არსებობს, ეს მონოგრაფია იქნება ამ ყველაფრის მთლიანად გამოკვლევისა და ერთ წიგნში წარმოდგენის პირველი ცდა კლასიკურ ფილოლოგიაში.

— ***მოდით დავუბრუნდეთ საწყისებს. როგორ მიხვედით ანტიკურ ეპოქამდე. ორიოდე სიტყვით თქვენი ბიოგრაფიის ამ ეპიზოდის შესახებაც გვიამბეთ.***

— სკოლაში, ბევრი ჩემი თანატოლის მსგავსად, ძალიან შეყვარებული ვიყავი ლიტერატურაში: ვწერდი ლექსებს და, ჩემი ჭკუით, რომანებსაც კი... სკოლის დამთავრებისას უნდა გადამეწყვიტა, საბუნებისმეტყველო მიმართულებას ავირჩევდი თუ ჰუმანიტარულს, რადგან ყველა საგანში საკმაოდ კარგი შედეგები მქონდა. სკოლის დირექტორმა, ბატონმა ვარლამ თავაძემ, რომელიც ჩვენი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელიც იყო, მირჩია, უნივერსიტეტში ფილოლოგიურზე ჩამებარებინა. მეც დავეთანხმე მას იმ იმედით, რომ დიდი მწერალი გავხდებოდი.

პირველ კურსზე ანტიკური ლიტერატურის ისტორიაში ლექციებს გვიკითხავდა კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი პანტელეიმონ ბერაძე. რადგან უცხო ენებს ვფლობდი, მან შემირჩია საკმაოდ დიდი სამეცნიერო ლიტერატურა თემის („ცეზურა დაქტილურ ჰეგზამეტრში“) დასამუშავებლად. ამ ლიტერატურის შესწავლის პროცესში მივხვდი, რომ მწერლობაზე მეტად მეცნიერება მაინტერესებდა. სხვათა შორის, ხელი შემიწყო იმანაც, რომ ჩემმა უფროსმა მეგობარმა ვახუშტი კოტეტიშვილმა დელიკატურად მირჩია კლასიკურ ფილოლოგიასა და მეცნიერებას გავყოლოდი. მას შემდეგ აღარც ლექსი დამიწერია, აღარც მოთხრობა. ჩემს არჩევანში შემდგომ არასოდეს დავეჭვებულვარ. მეცნიერებაში ჩემი საქმიანობის არც ერთ ეტაპზე არ დამჭირვებია კონიუნქტურისთვის ანგარიშის გაწევა და არც ის, რომ დაბალი ხარისხის ნაწარმოებზე მეთქვას: - ეს რა კარგია და დიდებული! ანტიკურ კულტურაზე საუბრისას არ გჭირდება შეფასებისას ძალდატანება. თუ შემოქმედზე ამბობ გენიოსია, ის ნამდვილად იყო გენიოსი; რაზეც ამბობ მშვენიერია, ნამდვილად მშვენიერი ნაწარმოებია. ეს კულტურა სავსეა გენიოსებითა და მშვენიერი ქმნილებებით ლიტერატურასა თუ სახვით ხელოვნებაში. ამიტომაც სტუდენტობიდან მოყოლებული დღემდე სიამოვნებითა და გატაცებით ვაგრძელებ ამ საქმეს.

— ***თქვენი პირველი სამეცნიერო ნაშრომები ჰომეროსს უკავშირდებოდა და, საერთოდ, ცნობილია, რომ ძალიან გიყვართ ჰომეროსი.***

— ჩემი პირველი ნაშრომი იყო „ცეზურა დაქტილურ ჰეგზამეტრში” და ეს საკითხი, ფაქტობრივად, ჰომეროსის ლექსთწყობის ერთ სადისკუსიო საკითხს უკავშირდებოდა. მეორე ნაშრომი გახლდათ „ფეაკების ქვეყანა „ოდისეაში”. სადიპლომო თემა, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებიც ჰომეროლოგიაში მქონდა. მიმაჩნია, რომ ჰომეროსის პრობლემებზე მუშაობამ ძალიან ბევრი მომცა, რადგან თვითონ ჰომეროსია ყველანაირი ინსპირაციის ამოუწურავი წყარო: მან, ფაქტობრივად, განსაზღვრა ანტიკური კულტურის განვითარების მიმართულება. იგი თითქმის ყველა ეპოქაში ითვლებოდა და დღემდე ითვლება უდიდეს პოეტად.

— ***უნდა ითქვას, რომ საქართველოში უამრავი ახალგაზრდა და სტუდენტი, მრავალი თაობა სწორედ თქვენი წყალობით ეზიარა ჰომეროსს და მის სამყაროს...***

— ჰომეროსზე ლექციებს ვკითხულობ გასული საუკუნიდან მოყოლებული დღემდე. ყოველთვის მაოცებდა, თუ როგორ აღელვებდა და დღემდე აღელვებს აუდიტორიას ჰექტორისა და აქილევსის ორთაბრძოლის, პრიამოსისა და აქილევსის შეხვედრის ამბები... როცა ამაზე ვყვები, ზოგიერთს თვალში ცრემლი ერევა. ამაზე სოკრატე-პლატონის დიალოგები გაგვცემდა პასუხს, რომ ღვთიური მუზების სამყარო იზიდავს პოეტს, მერე უკვე მაგნიტის პრინციპი მოქმედებს: ის შენ გიზიდავს, შენ სხვას და ეს დაუსრულებლად გრძელდება, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ნაწარმოები ჭეშმარიტად დიდია.

— ***მიიჩნევა, რომ კლასიკური ფილოლოგიის მიმართულება საქართველოში ყოველთვის ძლიერი იყო და ბოლო ათწლეულების სირთულეებსაც წარმატებით გაართვით თავი. რამ განაპირობა ეს?***

— კლასიკური ფილოლოგიის კათედრის დამფუძნებელი უნივერსიტეტში იყო გრიგოლ წერეთელი, რომელიც ქართული უნივერსიტეტის დაარსებისას მოიწვია ივანე ჯავახიშვილმა. ვფიქრობ, გრიგოლ წერეთელი იყო მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ჰუმანიტარი მეცნიერი, უბრწყინვალესი მთარგმნელი, რომელიც პეტერბურგის აკადემიის წევრი გახლდათ. იგი ჩამოვიდა თბილისში, ჩაუყარა საფუძველი კლასიკური ფილოლოგიის კათედრას. მისი „ბერძნული ლიტერატურის ისტორია” საბჭოთა კავშირში ბერძნული ლიტერატურის პირველი ორიგინალური აკადემიური ისტორია იყო. მართალია, მისი ხელნაწერი ტექსტი რუსულად ჰქონდა დაწერილი, მაგრამ იგი სპეციალურად ითარგმნა, რათა პირველად ქართველი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. პეტერბურგიდან გრიგოლ წერეთელმა ჩამოიტანა პაპირუსების თავისი მდიდარი კოლექცია, რომლის საფუძველზე გამოიცა მეცნიერებისთვის დღემდე სამაგალითო ხუთტომეული. მან დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. თუმცა, 1938 წელს, იგი რეპრესირებული იქნა იმის გამო, რომ კავშირები ჰქონდა უცხოეთთან, იყო აღიარებული მეცნიერი და არ ეპუებოდა კონიუნქტურას. კლასიკურ ფილოლოგიაში მეორე დიდი ფიგურა გახლდათ აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი, რომელმაც არა მარტო კლასიკური ფილოლოგია წასწია წინ, არამედ ბიზანტინოლოგია დააფუძნა საქართველოში. მათ მიერ დაწყებული საქმე თანდათან ფართოვდებოდა: კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე შეიქმნა ანტიკურ ავტორთა თარგმნისა და გამოცემის რედაქტორ-მთარგმნელთა ჯგუფი, ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა, შემდეგ დაარსდა ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორია. და აი, 1996 წელს, როდესაც საქართველოში საბერძნეთის საელჩო გაიხსნა, მოვიდა ჩვენთან ბატონი ელჩი, ტასოს კრიეკუკისი და იკითხა, რისი გაკეთება იქნებოდა კარგი ელინოლოგიის განვითარებისათვის. გამახსენდა ჩემი კოლეგების დიდი ხნის ოცნება და ვუპასუხე, რომ კარგი იქნებოდა ინსტიტუტის შექმნა, რომელიც გააერთიანებდა ყველა ჩვენი დარგის სტრუქტურას. ელჩმა საბერძნეთიდან გამონახა საკმაოდ სოლიდური თანხა, რომელმაც საშუალება მოგვცა — მოგვეწესრიგებინა უნივერსიტეტის მე-8 კორპუსი, საორგანიზაციო საკითხები და რამდენიმე თვეში შევძელით, რომ სასწავლო პროცესი დაგვეწყო. დღეისათვის თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეკისტიკის ინსტიტუტი თავისი გამომცემლობით, სპეციალიზებული ბიბლიოთეკებით ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო ინსტიტუტია. ინსტიტუტი თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს. თუმცა, ამასთან ერთად, გვაქვს ინსტიტუტის ხელშეწყობის ფონდიც, საიდანაც ფინანსდება გამომცემლობა და ცალკეული ღონისძიებები. ჩვენი საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი” წელიწადში 20-25 წიგნს უშვებს ინსტიტუტის პროფილის დარგებში. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ყველანაირად ვეცადე ინსტიტუტში არ მომხდარიყო ერთი თაობისა და ასაკის მკვლევართა კონსერვაცია. დღეისთვის აქ ყველა თაობაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, გვაქვს ძალიან ფართო და მნიშვნელოვანი საერთაშორისო კავშირები.

— ***თქვენს ერთერთ პუბლიკაციაში ძალიან საინტერესოდ დასვით შეკითხვა უნივერსიტეტთან დაკავშირებით და აღნიშნეთ: შეუძლია თუ არა დღევანდელ უნივერსიტეტს მაღალი დონის მეცნიერები მისცეს ქვეყანას? პირადად თქვენ როგორ ფიქრობთ, ამ ამოცანის გადაჭრა რამდენადაა შესაძლებელი?***

— ვფიქრობ, რომ ამჟამად არსებული სისტემა ნაკლებად იძლევა კარგი მეცნიერის მომზადების შესაძლებლობას. სისტემა, ძირითადად, გრანტების მოპოვებაზეა ორიენტირებული. ამიტომ მომრავლდნენ გარშემო ადამიანები, რომლებიც რაღაც ღირებულის შექმნაზე კი არ ფიქრობენ, არამედ იმაზე, რაც შეიძლება მეტი გრანტი მოიპოვონ. პრაგმატულობა კარგია, თუმცა მოქმედი სისტემის შეფასებისას ერთი უბრალო მონაცემია გასათვალისწინებელი: ბოლო 20-25 წლის განმავლობაში მსოფლიოში მეტ-ნაკლებად ცნობილი რამდენი მეცნიერი აღიზარდა უნივერსიტეტში? დავანებოთ თავი მსოფლიო სახელს; ისეთი რამდენი მეცნიერი მოვამზადეთ, რომელსაც საქართველოში იცნობენ და აღიარებენ, რომელსაც შეიძლება მიანდო მნიშვნელოვანი საქმეები? თუკი აღმოჩნდება, რომ აქ არ გვაქვს საქმეები სახარბიელოდ, ეს დამაფიქრებელია, ესე იგი, ჩვენი სისტემა კარგად არ მუშაობს. მინდა გითხრათ, რომ ახლა უნივერსიტეტის რექტორი ძალიან ცდილობს მეცნიერების მიმართ ინტერესი გაზარდოს, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა ქვეყანაში მეცნიერების დაფინანსებისა და წახალისების სისტემის ისე შეცვლა, რომ წამყვან მეცნიერს ჰქონდეს საშუალება — შეარჩიოს ნიჭიერი ახალგაზრდა, გაზარდოს, დააყენოს მეცნიერად... მისი დოქტორანტი არ უნდა ფიქრობდეს იმაზე, თუ კიდევ სად წავიდეს სამუშაოდ და ხელფასის ასაღებად, რათა ოჯახი არჩინოს. ახლა, რაც გრანტებში ფული იხარჯება, თავისუფლად გასწვდება განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების მომზადებას, ოღონდ იგი უნდა მიეჩვიოს, რომ იბრძოლოს ღირებული პროდუქციის შესაქმნელად და არა გრანტების მოსაპოვებლად. კარგია პრაგმატიზმი, მაგრამ

ცოტა რომანტიკულიც თუ არ არის ადამიანი, დიდ სიმაღლეებს ვერ მიაღწევს.

— ***მიუხედავად იმისა, რომ მუდამ იყავით მეცნიერებაში და არასოდეს წასულხართ პოლიტიკაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობიდან შორსაც არ მდგარხართ. როგორ აფასებთ დღევანდელი გადასახედიდან თქვენს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საქმიანობასა და შეხედულებებს?***

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის მეცნიერება უმთავრესი იყო, მოხდა ისე, რომ სხვადასხვა თანამდებობებზე მომიხდა მუშაობა. საბჭოთა პერიოდში, 60-იან წლებში, ბატონი აკაკი კარანაძე დაინიშნა უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნად. მან თავი მოუყარა გამორჩეულ ახალგაზრდებს, შეგვკრიბა და გამოგვიცხადა, რომ ქვეყანა დეგენერაციისკენ მიექანებოდა და პარტიაში ნორმალური ხალხის შესვლა იყო აუცილებელი. ამის შემდეგ ხანგრძლივი ბჭობა მქონდა ოჯახში, მამაჩემთანაც, რომელმაც 30-იანი წლების მთელი კოშმარი გამოიარა, ჩემს მეგობრებთანაც და მირჩიეს, რომ ჩემი პარტიაში შესვლა საქმეს წაადგებოდა. ასე მივიღე გადაწყვეტილება და გადავდგი ეს ნაბიჯი. 1973 წელს ჩემი უფროსი კოლეგა ალექსანდრე ალექსიძე, რომელიც პარტიული კომიტეტის მდივანი იყო უნივერსიტეტში, სხვა თანამდებობაზე გადაიყვანეს. გადაწყდა, რომ მის ადგილზე მე უნდა დავენიშნეთ. ახალი დაბრუნებული ვიყავი იტალიიდან, სადაც ილია ვეკუას ხელშეწყობით გავემგზავრე სტაჟირებაზე და სადოქტორო დისერტაციაზე ვმუშაობდი. იქედან ჩამოსული დამუხტული ვიყავი ჩვენს დარგში აქტიურად სამუშაოდ. ყველას, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგეს, ცეკას მდივანს იდეოლოგიის დარგში უარი ვუთხარი შემოთავაზებული თანამდებობის დაკავებაზე. საბოლოოდ, უშუალოდ ედუარდ შევარდნაძესთან მომიხდა შეხვედრა. მასაც გამოვუცხადე: რად გინდათ ისეთი პარტიული კომიტეტის მდივანი უნივერსიტეტში, რომელიც ზის კაბინეტში და ფიქრობს ჰომეროსსა და ეტრუსკებზე? მაგრამ მას გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. მაშინ ვუთხარი, რომ ჩემთვის პარტიული საქმე ყოველთვის იქნებოდა მეორეხარისხოვანი, პირველი კი იქნებოდა ის, რისთვისაც მთელი ცხოვრება ვემზადებოდი. ვთხოვე, მომავალში არ ეფიქრათ ჩემს უნივერსიტეტიდან წაყვანაზე უფრო მაღალი თანამდებობის შემოთავაზების გზით. ამის შემდეგ კარგა ხანს ვიყავი უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი, უკვე დამოუკიდებლობის პირველ წლებში უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის თხოვნით, უნივერსიტეტის პრორექტორი, მაგრამ ჩემთვის ეს ყოველთვის იყო დროებითი საქმე. მიუხედავად იმისა, რომ პარტიულ თუ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობისას ძალიან დაკავებული ვიყავი, ოდნავადაც არ შემიკვეცია ჩემი სამეცნიერო თუ პედაგოგიური საქმიანობა.

— ***ანტიკური კულტურა და დღევანდელობა – რისი მიღება შეუძლია ჩვენს პრაგმატულ ეპოქას ანტიკური კულტურიდან?***

— ჩვენი ეპოქა გამოირჩევა თავისი საოცარი ეკლექტიზმით, სადაც არა მარტო სამყარო, კონკრეტული ერთი ადამიანიც კი აბსოლუტურად ეკლექტიკურია. ეს ყოველ დროში შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ ახლა ამან კულმინაციას მიაღწია. ვფიქრობ, რომ ანტიკურობიდან ჩვენმა ეპოქამ შეიძლება მიიღოს მოწესრიგებულობის, სისტემურობის მუხტი. მეორე, რაც ანტიკურობას აქვს, არის ჰომოგენურობა. არ გვაწყენდა რაღაცა დოზით გადაჭარბებული ეკლექტიზმი ზომიერი ჰომოგენურობით დაგვებალანსებინა. ამდენად, ანტიკური კულტურიდან, რომელსაც დიდი სიმაღლე გამოარჩევს როგორც მხატვრული კულტურის, ისე ფილოსოფიური აზროვნების სფეროში, ჩვენ ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად ვიღებთ გარკვეული სტაბილურობის განცდას. ანტიკურ ნაწარმოებთან ურთიერთობისას გრძნობთ, რომ ეს არის ერთიანი, მთლიანი სამყარო, რომელიც არა ერთი ასპექტით თქვენზე ბევრად მაღლა დგას. მიუხედავად იმისა, რომ მას ამდენი საუკუნე გვაშორებს და, დღეს, რომელიმე ანტიკურ მწერალთან თუ ხელოვანთან შედარებით, გაცილებით მეტი ვიცით, ბევრ შემთხვევაში გაგვიჭირდება შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის ძალით ანტიკურობის კორიფეებთან გატოლება. დღეს, როდესაც ხშირად გაიგებთ, რომ ადამიანები, მეტწილად, ცარიელები და უინტერესოები არიან, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დიდ კულტურასთან ზიარებას, რომელსაც შეუძლია — შეავსოს შენში არსებული სიცარიელე; გაგხადოს ბევრად უფრო საინტერესო; გასწავლოს — როგორ გაუხსნა სული და გონება მშვენიერებას.

— ***ანტიკურობიდან რომელია თქვენი საყვარელი ლიტერატურული და ისტორიული პერსონაჟი?***

— ლიტერატურული პერსონაჟებიდან ჰექტორი — „ილიადაში”, რადგან იგი ვაჟკაცობისა და კეთილშობილების უმაღლესი გამოვლინებაა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ისტორიულ პერსონაჟს – ალექსანდრე მაკედონელი. მან ხომ თავის ეპოქას გაუსწრო. იგი ფიქრობდა მსოფლიო სახელმწიფოს შექმნაზე და თითქმის მიიყვანა კიდეც ეს იდეა ბოლომდე. ეს გახლდათ პირველი მსოფლიო სახელმწიფო, სადაც მთავარი იყო კულტურული და მსოფლმხედველობრივი და არა ეთნიკური ფაქტორები. კაცი, რომელიც 32 წლის ასაკში აღესრულა, შეძლო შეექმნა სრულიად ახალი სამყარო, ახალი მენტალიტეტი, მაგრამ იმდენად გაუსწრო თავის ეპოქას, რომ მისი სიკვდილიც ლოგიკური იყო, რადგან ის ეპოქა მზად არ იყო მაკედონელის კონცეფციისთვის.

მოამზადა
ლელა კურდღელაშვილმა

ამერიკისმცოდნეობის XVI ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია

Ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის გახსნას, რომელიც ამერიკის სამოქალაქო ომის (1862-68 წ.წ.) დასრულების 150-ე წლისთავს მიეძღვნა.

თამარ დადიანი

კონფერენციის მონაწილეებმა საქართველო-ამერიკის ურთიერთობის ფონზე განიხილეს პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის საკითხები.

შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა 20 წლის წინათ, 1992 წლის 23 აპრილს დამყარდა. განვლილმა წლებმა აჩვენა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში ოკეანისგაღმელი პარტნიორის როლი განსაკუთრებულია. მარტო ასობით მილიონი დოლარის პირდაპირი ინვესტიცია და რამდენიმე მილიარდი დოლარის ფინანსური მხარდაჭერა რად ღირს. ამერიკას მხოლოდ 18 ქვეყანასთან აქვს ასეთი ტიპის ურთიერთობა, რაც მნიშვნელოვან პოლიტიკურ მხარდაჭერაზე მიუთითებს. მნიშვნელოვანია, რომ ეს მხარდაჭერა დაფუძნებულია ღირებულებებზე, რაც აისახება კიდეც საგარეო პოლიტიკაზე — ამერიკა მტკიცედ უჭერს მხარს ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, არაღიარების პოლიტიკას. ამერიკის დამსახურებაა ის, რომ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა რუსეთის ყოფნას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ოკუპაციად მიიჩნევს.

ამერიკა-საქართველოს კულტურული კავშირები კი გაცილებით დიდი ხნისაა, ვიდრე დიპლომატიური ურთიერთობა. ამ ორი ქვეყნის მეგობრობას გრძელი ისტორია აქვს. პირველი ქართველები ამერიკაში მე-19 საუკუნეში ტრანსამერიკული რკინიგზის მშენებლობაზე ჩავიდნენ. დადასტურებული ცნობებით, 1862 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასულა პირველი ქართველი ალექსანდრე ერისთავი, რომელიც სამოქალაქო ომში ჩრდილოეთის მხარეზე იბრძოდა.

ეს ომი ამერიკის ისტორიაში ცნობილია როგორც ომი სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის — ომი ჩრდილოეთის ინდუსტრიულ და სამხრეთის მონათმფლობელურ შტატებს შორის.

სამხრეთის თერთმეტი მონათმფლობელური შტატი აშშ-ს გამოეყო და კონფედერაცია ჩამოაყალიბა. ჯეფერსონ დეივისის მეთაურობით ეს შტატები აშშ-ის ფედერალური მთავრობის წინააღმდეგ იბრძოდა. ფედერალურ მთავრობას მხარს უჭერდა ყველა თავისუფალი შტატი და მათი მოსაზღვრე ხუთი მონათმფლობელი შტატი.

ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელი აბრაამ ლინკოლნის გამარჯვება სამხრეთის შტატებისათვის სამოქალაქო ომის დაწყების საბაბი აღმოჩნდა. ლინკოლნი მონობის წინააღმდეგი იყო. სამხრეთის შტატების პლანტატორები მას მთავარ მტრად თვლიდნენ. ისინი მიხვდნენ, რომ ვეღარასოდეს განახორციელებდნენ კონტროლს ფედერალურ მთავრობაზე, და ის აღარ დაიცავდა მათ ინტერესებს.

1861 წლის 4 მარტს სამხრეთის შვიდმა შტატმა (სამხრეთ კაროლინა, მისისიპი, ფლორიდა, ალაბამა, ჯორჯია, ლუიზიანა და ტეხასი) შტატების კავშირი დატოვა. ლინკოლნი მტკიცედ აცხადებდა, რომ შეერთებული შტატები განუყოფელი და ერთიანი იყო და არც ერთ შტატს არ ჰქონდა გამოყოფის უფლება. ამიტომ კონფედერაცია ამბოხებულ შტატებად იქნა მიჩნეული. ეს გახდა სამოქალაქო ომის დაწყების ერთ-ერთი ფაქტორი. კონფედერაცია 1865 წელს დამარცხდა. სამოქალაქო ომს 600 000 ადამიანზე მეტი შეეწირა, ხოლო სამხრეთი მიწასთან გასწორდა. ასეთი დანაკარგი აშშ-ს ყველა სხვა საომარ კონფლიქტში არ ჰქონია. ომის დამთავრებისთანავე, ამერიკის კონსტიტუციის მე-13 დამატების თანახმად, 4 მილიონამდე მონა გათავისუფლდა.

ამ ომს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების შემდგომი განვითარებისთვის, ამერიკული ღირებულებებისა და ფასეულობების განმტკიცებისთვის.

კონფერენცია თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ვლადიმერ პაპავა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, თსუ-ის პროფესორები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

კონფერენციის მიზანი იყო ამერიკის ისტორიის, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების, საშინაო და საგარეო პოლიტიკის, კულტურის, ფილოსოფიის, ღირებულებების შესწავლა და ცოდნის გავრცელება, ქართულ-ამერიკული ურთიერთობის შესწავლა, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში ამერიკის პრობლემატიკით დაინტერესებული პროფესორების, სტუდენტების შეკრება და მათი სამეცნიერო მუშაობის სტიმულირება, ქართველ ამერიკისმცოდნეთა მუშაობის კოორდინირება და მათი კონტაქტების გაღრმავება უცხოელ, უპირველესად, ამერიკელ კოლეგებთან.

თსუ-ის რექტორმა მონაწილეებსა და სტუმრებს კონფერენციის გახსნა მიულოცა და აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობებზე ისაუბრა: „ამერიკის შეერთებული შტატები არის საქართველოს სუვერენიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი საერთაშორისო გარანტორი. აშშ-მ არაერთხელ დაადასტურა, რომ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს. ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის მრავალწლიანი ისტორია და მისი განვითარება კარგად აჩვენებს ჩვენი ურთიერთობების სიღრმეს და მნიშვნელობას. სწორედ ამის ნათელი მაგალითია ეს კონფერენცია, რომელსაც თსუ-ის ამერიკანისტიკის მიმართულება ატარებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კონფერენცია ეხება ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებს, მისი ისტორიის, სახელმწიფო მოწყობის სისტემის, ეკონომიკისა და მთავარი ღირებულებების შესწავლას. ღონისძიება მნიშვნელოვანია, რადგანაც მეცნიერებსა და სტუდენტებს აძლევს საშუალებას, — უკეთესად გაეცნონ, თუ რას ნიშნავს ამერიკული ფასეულობები“.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ბატონმა რიჩარდ ნორლანდმა მისასალმებელ სიტყვაში დამსწრე საზოგადოებას კონფერენციის მე-16-ე შეკრება მიულოცა, დიდი მადლობა გადაუხადა თსუ-ის რექტორს, კონფერენციის ორგანიზატორებს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორს ვასილ კაჭარავას და ამავე ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის მიმართულების ასოცირებულ პროფესორს ელენე მეძმარიაშვილს კონფერენციის ორგანიზებისათვის და შთამბეჭდავი საუნივერსიტეტო საზოგადოების მოწვევისთვის:

„აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის და კონგრესის წარმომადგენლები არიან საქართველოს საიმედო მეგობრები და აშშ დიდად აფასებს ქართული საზოგადოების ინტერესს ამერიკისადმი. აშშ-ისთვის მისასალმებელია ქართული სამეცნიერო საზოგადოების აქტიური ჩართულობა ამერიკის შესწავლის საკითხებში, რომლებიც ცდილობენ დაადგინონ აკადემიური ჭეშმარიტება ამერიკის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო დიდი მეგობარი გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის. დღეს ვესწრებით კონფერენციას, რომლის მთავარი თემაც გახლავთ ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომი. სამოქალაქო ომის შედეგად ჩვენი ქვეყანა გამთლიანდა და აიკრძალა მონობა. ჩვენ არ ვართ ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც გაიარა სამოქალაქო ომის მორევში და რომელმაც ასეთი საშინელი გამოცდილება მიიღო“, — აღნიშნა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა.

თავის გამოსვლაში მან ასევე ხაზი გაუსვა სამოქალაქო ომის მნიშვნელობას აშშ-ის ისტორიაში. მისი განცხადებით, აღნიშნული მოვლენა გახდა აშშ-ისთვის მომავლის განმსაზღვრელი. „სამოქალაქო ომმა აშშ-ის საზოგადოება დააყენა ორ ნაწილად გაყოფის წინაშე და მოვლენების ასე წარმართვის შემთხვევაში დღეს მსოფლიოში სრულიად განსხვავებული სურათი გვექნებოდა... სწორედ სამოქალაქო ომმა შედეგი გახლდათ მონობის გაუქმება აშშ-ში. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ აღიქვამს საქართველო ამერიკის შეერთებულ შტატებს, მის ისტორიასა და კულტურას“, — დასძინა რიჩარდ ნორლანდმა.

კონფერენციაზე წარმოადგინეს მოხსენებები როგორც კონფერენციის მთავარი თემის, ასევე ამერიკის ისტორიის, პოლიტიკის, განათლების, რელიგიის, ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიის, მედიის, სამართლის, ეკონომიკის, სოციალურ და ქალთა საკითხების შესახებ.

კონფერენციის ორგანიზატორი ვასილ კაჭარავა მონაწილეებს მიესალმა და ამერიკის შესწავლის საკითხების მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან ასევე ხაზი გაუსვა ახალგაზრდა სტუდენტების დაინტერესებას ამერიკის ისტორიის, პოლიტიკის, კულტურის საკითხების შესწავლით. ვასილ კაჭარავამ წარმოადგინა წიგნი „პატრიოტთა ისტორიის მასალები“, რომელიც პირველად გამოიცა საქართველოში და იგი ამერიკის ისტორიული დოკუმენტების კრებულს წარმოადგენს. მან ასევე გაახმაურა ინფორმაცია ამერიკის ისტორიის სახელმძღვანელოს გამოსვლის შესახებ, რომელსაც თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი უზრუნველყოფს. დასასრულ, ვასილ კაჭარავამ მადლობა გადაუხადა ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებს აქტიური მხარდაჭერისთვის.

კონფერენცია სამი დღის განმავლობაში გაგრძელდა; თემების მიხედვით დაყოფილი იყო სექციებად და მომხსენებელთა რაოდენობა 130-ს აჭარბებდა.

კონფერენციის ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს თსუ-ის რექტორსა და ადმინისტრაციას თანადგომისა და ფინანსური დახმარებისათვის.

სტუდ-ეტიკეტი

№14

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

რას საქმიანობს სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი?

სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი მეხუთე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით შეიქმნა. სტუდენტებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის არსებული პრობლემების მოძიება და მოგვარება – ეს არის სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის მიმართულება. ასევე, დეპარტამენტი მუშაობს იმაზე, რომ სტუდენტები მაქსიმალურად გაერკვნენ თავიანთ უფლებებში.

სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტში თითოეული ფაკულტეტიდან არიან წარმომადგენლები. მუშაობს ცენტრალური ჯგუფი, რომელიც სტუდენტთა განცხადებებს განიხილავს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ან აკადემიურ პერსონალთან შუამდგომლობის მომთხოვნი სტუდენტები ან შენიშვნების ავტორები დეპარტამენტს ელექტრონული ფოსტით, მობილურით ან ფეისბუქით უკავშირდებიან. „ყველაზე მარტივი ფორმაა, როცა ფაკულტეტებზე სტუდენტური თვითმმართველობის ოთახებში იწერება განცხადებები, რომლებზეც შემდეგ უშუალოდ ცენტრალური დეპარტამენტის წევრები ვახდენთ რეაგირებას“, — აღნიშნა სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენ-

ტის ხელმძღვანელმა, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამეკურსელმა თეონა მინდიაშვილმა.

„განცხადებების ავტორთა ნაწილი ანონიმურობას ამჯობინებს, თუმცა ბევრი მიუთითებს საკუთარ კოორდინატებს. ჩვენ ყველა შემთხვევაში ვიცავთ კონფიდენციალურობას, თუ სტუდენტი ამას მოითხოვს. საერთოდ, ჩვენთვის უფრო მოსახერხებელია — დაკონკრეტდეს განცხადების ავტორის ვინაობა და კოორდინატები, რათა ადვილად დავუკავშირდეთ მას დეტალების გასარკვევად“, — დასძენს თეონა მინდიაშვილი.

მისი ინფორმაციით, სტუდენტთა პრეტენზიები, ძირითადად, საგამოცდო ცენტრისკენაა მიმართული. „იყო შენიშვნები სასწავლო ბაზების მოუწესრიგებლობაზე, უნივერსიტეტის კორპუსებში ჰიგიენურ პრობლემებზე და ა.შ. ყველაზე გახმაურებული ფაქტი, რომელიც ჩვენი ჩარევით მოგვარდა, ეხებოდა ლექტორის მიერ სტუდენტის მისამართით გამოთქმულ არაეთიკურ მიმართვას. ამის შესახებ ვაცნობეთ ეთიკის საბჭოს, დავესწარით სხდომებს. ჯერ ეთიკის კომისიის პასუხი წერილობით არ გავრცელებულა, მაგრამ, სავარაუდოდ, ლექტორისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას მოითხოვენ“, — განაცხადა მან.

სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის დახმარებით რამდენიმე სტუდენტს უკვე გადაუვადდა გამოცდები. ეს ის შემთხვევა იყო, როცა სტუდენტი ვერ ახერხებდა საჭირო ცნობის წარდგენას. დეპარტამენტის შუამდგომლობით ეს პრობლემა მოგვარდა.

სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელთა აზრით, ახალი ინიციატივა მომავალში უფრო კარგად იმუშავებს, რათა თვითმმართველობის ფუნქცია — უნივერსიტეტსა და სტუდენტებს შორის შუამავლობა — უკეთ განხორციელდეს.

მოამზადა
თამარ ასლანიკაშვილმა

კავკასიის რეგიონში ჩატარებული სტუდენტური ესეების კონკურსში გამარჯვებული

ნატო ოგოლაძე

რას ფიქრობენ ახალგაზრები? როგორ აფასებენ დღევანდელობას? რას გულისხმობენ განვითარებაში? – ამ კითხვებზე პასუხები ხშირად საინტერესო, უფროსი თაობისთვის ზოგჯერ მოულოდნელი და, ცალკეულ შემთხვევაში, მიუღებელიც არის. თუმცა სიახლე და მოულოდნელობა, გადაჭრით, არასწორს არ ნიშნავს, მითუმეტეს, რომ განვითარება ხშირად ჩვეულებრივის უჩვეულოთი ჩანაცვლებას გულისხმობს. შესაბამისად, ასევე საინტერესო და ახალი გახლდათ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის EBRD-ის მიერ კავკასიის რეგიონში ჩატარებული სტუდენტური ესეების კონკურსის შედეგები. კონკურსში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის 4 უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობდა. წარდგენილ ესეთა შორის საუკეთესოდ თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტის ლილე ყაზაიშვილის ნაწერი დასახელდა. თემის ფარგლებში (ჩვენი მომავლის ისტორია: ჩვენი საფრთხეები, ჩვენი იმედები, ჩვენი ცხოვრება) სტუდენტმა ქართულ საზოგადოებაში ყველა იმ საკითხისა და ინსტიტუციის შეფასება მოაქცია, რომელიც მწვავე აქტუალურობით გამოირჩევა და რომლის შესახებ, დღეს, საკმაოდ მრავალფეროვანი მოსაზრებები არსებობს. თუ რა არის „ბნელი ჩიხი“ ქართული საზოგადოებისთვის, ლილე ყაზაიშვილი თავის შეხედულებას ესეში წერს: „როცა ფიქრობ შენი ცხოვრების გასავლელ გზაზე, რომელიც შენი პიროვნების განვითარებაზე, თვითაქტუალიზაციაზე, რაღაც, ზოგადად, ადამიანურსა და სასარგებლოზე გინდა იყოს მიმართული, ძნელია თვალი გაუსწორო იმას, რომ ამ მთავარ გზამდე მისასვლელად უნდა გაიარო ბნელი ჩიხები, რომელსაც შენს ირგვლივ ქმნიან, ან იქნებ, სულაც, ხომ შეიძლება, ამ ჩიხებში დარჩე?!

ბნელ ჩიხებს ქმნის ხალხი მითოსიდან, ხალხი, რომელიც შეიძლება არც არსებობდა ისე, როგორიც ის ჩვენ წარმოგვიდგენია, მაგრამ აქვს ძალა, რაც ქმნის უხილავ ფარდას რეალობასა და წარმოსახულს, გამონაგონსა და არსებულს შორის. ბნელ ჩიხს ქმნის ქართლის დედა. მე ის მაშინებს, მეშინია ამ ქალის: მას აქვს ხმალი, ეს ხმალი სხვის სხეულში შევა და მას სიცოცხლეს წაართმევს. მას აქვს ღვინო, ამ ღვინოს დალევენ მისი შვილები, დალევს მისი ქმარი და აიღებენ ხმალს, რომ მოკლან... თუ დაიცვან? რას იცავენ დღეს?

ბნელ ჩიხს ქმნის ქართველი გლეხი, ის შრომობს, მაგრამ არ იცის — რატომ, რას აკეთებს და რისთვის? მისი მიზანია მხოლოდ ჰქონდეს იმდენი, რომ არ მოკვდეს შიმშილით. მას არ

უნდა — ვითარდებოდეს; არ უნდა — ჰქონდეს მეტი; არ უნდა — იფიქროს; ის არ ზრუნავს სხვაზე.

ბნელ ჩიხს ქმნიან ჩვენი ვაჟკაცები და კაი კაცები, რომლებმაც აიკრძალეს ფიქრი, განდევნეს ის თავიანთი ცხოვრებიდან, როგორც მაცდური და დატოვეს მხოლოდ ცარიელი იმპულსები და ემოციები, რომლებიც ივსება აგრესიითა და სიძულვილით — სიძულვილით ქალისადმი, სხვისი ბედნიერებისადმი, სიძულვილით თავისუფლებისადმი და იდეალებისადმი, სიძულვილით ყველაფერი ახლისადმი.

ბნელ ჩიხს ქმნის ეკლესია, რომელიც ცდილობს, შეიჭრას სკოლებში, უნივერსიტეტებში, დაიკავოს ყველა ქუჩა, ყველა სივრცე; რომელიც არ გაძლევს უფლებას, გამოეყო მას და განუდგე სიძულვილის გარეშე.

ბნელ ჩიხს ქმნიან პოლიტიკოსები, რომლებიც კეკლუცობენ საბრალოდ, ეკეკლუცებიან მრევლს, ეკელუცებიან მტერს. რომლებიც ვერ იცავენ ხალხს ვერასდროს, ვერც მაშინ, როცა რამდენიმე ათეული აქტივისტია შეკრებილი და ვერც მაშინ, როცა მთელი ერია საფრთხეში, რომლებიც ვერ იცავენ ვერც ჩვენს კულტურას, ვერც ამ კულტურის ძეგლებს.

ბნელ ჩიხს ქმნის ჩვენი მითები ჩვენივე ტოლერანტობისა და სტუმართმოყვარეობის შესახებ, რომელიც არ გვაძლევს საშუალებას, შევაფასოთ, სახელი დავარქვათ ჩვენივე დამოკიდებულებებს სხვა ეროვნების ადამიანებისადმი, ტურისტებისადმი, ჩვენი ქვეყნის სტუმრებისადმი და ბოლოს და ბოლოს — ჩვენივე ქვეყნის მოქალაქეებისადმი.

ბნელ ჩიხს ქმნიან მშობლები, რომლებსაც უნდათ, დაიმგვანონ თავიანთი შვილები.

ბნელ ჩიხს ქმნის „ინტელიგენცია“, „ექსპერტები“, „ელიტები“, რომლებიც უფრო საფუძვლიანად აბნელებენ ამ ჩიხებს.

ბნელ ჩიხს ქმნის საოცარი დილეტანტიზმი, ყველგან და ყველაფერში. დილეტანტი ექიმები, დილეტანტი პოლიტიკოსები, დილეტანტი მასწავლებლები და მოსწავლეები.

ბნელ ჩიხს ქმნის იდეა, რომ ჩვენ ვართ პოეტები, რომ ჩვენ ვართ ნიჭიერები, ლამაზები, წმინდანები, კურთხეულები იმდენად, რომ მხოლოდ ლატარიის პრინციპით შერჩეული ვისიმე წილხვედრობაც კი გადაგვარჩენს.

ბნელ ჩიხს ქმნის ნაგავი. ხედავ უხვად დაყრილ ნაგავს ისტორიულ ძეგლებთან, ზღვის ნაპირზე, პარკებში, აულაგებელ ნასუფრალს ტყეში, მაღალსართულიანი სახლებიდან გადმოფრენილ ნაგვის ფუთებს და შენც გეუფლება განცდა, რომ ერთ დიდ ნაგვის ურნაში ხარ გაჭედილი.

და ბოლოს, ბნელ ჩიხს ქმნის წიწამური, რომელსაც დღემდე ვერ გავცდით და მზად ვართ, ისევ მივასიკვდილოთ ყველა, ვინც შეეცდება, გადაგვახვევინოს ამ გზიდან, გაგვიყვანოს იმ გზაზე, სადაც ადამიანები რეალური, ნამდვილი მიზნებისკენ მიდიან“.

ლილე ყაზაიშვილის ესე ოპტიმისტურ ნოტაზე სრულდება.

„ამბობენ, სიბნელე არ არსებობს, სიბნელე სინათლის არარსებობაა. იქნება აქაც ასეა?! იქნებ ჩვენ არ ვანათებთ საკმარისად?! მინდა ქვეყანა, სადაც მეტი სინათლე იქნება, სადაც თითოეულ ჩვენგანში ანთებული ჩირაღდანი გაანათებს მთავარ გზას, გაანათებს იმდენად, რომ სიბნელე გაქრება. სიბნელე არ ქრება მასთან ბნელეთში ბრძოლით. სიბნელე მხოლოდ სინათლით გაქრება, უბრალო სინათლით, მთავარია თითოეულ ჩვენთაგანში ანთებული სანთელი შევკრათ ერთად, დავდგეთ ერთად...“.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც გამარჯვებული ესეს ავტორმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის EBRD-ის კონკურსში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა, გახლდათ თანდართული ანოტაცია, რომელიც კონკურსანტებს თემის ფარგლებში განსახილველი საკითხის არჩევის სრულ თავისუფლებას აძლევდა.

„რაღაც სათქმელი ყოველთვის გიგროვდება, სოციუმიდან გამომდინარე რაღაცები ყოველთვის გაწუხებს, თემა კი საკითხების არჩევანში არ გზღუდავდა და ამიტომ გადავწყვიტე მონაწილეობის მიღება. ჩემი ესე აწმყოს აღწერს, იმ სიტუაციას, რომელშიც ადამიანებს უწევთ ცხოვრება. აწმყოს აღწერა კი ძალიან მნიშვნელოვანი და პროდუქტიულია იმდენად, რამდენადაც მომავლის პერსპექტივების დანახვის შესაძლებლობას გაძლევს“, — განაცხადა ლილე ყაზაიშვილმა.

ლილე ყაზაიშვილი ამ დროისთვის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსზე სწავლობს, გეგმავს განათლება ნეიროფსიქოლოგიის მიმართულებით გაიღრმავოს. დაინტერესებულია სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა პრობლემატიკით. პარალელურად, იგი თსუ-ში შექმნილი საქართველოს ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაციის წევრია, რომლის ფარგლებშიც სკოლამდელი ასაკის ბავშვთა განვითარების შესახებ რეგიონებში ტრენინგების ჩატარებას გეგმავს. ასევე, აპირებს კომპანია „ვისოლში“ HR-დეპარტამენტში სტაჟირების გავლას, რომელიც ესეების კონკურსში გამარჯვების შემდეგ შესთავაზეს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოცხადებულ ესეების კონკურსს თსუ-ში ორგანიზება სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრმა გაუწია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასშტაბით საკონკურსოდ სულ 30 ესე იყო წარდგენილი. მათგან 3 საუკეთესო სპეციალურად შერჩეულმა კომისიამ გამოავლინა: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტიდან — ლილე ყაზაიშვილი, იურიდიული ფაკულტეტიდან — დავით აბესაძე და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან — ნათია ბოტკოველი. ასევე 3 საუკეთესო ესე შეირჩა თავისუფალი უნივერსიტეტიდან, სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტიდან და აზერბაიჯანის ადას უმაღლესი სასწავლებლიდან. თუმცა მათ შორის საუკეთესო — ლილე ყაზაიშვილის ნაწერი — უკვე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა გამოავლინა.

„საკონკურსო კომისიის წევრი არ ვყოფილვარ, თუმცა ყველა წარმოდგენილი ესე წავიკითხე. ბევრი სტანდარტულ, საკურსოს ტონში დაწერილი ესე გახლდათ, იყო შემოქმედებითი მიდგომით დაწერილი ესეებიც. ვფიქრობ, ზოგადად, ახალგაზრდების ნაწერები ყოველთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია. საჭიროა ხშირად ჩატარდეს ასეთი ტიპის კონკურსები, რათა სტუდენტებმაც დაინახონ – მათი აზრი, ორიგინალურობა, თავისუფლება ნამდვილად ფასობს“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელმა ხათუნა ცხადაძემ.

ესეების კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია 15 მაისს EBRD-ის ბიზნეს ფორუმის ფარგლებში ორგანიზებულ ყოველწლიურ შეხვედრაზე, საქართველოს პარლამენტში გაიმართა. სტუდენტებს საჩუქრად IPODE-ები გადაეცათ.

ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილის გამო

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება თსუ-ის პროფესორების: დიმიტრი შველიძისა და გიორგი ჟუჟუნაშვილის მიერ გამოცემული ახალი წიგნი: „ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილის გამო“, რომელიც ახლახან თსუ-ის გამომცემლობისა და საქართველოს განვითარების კომპლექსური კვლევის ხელშეწყობით გამოვიდა.

შურთხია გეროშვილი

უცნობ წერილს სათაურით: „ამიერკავკასიის სატრაპიებში“, რომელიც პეტერბურგში 1906 წელს დემოკრატიულ რეფორმათა პარტიის ყოველკვირეულ, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ გაზეთში — „სტრანა“ — გამოქვეყნდა, თსუ-ის პროფესორმა დიმიტრი შველიძემ ჯერ კიდევ 1987 წელს შემთხვევით მიაკვლია პეტერბურგის ბიბლიოთეკის გაზეთების კატალოგში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ წერილი, რომელშიც ავტორი აღწერს ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენებს და მწვავედ აკრიტიკებს ხელისუფლებას იმ რეპრესიების გამო, რომელსაც ამიერკავკასიის ხალხები განიცდიდნენ, ფსევდონიმით არის გამოქვეყნებული და მას ხელს აწერს ვინმე „სტარი კავკაზეც“.

წიგნის ავტორებს — დიმიტრი შველიძესა და გიორგი ჟუჟუნაშვილს — არ აეჭვებთ ის ფაქტი, რომ გაზეთში გამოქვეყნებული წერილი სწორედ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე ფსევდონიმით სტატიებს არ აქვეყნებდა.

წერილში მოცემული საკითხების განხილვის თანახმად და სხვა მონაცემებზე დაყრდნობით დიმიტრი შველიძე და გიორგი ჟუჟუნაშვილი ცდილობენ დაასაბუთონ მათი ვარაუდი ილია ჭავჭავაძის ავტორობის შესახებ.

„საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამ სტატიის გამოქვეყნების დროს, კავკასიაში ცნობილ პიროვნებათაგან, პეტერბურგში მხოლოდ ილია იმყოფებოდა. 1906 წლის 7 აპრილს ილია რუსეთის იმპერიის საბჭოს წევრად აირჩიეს. 10 აპრილს იგი პეტერბურგიდან თბილისს გამოემგზავრა, 11 აპრილს კი გამოქვეყნდა სტატია. მეორე არგუმენტი ის არის, რომ გაზეთ „სტრანას“ რედაქტორმა მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინა და, სხვა ახლად არჩეული დეპუტატებისგან განსხვავებით, ყველაზე მაღალი შეფასება მისცა სახელმწიფო საბჭოს ახალი წევრის, ილია ჭავჭავაძის დემოკრატიულ პოზიციას. ამასთან, ილიას მთავარი საპროგრამო მოთხოვნა — საქართველოში — კავკასიის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და „სტრანაში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორის მთავარი მოთხოვნა ანალოგიურია. ამასთან, აუცილებელია, გავიხსენოთ, რომ ილია სახელმწიფო საბჭოში მიეკუთვნებოდა მცირერიცხოვან, მემარცხენე, ე.წ. აკადემიურ ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ მაშინდელი რუსეთის ცნობილი და ლიბერალურად განწყობილი ადამიანები. ჩვენი აზრით, ილიას და კოვალევსკის პოლიტიკურ თანასოლიდარობას სწორედ იმ დროს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც დიდი ქართველი მოღვაწე სახელმწიფო საბჭოში აირჩიეს. ილიას სტატია გაზეთში „სტრანა“ ამ თანამშრომლობის გამოხატულება იყო. სტატიის შინაარსი და ზოგიერთი აქცენტიც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენს მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა რეალურია. ამ და სხვა არგუმენტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ 1906 წლის 11 აპრილს პეტერბურგში გამომავალ გაზეთში „სტრანა” გამოქვეყნებული სტატიის — „ამიერკავკასიის სატრაპიებში“ ავტორი ფსევდონიმით — „სტარი კავკაზეც“ — არის დიდი ქართველი მოღვაწე ილია ჭავჭავაძე“, — ასეთია წიგნის (ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილის გამო) ავტორების: დიმიტრი შველიძისა და გიორგი ჟუჟუნაშვილის მოსაზრება.

დიმიტრი შველიძე

აღსანიშნავია, რომ წიგნში შესულია, ასევე, დიმიტრი შველიძის მეორე წერილი: „რატომ მოკლეს ილია ჭავჭავაძე“, სადაც ავტორი დეტალურად მიმოიხილავს მკვლელობის კონკრეტულ, ძირითად გარემოებებს. დიმიტრი შველიძის აზრით, „უკანასკნელ პერიოდში არა ერთი საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის კვლევას, ბევრ საიდუმლოს ფარდა აეხადა, მაგრამ ეს კონკრეტული ისტორიული ფაქტი მოვლენებით ხორცშესხმას მაინც მოითხოვს“, — ამბობს ავტორი.

კონსტიტუციური სახელმწიფო გლობალური საფრთხეების წინააღმდეგ —

ესპანური გამოცდილება ქართველი იურისტებისთვის

ნატო ოგოლაძე

მსოფლიოს ქვეყნები გლობალური საფრთხეების ტერორიზმის, კიბერტერორიზმის და ა.შ. წინააღმდეგ კონსოლიდირებულ მოქმედებას ცდილობენ. თანამშრომლობა როგორც ოფიციალურ სტრუქტურებს, ასევე აკადემიურ წრეებს შორის მიმდინარეობს. ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, გლობალური საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლისას და პრევენციული ღონისძიებების გატარებისას, ადამიანის უფლებების დაცვა და ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებაა. ამ მიზნით თბილისში საერთაშორისო კონფერენცია — „კონსტიტუციური სახელმწიფო გლობალური საფრთხეების წინააღმდეგ“ გაიმართა, რომელსაც ორგანიზება თსუ-ის ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტმა გაუწია. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი რამდენიმე თვეა, რაც ჩამოყალიბდა და ეს კონფერენცია მისი რიგით მე-2 პროექტია.

საერთაშორისო კონფერენცია — „კონსტიტუციური სახელმწიფო გლობალური საფრთხეების წინააღმდეგ“ 7 და 8 მაისს მიმდინარეობდა. მონაწილეებმა მოხსენებები ჯერ თსუ-ში, შემდეგ კი საქართველოს შსს-ს აკადემიაში წარმოადგინეს. გლობალური უსაფრთხოების თემაზე საკუთარი კვლევებისა და გამოცდილების შესახებ ესპანეთის სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა ისაუბრეს. მათ შორის გახლდათ ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის კონსტიტუციის სამართლის კათედრის ხელმძღვანელი, „ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტის“ აკადემიური დირექტორი ჟოან ლუის პერეს ფრანსეჩი, რომელმაც ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევებზე სამართლებრივი სახელმწიფო რეაქციები სტრუქტურული კრიზისის კონტექსტში მიმოიხილა, უსაფრთხოების ახალი მიდგომების შესახებ ისაუბრა სანტ-ადრიას დე ბესოს პოლიციის უფროსმა, პროფესორმა ტომას ხილ მარკესმა, ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა ხავიერ რუბირალტრამ კი კიბერტერორიზმი და მისი საფრთხეები განმარტა. კონფერენციაზე მოხსენება წაიკითხა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯემალ ჯანაშიამ თემაზე — „საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაული, როგორც თანამედროვე მსოფლიო წესრიგის მნიშვნელოვანი საფრთხე“. კონფერენციაზე მადრიდის ნებრიხას უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის პრეზენტაციაც გაიმართა, რომელიც ამავე სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორმა, პროფესორმა კლაუდიო სანტოსმა წარმოადგინა.

„ჩვენი ინსტიტუტის მთავარი მიზანია, დაეხმაროს საქართველოს ევროპეიზაციის გზაზე, რომ ევროპულ სამართალთან ქართული სამართლებრივი სისტემის ჰარმონიზაცია მოხდეს არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული კუთხითაც. ამ მიზნით ვატარებთ ამ ღონისძიებებს. დამატებით ვგეგმავთ ბევრ აქტივობას — სპეციალურ კურსებს შევთავაზებთ არამარტო საუნივერსიტეტო სივრცეში მოღვაწე ადამიანებს, არამედ სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის წარმომადგენლებს. თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი იქნება — ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ტერიტორიული მოწყობა, კიბერტერორიზმი და ა.შ. უკვე გავაფორმეთ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება პოლიციის აკადემიასთან და ნოტარიუსთა პალატასთან. ასევე, ვფიქრობთ, რომ გავაკეთოთ გარკვეული მოდული ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების თემაზეც — რა მოთხოვნებია საქართველოს წინაშე და ა.შ.“, — განაცხადა ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტის აღმასრულებელმა დირექტორმა, თსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა ლელა ჯანაშვილმა.

სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტებმა მონაწილეობა აღნიშნულ სამეცნიერო კონფერენციაშიც მიიღეს. მაგალითად, მოხსენებების წარმოდგენის შემდეგ გამართულ დისკუსიაში ისტორიკოსებიც მონაწილეობდნენ. როგორც ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორთა საბჭოს წევრმა და თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა გვითხრა, მსგავსი წარმომადგენლობითი სახით კონფერენციები იურისტების გარდა პოლიტოლოგებს, სოციოლოგებს, ისტორიკოსებს, გლობალური უსაფრთხოების შექმნის თვალსაზრისით, დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციების უკეთ გააზრებაში დაეხმარება.

„კონფერენციაზე ძალიან საინტერესო მოხსენებები მოვისმინეთ — თუ როგორ უნდა ჩაერთოს საქართველო გლობალური უსაფრთხოების პროცესში, როგორ გახდეს გლობალური უსაფრთხოების სრულფასოვანი და სრულუფლებიანი წევრი. თუმცა ამ კონფერენციის ძირითადი იდეა გახლდათ ის, რომ კონსტიტუციური სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გარეშე არ შეიძლება გლობალური უსაფრთხოების ნაწილი გახდე. ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ტრანსფორმაციის პერიოდში იმყოფება. ამ პროცესში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა და ცივილიზებული, კულტურული საზოგადოების ჩამოყალიბება მეტად მნიშვნელოვანია. საჭიროა ნებისმიერი პიროვნების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რათა გლობალური უსაფრთხოების პრევენციული მექანიზმების გატარებისას კონსტიტუციური სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა არ შეილახოს“, — განმარტა ირაკლი ბურდულმა.

ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტი ბარსელონას ავტონომიურ უნივერსიტეტსა და თსუ-ის შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში შეიქმნა. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ესპანურენოვან სამართლის სკოლასთან თანამშრომლობის პირველი შემთხვევა გახლავთ. ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის კონსტიტუციის სამართლის კათედრის ხელმძღვანელის, თსუ-ის ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტის აკადემიური დირექტორი ჟოან ლუის პერეს ფრანსეჩის თქმით, ესპანური მხარე საქართველოში პროფესიულ და აკადემიურ წრეებს შორის თანამშრომლობის გაფართოებას მომავალშიც გეგმავს. თსუ-სთან ერთად სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ესპანელი სამართალმცოდნეები მკვლევართა ჯგუფის „თავისუფლება, დემოკრატია და სახელმწიფოთა ტრანსფორმაცია“ ფარგლებში ახორციელებენ.

„ესპანური სამართლის ინსტიტუტი აგრძელებს ტრადიციულ-სამართლებრივი ღირებულებების, კონკრეტულად კი, რომანული სამართლის სისტემის დემონსტრირებას. სწორედ ეს გახდა ჩვენი ერთობლივი მუშაობის მთავარი საფუძველი. ესპანური და ზოგადად ლათინური გამოცდილების გაზიარება, საქართველოს სამართლებრივი სისტემისა და ინსტიტუციების გაძლიერების მიზნით. მეორე მხრივ, უმნიშვნელოვანესია იმ გამოცდილებისა და სამართლებრივი აზრების გაზიარებაც, რომელიც საქართველოს ევროპასთან სრულ ინტეგრაციას შეუწყობს ხელს.

პირველი აქტივობა, რომელიც საქართველოში განვახორციელეთ ნოტარიუსთა პალატასთან გაფორმებული ხელშეკრულება და 2014 წლის საზაფხულო სკოლა გახლდათ. პროექტის ფარგლებში გლობალურ სცენაზე უსაფრთხოების ახალი გამოწვევებისა და საფრთხეების შესახებ ვისაუბრეთ. ასევე, საქართველოსა და ესპანეთის კონსტიტუციური სისტემები ტერიტორიული ორგანიზაციის თვალსაზრისით განვიხილეთ. დღეისათვის, მრავალი ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი და ამ მხრივ მუშაობას ვაგრძელებთ“, — აღნიშნა ჟოან ლუის პერეს ფრანსეჩიმ.

საერთაშორისო კონფერენციაზე „კონსტიტუციური სახელმწიფო გლობალური საფრთხეების წინააღმდეგ“ გადაწყდა, რომ თსუ-ის ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტი საქართველოს შსს-ის პოლიციის აკადემიასთანაც გააგრძელებს თანამშრომლობას. აკადემიის წარმომადგენლებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა სანტ-ადრიას დე ბესოს პოლიციის უფროსის, პროფესორი ტომას ხილ მარკესის მოხსენება უსაფრთხოების ახალი მიდგომების შესახებ, რომელიც უშუალოდ სახელმწიფოს შიგნით წესრიგის დამყარებას ეხებოდა. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი საერთაშორისო კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებებს კრებულად უახლოეს მომავალში გამოსცემს.

საუკეთესო საჩუქარი ქართველ სტუდენტებს — დასავლეთში აღიარებული სახელმძღვანელოების თარგმანი ეკონომიკურ პოლიტიკასა და მეწარმეობაში

სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით ორიენტაციას, უნარ-ჩვევებს და პოტენციალს დიდად განსაზღვრავს ის, თუ როგორი სახელმძღვანელოებით ეუფლებიან ისინი ცოდნას მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში. სწორედ ამიტომ, თსუ-ის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ინიციატივით და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, ითარგმნა და გამოიცა დასავლეთის სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებული სახელმძღვანელოები: ეკონომიკურ პოლიტიკასა და მეწარმეობაში: Rainer Klump, Wirtschaftspolitik (Instrumente, Ziele und Institutionen), 3. Auflage, Muenchen, 2013 (ბაკალავრიატის საფეხური) და Guenter Faltin, Kopf Schlaegt Kapital, 9. Auflage, Muenchen, 2011 (მაგისტრატურის საფეხური).

აღსანიშნავია, რომ ასეთი ნაშრომებით სწავლობენ დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტები წარმატების საიდუმლოებებს ეკონომიკურ პოლიტიკასა და მეწარმეობაში.

სახელმძღვანელოების შესახებ გვესაუბრება თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი რევაზ გველესიანი:

— ეკონომიკური მეცნიერებების დარგში ეკონომიკური პოლიტიკა კვლავ ცენტრალურ როლს ასრულებს. თანამედროვე ტექნოლოგიების და გლობალიზაციის შეუქცევადმა პროცესებმა ხელი შეუწყო ქვეყნებში ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ახალ ძირითად მიმართულებებს. ამავდროულად ეკონომიკურ თეორიასა და გამოყენებით ეკონომიკაში ახალმა კონცეფციებმა განაპირობა ისეთი სამეცნიერო ბაზის განვითარება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ეკონომიკური პოლიტიკის ფუნდამენტური გადაწყვეტილებების მიღება.



მაინის ფრანკფურტის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტის, პროფესორ რაინერ კლუმპის ეკონომიკური პოლიტიკის სახელმძღვანელოს მიზანია მოგვცეს სიღრმისეული ცოდნა თეორიული და პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის არსებული მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესახებ. ავტორის სიტყვებით, იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ წარმოჩენილიყო პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თანმიმდევრული მიდგომების მაქსიმალურად დიდი რაოდენობა. გარდა ამისა, მათი ასახვა უნდა მომხდარიყო ისეთი ფორმით, რომ სახელმძღვანელო ყოფილიყო მრავალმხრივ გამოყენებადი. იგი წარმოადგენს თეორიული და პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის სწავლების მთავარ საფუძველს. პრაქტიკული მაგალითები, რომლებიც განხილულია ყველა თავში, ასახავს გერმანულ ან ევროპულ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელთა შორის საზღვარიც სულ უფრო და უფრო შეუმჩნეველი ხდება.

სახელმძღვანელო ორიენტირებულია ეკონომიკური მეცნიერებების საბაზისო სწავლების დამამთავრებელი ეტაპის სტუდენტებზე. მასში ეკონომიკურ-თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობით, თანდათანობით შემოდის ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ამოსავალი დებულებები და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ეკონომიკური პოლიტიკის უფრო კონკრეტული თეორიული საფუძვლების გაცნობა: ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევის ძირითადი პრობლემების შესწავლის შემდეგ ვუბრუნდებით მიკრო და მაკროეკონომიკის უკვე ნაცნობ საფუძვლებს, რათა ვიმსჯელოთ ეკონომიკური პოლიტიკის ამოსავალ დებულებებსა და ინსტრუმენტებზე. ამას ემატება ინსტიტუციური ეკონომიკა, როგორც ახალი სფერო, რომლის საშუალებითაც ხდება ეკონომიკური წესრიგის ფორმირების, ტრანსფორმაციისა და ინტეგრაციის ანალიზი, რასაც მოსდევს ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები კეთილდღეობის ეკონომიკის გამოყენების კონტექსტში და იმართება დისკუსია ამ მიმართულებით. ბოლოს წინა ნაწილში განხილულია ახალი პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები, რათა განხორციელდეს კვლევა, თუ რომელი ფაქტორები ახდენენ გავლენას ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუციების ფაქტიურ ქცევაზე. დამამთავრებელი ნაწილი გვიწვევს აქტიურ დებატებში, სადაც, ეკონომიკური პოლიტიკა განიხილება გლობალიზაციისა და ეკონომიკური კრიზისის კონტექსტში.

ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული კლასიფიკაცია ჩვეულებრივ, სხვაგვარი თანმიმდევრობით გვხვდება, რომელიც მოცემული სახელმძღვანელოს საშუალებით შემდეგნაირად აიხსნება: თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის და ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევის ძირითადი პრობლემების შესწავლის შემდეგ (ნაწილი I), ჯერ განიხილება ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები (ნაწილი V). ამის შემდეგ მიდის მსჯელობა ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების შესახებ, რომლებიც გამოიყენება ბაზრებზე ან ეკონომიკურ ციკლში ჩარევისათვის (ნაწილი II და III). ბოლოს ამას მოსდევს როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკურ ინსტიტუციებთან მიმართებაში ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის საკითხების (ნაწილი IV), ასევე ახალი პოლიტიკური ეკონომიის თვალსაზრისით, ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუციების ქცევის ანალიზი (ნაწილი VI). წიგნის მე-VII ნაწილი განკუთვნილია მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად და პერსპექტივაში გამოსაყენებლად.

თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ეკონომიკური განვითარებისთვის ინსტიტუციების მნიშვნელობის მეცნიერული განსაზღვრა. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მე-3 და მე-4 თავებში განხილულია სხვადასხვა ინსტიტუციური გადაწყვეტილებების როლი ბაზარზე წარმოქმნილი ხარვეზების გამოსასწორებლად. თავი მე-6 წარმოაჩენს განსაკუთრებულ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ინსტიტუციასთან – ფული. მე-10, მე-11 და მე-12 თავებში კეთდება იმ ზემოქმედებათა ანალიზი, რასაც ადგილი აქვს ეკონომიკურ წესრიგში სხვადასხვა ინსტიტუციების კომბინაციის შედეგად, ასევე განიხილება განსაკუთრებული ინსტიტუციური პრობლემები, რომლებიც ეკონომიკური წესრიგის ტრანსფორმაციისა და ინტეგრაციისას წარმოიქმნება. მე-13 თავი იკვლევს, თუ რატომ თამაშობს ინსტიტუციური რეგულირება კოლექტიური მიზნების გატარებაში მნიშვნელოვან როლს. მე-16, მე-17 და მე-18 თავებში მიმდინარეობს მსჯელობა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინსტიტუციების ფუნქციონალური პრობლემების შესახებ. მე-19 თავში მოყვანილია არაერთი აქტუალური მაგალითი იმ ეკონომიკური რეფორმების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ინსტიტუციურ ცვლილებებთან.

იმ ფაქტმა, რომ ბაზარზე წიგნი კვლავ მოთხოვნადია, ხელი შეუწყო უკვე ორი წლის შემდეგ მის ხელახალ გამოცემას. წიგნის მიზანია, არა მარტო სრულიად ნათელი კორექტივების შეტანა ეკონომიკური პოლიტიკის შედეგების ახსნაში, არამედ იმ ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემების განხილვაც, რასაც ადგილი აქვს ევრო-ზონაში და ინტენსიური სამეცნიერო და საჯარო დებატების საგანია. მათ რიგშია ევროპის ცენტრალური ბანკის არატრადიციული მონეტარული პოლიტიკა ე.წ. მეორე მიზნის ფარგლებში, აგრეთვე – ევროპის ფისკალური პაქტის შედეგები. ამასთან, სახელმძღვანელოს სტრუქტურა მეტად მოქნილი აღმოჩნდა, რათა ახლად წარმოშობილი პრობლემები უკვე არსებულ შესაბამის თავებში განხილულიყო.

არანაკლებ საინტერესო და აქტუალურია გიუნტერ ფალტინის წიგნი „გონება ამარცხებს კაპიტალს“. ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი გიუნტერ ფალტინი ლეგენდარული Teekampagne-ის დამფუძნებელია, რომელიც გახლდათ საკმაოდ არაკლასიკური მცირე ზომის კომპანია და გადაიქცა ჩაი „Darjeeling-ის მსოფლიოს უმსხვილეს იმპორტიორად. მის მიერ გამოცემული წიგნი „გონება ამარცხებს კაპიტალს“ არის ყველაზე წარმატებული წიგნი მეწარმეობის შესახებ, რომელიც ოდესმე გაყიდულა გერმანიაში. იგი წარმატებების სურვილს აღგიძრავთ, მან შთააგონა ხალხი და შეცვალა მათი ცხოვრება, მისი გავლენა კვლავაც იზრდება.



„გონება ამარცხებს კაპიტალს“ — მანიფესტია ხალხის სამეწარმეო საქმიანობისთვის, რომელიც ორიენტაციას გვაძლევს თუ როგორ უნდა დავიწყოთ იგი. ეს გახლავთ „კაპიტალიზმის რადიკალური იდეალისტის“ ერთი ისტორია, რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ ვიშოვოთ ფული, მაგრამ ასევე გვეუბნება თუ როგორ ვისიამოვნოთ და უკეთეს სამყაროდ გადავაქციოთ მსოფლიო.

ფალტინი გვიჩვენებს თუ რატომაა კარგად მოფიქრებული იდეა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პატენტი, ახალი ტექნოლოგია ან დიდი ოდენობის საწყისი კაპიტალი. მისი აზრით, ხშირად წარმატებული მეწარმეები არ იგონებენ რაიმე ახალს, არამედ, უბრალოდ იღებენ უკვე არსებულს და სხვაგვარად აწყობენ მას, ანუ ისინი არსებული კომპონენტების აწყობით ქმნიან რაღაც ახალს.

ფალტინის მოცემულობით არსებობს სამი საფეხური, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია რადიკალურად შევცვალოთ სამეწარმეო ლანდშაფტი. ფაქტობრივად, ეს მხოლოდ მენტალური საფეხურებია, პრობლემის ახალი კუთხეებიდან დანახვა, რაც შესაძლებელს ხდის მეწარმეობის დაწყების საკითხს სრულიად განსხვავებული გადმოსახედიდან მივუდგეთ. პირველი ნაბიჯია ვაღიაროთ, რომ დღეს კარგი კონცეფცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კაპიტალი. მეორე ნაბიჯია — მეწარმეობის სფეროში გამოვიყენოთ შრომის დანაწილების პრინციპი ბევრად უფრო რადიკალურად. მესამე ნაბიჯი კი კომპონენტებისაგან შემდგარი კომპანიის შექმნაა. შრომის დანაწილება და სოციალიზაცია საშუალებას გვაძლევს შევქმნათ კომპანია, რომელიც თითქმის ექსკლუზიურად, კომპონენტებისგან იქნება ფორმირებული. ახლად დაფუძნებული ასეთი კომპანია პროფესიონალურად ფუნქციონირებს პირველივე დღიდან, მოითხოვს ბევრად უფრო ნაკლებ კაპიტალს, ამცირებს რისკს და ნაკლებად მგრძნობიარეა ტიპური კრიზისის მიმართ, რომელიც მოსალოდნელია კომპანიის ზრდასთან ერთად.

„გონება ამარცხებს კაპიტალს“ გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ყოველივე ზემოთქმულის განხორციელება Teekampagne-ის და სხვა წარმატებული კომპანიების მაგალითზე, რომლებიც „ფალტინის მოდელზე“ შეიქმნა. ეს მოდელი ნამდვილად მოასწავებს „სამეწარმეო გაზაფხულის“ დადგომას დამწყები მეწარმეებისათვის.

გარდა აღნიშნულისა, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა ა.წ. შემოდგომაზე მაგისტრანტებს კიდევ ერთ მსოფლიოში აღიარებული სახელმძღვანელოს — Economic Policy (Theorie and Pracice), Agnes Benassy-Quere, Benoit Coeure, Pierre Jacquet, Jean Pisani-Ferry, 2010, Oxford University Press — თარგმანს მიაწვდის. ამ სახელმძღვანელოს თარგმნის პროცესი დასრულებულია და მიმდინარეობს მისი სამეცნიერო რედაქტირება.

მოამზადა
თამარ დადიანმა

ქალთა საინფორმაციო ცენტრთან თსუ-მ მემორანდუმი გააფორმა

21 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ და ქალთა საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა ელენე რუსეცკაიამ თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მემორანდუმის თანახმად, უნივერსიტეტის სტუდენტები გენდერულ საკითხებზე მოისმენენ ლექციებს.

„ეს არის, ზოგადად, უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის პირველი ნაბიჯი. მემორანდუმი მნიშვნელოვნად წაადგება სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს. მათ, სურვილისამებრ, საშუალება ექნებათ ჩვენს ორგანიზაციაში გაიარონ სტაჟირება. კონკურსის საფუძველზე, ერთი წლის ვადით დავასაქმებთ განსაკუთრებით აქტიურ სტუდენტებს. ვგეგმავთ დოკუმენტური ფილმის გადაღებასაც და ამ პროცესში სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტების ჩართვას“, — განაცხადა ქალთა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა ელენე რუსეცკაიამ.

მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ გაიმართა პირველი საჯარო ლექცია გენდერულ თანასწორობაზე, რომელსაც უფრო მეტი სტუდენტი გოგონა ესწრებოდა, ვიდრე ვაჟი. ეს უმნიშვნელო დეტალიც მშვენივრად გამოხატავს ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას გენდერული საკითხებისადმი. მომავალი თაობისთვის ყურადსაღები ინფორმაციაა, რომ საქართველოს 12 ქალაქის მერიდან არც ერთი არ არის ქალი, თბილისის 10 რაიონიდან მხოლოდ დიდუბის გამგებელია ქალი, ხოლო 19 მინისტრს შორის მხოლოდ სამია ქალბატონი.

აღსანიშნავია, რომ ქალთა საინფორმაციო ცენტრი 15 წლის წინ დაარსდა. ორგანიზაციის საქმიანობას ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობის საკითხი წარმოადგენს. გენდერული თანასწორობის მთავარი პრინციპი ქალსა და კაცს შორის სამართლიანობა და თანაბარი ცხოვრებისეული პირობებია. დღევანდელი ტემპით, საქართველო, პოლიტიკაში დასაქმებულ ქალთა რაოდენობის მიხედვით, მსოფლიო მაჩვენებელს მხოლოდ 44 წლის შემდეგ, ანუ 2058 წელს მიაღწევს. მდგომარეობის ოდნავ მაინც გამოსასწორებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობების სწორად ინფორმირებას გენდერის პრინციპების თაობაზე.

საქართველოში 53,3 % ამომრჩეველი ქალია, მაგრამ მათი როლი პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პროცენტულ მაჩვენებელზე ბევრად დაბალია.

ქალთა საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება დადებითად შეაფასა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ.

თამარ ასლანიკაშვილი

ქართული ფინანსური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი

110

ეკონომიკა და ეკონომიკური აზრის განვითარება საქართველოს ისტორიაში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი მიმართულებებია. ამას ბევრი მიზეზი აქვს, დაწყებული ეკონომიკური ხასიათის საკითხებით ნაკლები ქართველი ისტორიკოსების დაინტერესებით და დამთავრებული საბჭოთა პერიოდის დამახინჯებული ისტორიოგრაფიით. ადრე ქვეყნის ყველა წარმატება მოგებული ომებითა და შემომატებული ტერიტორიებით განისაზღვრებოდა, ან იმ დროინდელი ლიდერის ზეადამიანურ თვისებებს მიეწერებოდა. მაგრამ ძლიერი სამეფოს ან თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობა არ არის დამოკიდებული მხოლოდ ლიდერის მტკიცე ნებაზე ან გეოპოლიტიკურ სიტუაციაზე. ეს, ცხადია, მნიშვნელოვანია, მაგრამ ისეთი საზოგადოებრივ-ტერიტორიული ერთეულის შექმნა, რომელსაც შესწევს უნარი, დაიცვას საკუთარი უსაფრთხოება და ხელი შეუწყოს მოსახლეობის კეთილდღეობის მატებას, სწორედ ეკონომიკური მოწყობის მოდელზეა დამოკიდებული.

სწორედ ამ გადმოსახედიდან საინტერესოა, რა ტიპის „ეკონომიკა“ ჰქონდა საქართველოს, ერთი მხრივ, აღზევების პერიოდებში, ხოლო, მეორე მხრივ, ისტორიის ყველაზე რთულ მონაკვეთებში. ქართული ეკონომიკური აზრის განვითარება რომ საბჭოთა პერიოდიდან არ დაწყებულა და მას უფრო ღრმა ფესვები აქვს, ამის უტყუარი დასტურია ქართული ფინანსური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის, აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა. როგორც პროფესორი გედეონ ახალაია იტყოდა: „მან კვლევითი მუშაობის ძირითად საგნად გაიხადა ეროვნული აზროვნების უმდიდრეს და მრავალფეროვან წიაღში ეკონომიკური სიბრძნის ელვარე მარგალიტების მოძებნა-გამომზეურება და საერთაშორისო მეცნიერულ ასპარეზზე წარმოდგენა, როგორც ბრწყინვალე მაგალითი ქართველი ხალხის ეკონომიკური აზრის სიღრმისა, მრავალსაუკუნოვანი ასაკისა, გამძლეობისა და სიცოცხლისუნარიანობისა. ამ დიდ საქმეს უძღვნა მან მრავალი შრომა, სტატია და სხვადასხვა შეკრებებსა და სიმპოზიუმებზე საყურადღებო გამოსვლები“.

აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის დაბადებიდან 110 წლისთავს მიეძღვნა 21 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული საიუბილეო ღონისძიება.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, პროფესორმა ნოდარ ხადურმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ, საქართველოს საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარემ, თსუ-ის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ირაკლი კოვზანაძემ, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ, ცნობილმა მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძეს დიდი წვლილი მიუძღვის ფინანსური თეორიების მეცნიერულ დამუშავებაში. იგი 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქვეყნის ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის პრობლემების კვლევის მთავარ სამეცნიერო ცენტრს — თსუ-ის ფინანსებისა და კრედიტის კათედრას. გამოქვეყნებული აქვს 205-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა უმეტესი ნაწილი ეძღვნებოდა ფინანსების თეორიას, ეკონომიკის დარგთა ფინანსებს, ფინანსების ისტორიას, ეკონომიკური აზრის ისტორიას, ეკონომიკურ ტერმინოლოგიას და სხვა. ვასილ ჩანტლაძის შრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ჩინურ და ინგლისურ ენებზე.

საიუბილეო სხდომაზე სიტყვით გამოვიდა თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, რომელმაც დიდი მეცნიერის ხსოვნას პატივი მიაგო და განაცხადა, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, თუ ვის მხრებზე დგას დღეს ქართული მეცნიერება და ამ ტრადიციის ღირსეული გამგრძელებლები უნდა გახდნენ: „დღეს უნივერსიტეტში აღინიშნება დიდი ქართველი ეკონომისტის, გამოჩენილი მეცნიერისა და ფინანსისტის ვასილ ჩანტლაძის იუბილე. მისი ნაშრომები აღიარებულია არა მარტო ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში, არამედ მთელს მსოფლიოში.

ეს შეხვედრა არ არის უბრალოდ გახსენება ან გამოჩენილი ეკონომისტის ხსოვნისადმი პატივის მიგება... ეს არის, გარკვეულწილად, ანგარიში იმისა, თუ რა მდგომარეობაშია დღეს თანამედროვე ქართული ეკონომიკური მეცნიერება, რა პრობლემები აქვს მას და როგორ უნდა განვითარდეს იგი მომავალში. ვასილ ჩანტლაძე იმ დიდ ქართველ ეკონომისტთა თაობას მიეკუთვნება, რომლის მეთაური გახლდათ აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი. ეს ის პერიოდია, როდესაც გამოჩენილი ქართველი ეკონომისტები მოღვაწეობდნენ. სწორედ საბჭოთა ეპოქის დროს ყალიბდებოდა ეკონომიკა ინსტიტუციურად, ამ პერიოდში ძლიერდებოდა და ფეხზე დგებოდა თსუ-ში ეკონომიკის ფაკულტეტი. იმ პოლიტიკურად რთულ პერიოდში საბჭოთა რეჟიმი დამოუკიდებელი აზრის განვითარებას კრძალავდა. ეკონომიკურ თეორიაზე მუშაობის პრეროგატივა მხოლოდ მოსკოვის, ლენინგრადისა და ნოვოსიბირსკის სამეცნიერო წრეებს შეეძლოთ – ასეთი იყო სტანდარტი... აკადემიკოსმა ვასილ ჩანტლაძემ თავისი მეცნიერული შრომების დიდი ნაწილი ფინანსების თეორიას მიუძღვნა, აღნიშნულ თემაზე მუშაობა ცენტრალური მთავრობიდან არცთუ მთლად ნებადართული იყო. მიუხედავად წინააღმდეგობისა, ამ მოღვაწის საქმიანობა აღიარა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებამ. მისი ფუნდამენტური მონოგრაფია ფინანსების თეორიის შესახებ ჩინურ ენაზე ითარგმნა და გამოიცა.

ჩვენი ვალია, გავიხსენოთ აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე, პატივი მივაგოთ მის ხსოვნას. უნდა შევქმნათ ყველა პირობა, რათა წარსული არ დაიკარგოს, რომ ახალგაზრდებმა იცოდნენ რა საქმე აქვთ მათ მომავალში გასაგრძელებელი“, — განაცხადა ბატონმა ვლადიმერ პაპავამ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, პროფესორმა ნოდარ ხადურმა ბატონ ვასილ ჩანტლაძესთან ურთიერთობის წლები გაიხსენა და მის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე ისაუბრა: „მოხარული ვარ, რომ პირადად ვიცნობდი ვასილ ჩანტლაძეს. მან მრავალი თაობა აღზარდა და უამრავი ნაშრომი შექმნა ფინანსების თეორიაზე. ჩამოთვლაც კი გამიჭირდებოდა ყველა დარგისა, იმდენად ფართო და ყოვლისმომცველი იყო მისი მეცნიერული ინტერესების სფერო და თვალსაწიერი“, — აღნიშნა პროფესორმა ნოდარ ხადურმა.

საქართველოს საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, ვასილ ჩანტლაძე ქართული ფინანსური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელია. „იგი 70 წელზე მეტ ხანს ემსახურებოდა ამ დარგის განვითარებას და 40-ზე მეტი ასპირანტი, დოქტორანტი, მეცნიერების კანდიდატი აღზარდა. მისი წვლილი ამ მიმართულების განვითარებაში განუზომელია“, — განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ, რომელიც საიუბილეო საღამოს ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი გახლდათ.

სხდომაზე სიტყვით წარსდგა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე, რომელმაც დიდი მეცნიერის ცხოვრებასა და სამეცნიერო მიღწევებზე ისაუბრა: „ვასილ ჩანტლაძე განეკუთვნება იმ ქართველი აკადემიკოსების მცირერიცხოვან ნაწილს, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს ჩვენი ქვეყნისა და მეცნიერებათა აკადემიის აღორძინებისთვის. ეს იყო ნამდვილად რენესანსის ხანა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, რომელმაც არა მარტო ეკონომიკური მეცნიერების, არამედ, პრაქტიკულად, მეცნიერების ყველა მიმართულების განვითარება განაპირობა“.

აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე დაახლოებით 70 წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან დიდი ცოდნა და ენერგია მოახმარა ფინანსებისა და კრედიტების სპეციალობის სტუდენტებისთვის ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნას, რომლებიც თარგმნილ და ქართულ ენაზე დაწერილ სხვა სახელმძღვანელოებზე გაცილებით „გამძლე“ და სტაბილური აღმოჩნდა. ამ სახელმძღვანელოთა რიგს მიეკუთვნება „კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები“, „ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები“, „ფულის, კრედიტის და ფინანსების ისტორია“ და სხვა. სწორედ ამ წიგნებზე აღიზარდნენ სპეციალისტთა მთელი თაობები. ასეთი ტრიუმფი კი, განაპირობა არა მარტო დიდმა მეცნიერულმა ცოდნამ, არამედ შესაშურმა პედაგოგიურმა ნიჭმა და ალღომ, ჭეშმარიტი მასწავლებლისთვის დამახასიათებელმა უნარ-ჩვევებმა.

მეცნიერი გაიხსენა აკადემიკოსმა ავთანდილ სილაგაძემ: „მახსოვს ბატონ ვასილ ჩანტლაძის არაერთი სანიმუშო ლექცია, სტუდენტებით სავსე აუდიტორია, რომელსაც ზარის დარეკვის ხმაზე რეაქცია არ ჰქონდა... ბატონი ვასილი ჩვეულებრივ აგრძელებდა ლექციას და ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა. ასეთი რამ ხშირად ხდებოდა. ეს იყო მისი დიდი პედაგოგიური ნიჭისა და დიდი მეცნიერის მოღვაწეობის ბრწყინვალე მაგალითი, რომელიც ჩვენი თაობის სტუდენტებს გვერგო წილად. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ეკონომიკის მარწუხებში ვიყავით მოქცეულნი, ბატონი ვასილი კაპიტალისტური ქვეყნების ფინანსურ ეკონომიკას გვასწავლიდა. ეს წიგნი ჩემი სტუდენტობის პერიოდში გამოიცა, თუმცა მას აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს“, — ხაზი გაუსვა აკადემიკოსმა ავთანდილ სილაგაძემ.

აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ ვასილ ჩანტლაძის ბიოგრაფიაში ნაკლებად ჩახედულ მსმენელს ერთგვარი აზრი ჩამოუყალიბდა იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენდა იგი, როგორც მეცნიერი და პიროვნება: „ბატონი ვასილ ჩანტლაძე გახლდათ ფართო ერუდიციისა და მასშტაბური აზროვნების მეცნიერი, მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და ეროვნული ფენომენისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით გამორჩეული ადამიანი. ეს ის დეფიციტია, რომელიც დღეს საქართველოში ეკონომიკურ მეცნიერებას აქვს“, — განაცხადა ნოდარ ჭითანავამ, რომელმაც საინტერესოდ ისაუბრა ვასილ ჩანტლაძის ინტერპრეტაციით წარმოდგენილ შოთა რუსთაველის ეკონომიკურ შეხედულებებზე. იგი გამოვიდა ინიციატივით, რომ ამ წიგნით სტუდენტებმა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე უნდა ისწავლონ“, — დასძინა ნოდარ ჭითანავამ.

მეცნიერების ჭეშმარიტი რაინდი — ასე დაახასიათა ვასილ ჩანტლაძე პროფესორმა გედეონ ხელაიამ, რომელმაც ვრცლად ისაუბრა დიდი მეცნიერის მოღვაწეობასა და სამეცნიერო შრომების მნიშვნელობაზე, რამაც არაერთი გაბატონებული ეკონომიკური სტერეოტიპი დაარღვია. მისი მეცნიერული მემკვიდრეობა ფასდაუდებელია ეროვნული ეკონომიკური აზროვნების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომა „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი“. იგი XIX საუკუნემდელი ქართული ეკონომიკური აზრის შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს.

„ეკონომიკური აზროვნების სიდიადისა და უკვდავების დიდი ჰიმნია ბატონი ვასილის შემოქმედებითი მოღვაწეობის ნამდვილი მარგალიტი — „შოთა რუსთაველის ეკონომიკური იდეები“. გენიალური პოეტის მხატვრულ ქარაგმაში მოქცეული ეკონომიკური შეხედულებები ბატონმა ვასილმა გამოიცნო დიდი სიზუსტითა და სისრულით. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ მარტივად და გასაგებად წაიკითხა ეკონომიკის ენაზე და ასე მარტივად, მიმზიდველად და საინტერესოდ მიაწოდა იგი მკითხველს“, — აღნიშნა პროფესორმა გედეონ ხელაიამ.

ვასილ ჩანტლაძის შრომები ეძღვნება აგრეთვე ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილის ეკონომიკურ-ფინანსური შეხედულებების შესწავლას. მან უდიდესი მუშაობა გასწია ეკონომიკის ტერმინოლოგიის დამუშავების ხაზითაც. შეადგინა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ფინანსურ-საკრედიტო და რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული სტატისტიკური ტერმინოლოგია.

ვასილ ჩანტლაძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებაში, აგრეთვე, მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: თეიმურაზ ბერიძემ, ელგუჯა მექვაბიშვილმა, დავით იაკობიძემ, მიხეილ ჯიბუტმა, იაკობ მესხიამ და ემზარ ჯგერენაიამ.

საიუბილეო ღონისძიებები აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძისა და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის საფლავების პატივის მიგებისა გვირგვინებით შემკობის ცერემონიალით დაიწყო.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა.

ქართული ფინანსური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი ვასილ ჩანტლაძე დაიბადა 1905 წლის 8 იანვარს ქალაქ ზესტაფონში. საშუალო განათლება საძვეყნოდ ცნობილ თბილისის ვაჟთა I გიმნაზიაში მიიღო. დამთავრებისთანავე, 1923 წელს გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. მალე თავისი მასწავლებლის, ფილიპე გოგიჩაიშვილის ყურადღებაც მიიპყრო და მისი წინადადებით, 1927 წელს, უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, დატოვებულ იქნა იქვე, როგორც პერსპექტიული ახალგაზრდა. 1941 წელს, თსუ-ის სამეცნიერო საბჭომ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა. 1954 წელს ვასილ ჩანტლაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ 1959 წელს პროფესორის წოდება მიანიჭა.

პროფესორი ვასილ ჩანტლაძე 1967 წელს ფინანსებისა და კრედიტის კათედრის გამგედ აირჩიეს, სადაც 21 წელი იმუშავა. 1974 წელს მას ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1979 წელს — აკადემიკოსად. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში მისი დაარსებიდან 1980 წლამდე ვასილ ჩანტლაძე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თეორიული და დიდი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობის მქონე აქტუალური პრობლემების დამუშავებაში.

ღვაწლმოსილი მეცნიერი გარდაიცვალა 1995 წლის იანვარში, 90 წლის ასაკში.

მოამზადა **თამარ დადიანმა**

ულევი პოზიტივით სავსე დღეები

ნატო ოგოლაძე

„ეს დღეები ბედნიერი ვიყავი, რადგან ჩვენი ნაცრისფერი ქალაქი თითქოს უფრო ფერადი გახდა, ჩვეულებრივი ყოფა — უფრო საინტერესო... თბილისს ნამდვილად აკლია პოზიტივი... ვერ ვხვდებით, რომ ბედნიერებისთვის ხანდახან მხოლოდ გაღიმებაც საკმარისია... პოზიტივის ფესტივალმა მართლაც რომ პოზიტიური დღეები გვაჩუქა ყველას“, — ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ნატა ღირსიაშვილმა ფესტივალის დახურვის დღეს.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტის — „პოზიტივის ფესტივალი 2015“-ის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში, რომლის სლოგანი იყო — „ერთად გავაღიმოთ ქალაქი“ — თბილისის ყველა უნივერსიტეტი ჩაერთო. ქალაქის სხვადასხვა უბნებში მთელი კვირის მანძილზე სტუდენტები აწყობდნენ „ფლეშმობებს”; ფესტივალის ფარგლებში გაიმართა კონცერტები ახალგაზრდა მუსიკოსების: ლუკა ზაქარიაძისა და ნიკა კიკნაძის შესრულებით; მოეწყო „საუნდთრექების” საღამო, ასევე ვიდეო და ფოტო კონკურსი და სხვა ღონისძიებები.

15 მაისს „პოზიტივის ფესტივალი“ თსუ-ის პირველი კორპუსის ეზოში გრანდიოზული კონცერტით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ქართულმა ბენდებმა: LOUDspeakers, The Jetbird, The Mins, თინათინ შურღაია და ბენდი WiFi და udey და სხვა შემსრულებლებმა.

„პოზიტივის ფესტივალი“ მშვენიერი იდეაა. ჩემი აზრით, ყველამ ერთად შევძელით გაღიმება. ადამიანებმა ერთმანეთისგან მივიღეთ დადებითი ენერგია. მადლობა თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას, რომ საშუალება მოგვცა ამ მნიშვნელოვან საღამოზე ჩვენც გვემღერა“, — განაცხადა ჯგუფ სპეაკერს-ის წევრმა ლევან ცხვარაძემ.

„ამ ფესტივალის მთავარი მიზანი პოზიტივის გაცემა იყო და ჩვენ ეს მუსიკის საშუალებით მოვახერხეთ. ეს ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო ფაქტი იყო, რადგან ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში არსად დამიკრავს. ამ ფესტივალმა დამიბრუნა საყვარელი საქმის კეთების სურვილი, ამიტომ ვთვლი, რომ ასეთი ღონისძიებები აუცილებელია ჩვენი ახალგაზრდებისთვის, რათა მათ თავიანთი შესაძლებლობები გამოავლინონ. რაც მთავარია, ეს დღეები ულევი პოზიტივით იყო სავსე“, — გვითხრა მუსიკოსმა ომარ ხალვაშმა.

„პოზიტივის ფესტივალის“ დახურვაზე ფოტო და ვიდეო კონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდნენ, რომლებსაც სპეციალური პრიზები გადაეცათ.

„როდესაც რამეს აკეთებ, ყოველთვის მოელი შედეგს. ჩვენ ბევრი ვიშრომეთ და ვიმუშავეთ და, ჩემი აზრით, სამართლიანად გავიმარჯვეთ. „პოზიტივის ფესტივალი“ ძალიან კარგი პროექტია, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო ორგანიზატორებს. იმედია, მომავალ წელს უფრო მეტი ხალხი ჩაერთვება ამ პროექტში და უფრო მეტ ადამიანს გავაღიმებთ ერთად“, — აღნიშნა ვიდეო-კონკურსის გამარჯვებულმა ნიკოლოზ თოდუამ.

„მადლობა მინდა გადავუხადო ორგანიზატორებს ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელებისთვის, ასევე იმ ადამიანებს, რომლებმაც ჩემი ფოტო მოიწონეს“, — აღნიშნა ფოტო-კონკურსში გამარჯვებულმა ვაჟა თათარაშვილმა.

„პოზიტიური აზროვნება საჭიროა, რათა ადამიანმა სწორად აღიქვას და შეაფასოს გარემო. ჩვენი სურვილი იყო სტუდენტობა და, საერთოდ, საზოგადოება დაგვეფიქრებინა იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დადებითი ემოციები ადამიანებისთვის. გვინდა, რომ მომავალში უფრო მეტი ადამიანი ჩაერთოს პროექტში“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის აპარატის თავმჯდომარემ მაგდა გიბიშვილმა.

და ბოლოს, რაც მართალია, მართალია! სასიამოვნოა, როდესაც ახერხებ ქალაქი გააღიმო...

მოამზადა **შურთხია ბეროშვილმა**

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი	ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, ირაკლი კობახიძე, შალვა აბზიანიძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62